


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



IV

აკრილი

IV




შინაარსი: 1) ზრდფ. გურლიტა. VIII შეჯახებანი—**ლ. ბოცვაძე.** 2) ბუნება და სამკურნალო შეცნირება, ჭიგინა—**ილ. აღნაზიშვილი.** 3) ნიკოლოზ პარაკლასიტი—**ილ. ფერაძე.** 4) მათემატიკა, რეკორდ ტეშმარტება—**ე. აღშიბაია.** 5) სქესობრივი სკიოთხი, წერილი დასთან III—**ივ. გომართელი.** 6) † არჩილ ჯორჯაძის ხსენებას—**ლ. ბოცვაძე.** 7) ნაწარმ საფლავზე—**გ. ლეონიძე.** 8) არჩილ ჯორჯაძე (ბიოგრაფია). 9) ჩაქქრა სსივი—**ს. ტაიფუნი.** 10) არჩილ ჯორჯაძის ხსენებას—**ს. აბულაძე.** 11) შიიცვალა—**ვ. გორგაძე.** 12) არჩილ ჯორჯაძეს—**ლადო გეგეჭკორი.** 13) უკანასკნელი სსლამი **სამ. ფირცხალავა.** 14) უცრბობაში—**დ. თურდოსპირელი.** 15) ნაუ... ნაუ... ნაუ...—**დ. თურდოსპირელი.** 16) გამარჯვების გვირგვინი—**ლადო გეგეჭკორი.** 17) იგი ხომ ცნებას!... (საადგამო)—**ბ. ლეონიძე.** 18) მდინარის ზირად—**აკ. სვანი.** 19) ფიქრი გასათხულებზე—**ნ. ბ—ძე.** 20) ფიქრი მდინარის—**გელა.** 21) დღეს ვიცინი (ცნების ცუდეება)—**ვაჟა-ფშაველა.** 22) ქუჩაში—(კნუტ გამსუნი—**ა. მითაიბვილი.** 23) შინაური მიმხილვა—ბ-ნი სპილთატი და ქართული სკოლა; ბ-ნი ს. კაკაბაძე და ვეფხის ტყაოსანი; ჩუენი ხუცები და ქართული სასლები—**პეტრე მირიანიშვილი.** 24) ფიზიკური შრამის მნიშვნელობა აღზრის საქმეში—**გრ. საქარაქედელი.** 25) მჯახური აღზრდა—**გერასიმე.** 26) სქესობრივი მომწიფება. 27) სამეცნიერო მიმხილვა—სხვა და სხვა გვარ ცხოველების ცხოვრებიდან—**კ. მაჭავარიანი.** 28) წერილი რედაქციის მიმართ—**ნოე დევიძე.** 29) ბიბლიოგრაფია, Очеркъ истории арменіи Халатьяна—**ა. სვანიძე.** 30) მტრე შენიშვნა.

დამატება. ცნებები ქ. შ. წერა-კითხვის საზოგად. მოქმედებისა: 1913 წლ. საჯარო სარჯო აღრიცხვა (დასასრული) მოხსენება სენაქის სკოლის რევიზიის შესახებ.

რედაქციისაგან—ამ ნომერთან ერთად დაპირებისამებრ წლიურ ხელის მომწერლებს აღგილობრვის აგენტებთან ეგზავნებათ დიდი სურათი **იაკობ გოგებაშვილისა.** რადგანაც სათითაოდ სურათების დაგზავნა მოუხერხებელი აღმოჩნდა, რედაქცია სხვებისთვისაც სურათებს გზავნის მახლობელ აგენტის სახელზე, რომლიდანაც შეიძლება სურათის მიღება. ამიტომ ხელის მომწერლებს ვსთხოვთ სურათები მოიკითხონ: **კავკავში**—ვ. ბურჯანაძესთან, **ბაქოში**, ა. ე. გვარამაძესთან თელავში—ნინო გონიაშვილთან, **გორში** ნ. ლომოურთან, **ყვირილაში** ს. რაჯონიკიძესთან. **სამტრედიაში** წ. კ. სახ. კიასკში **ხონში**—ლ. ჩიმაკაძესთან. **ახ. სენაკში**—სპ. ენუქიძესთან. **აბაშაში** ვ. ქობულიასთან, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“ **ფოთში** მღ. ლ. წულაძესთან. **ლანჩხუთში** მ. იმნაძესთან. **ახალციხეში** კ. გვარამაძესთან. **ოზურგეთში**—დ. თალაქვაძესთან **სოხუმში** ნიკო ჯანაშიასთან. **ჩოხატაურში** ს. თავათრილაძესთან, **სურამში** ნატ. გიგაურთან. **ონში** ილია გოგისთან. **ზუგდიდში** ელენე ვასაძესთან.

ამ ხელის მომწერთ, ვისაც წლიური ფასი ჟურნალისა გადახდილი აქვს და რომელთაც მახლობლად ხსენებული აგენტები არ უდგებიან, ვსთხოვთ ან თვითონ წააღებინონ სურათი თუ შესაძლებელი იქნება და თუ არა რედაქცია როგორმე ეცდება იმათაც მალე მიაწოდოს დაპირებული საჩუქარი.

რედაქცია გამეორებით აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუგზავნის, რადგანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღეს მთლად თუ კი უკანვე დაგვიბრუნეს, რედაქცია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს მკითხველებს.



განათლება

(წელიწადი პეექსე)

IV

აკრილი

1913 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
 ნახევარი წლით 3 მან.
 სახალხო სკოლების მასწავლებლებს
 ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
 3 მან.

ცალკე ნომ-
 რის ფასი

40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** „წერა-
 კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
 „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
 ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღ-
 რესით: **თიფლისი, Дворянская Грузинская**
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

პროფ. გურლიტტი.

VIII

შეჯახებანი

ადამიანი მხოლოდ მაშინ მიჰმართავს ექიმს, როცა სხეული დაუსწრებლად, სწორედ მშობლებიც მაშინ მიდიან აღმზრდელებთან, როცა ოჯახში ბავშვებთან შეხლა-შეჯახება მოხდება ხოლმე. ამ შემთხვევაში ესა თუ ის სულიერი ჭრილობა აშკარაა, და საშველად მიმართვაც ძლიერ დაგვიანებულია. ადამიანი სიფრთხილით უნდა იქცეოდეს ოჯახში და სკოლაში, რომ უთანხმოება-შეჯახებანი თავიდან აიშოროს ისე, როგორც ყველა ცდილობს სხეულის დასჯის თავიდან აცილებას. დედა დიდის მზრუნველობით იფარავს ბავშვებს სიცოცხლისაგან, მაგრამ ხშირად უყურადღებოდ სტოვებს იმ გულცივობას,

რაც დედისა და შვილის შორის ვითარდება. სადაც აღმზრდელსა და მოწაფეთა შორის წესიერი გულის დანდობაა, იქ უთანხმოებაც არ არის. ერთმანეთთან შეჯახება გარეგანი სიმპტომია უკვე წინადასრებულის ცუდი ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და გაუგებრობისა. ხშირად ეს ერთის მოქნევით ისპობა; საჭიროა მხოლოდ გამოცვლა იმ პირთა, რომელნიც ბავშვის გარშემო არიან. ბავშვი, რომელიც ერთი მასწავლებლის ხელში თავნება, ჯიუტი, ზარმაცი, სულელი, გონება დახშული, გონება გაფანტული იყო და ამიტომ სწავლაშიაც წარმატებას ვერ იჩენდა, მეორე მასწავლებლის გავლენით



ცოცხლდება, როგორც მიმქნარი მცენარე, სხვა ადგილას გადარგული. ჩვენ უსამართლოდ ვიქცევით, როცა ყოველგვარ შეჯახების დროს ბრალს ერთს მხარეში, მოწაფეში ვეძებთ. თავდაპირველად საზოგადოთ არ უნდა ვილაპარაკოთ ვისიმე დანაშაულობაზე, არამედ მეცნიერულად უნდა გამოვიკვლიოთ ყველა არა სასიამოვნო მომხდარი ამბავი, როგორც ყოველი ბუნებრივი ფაქტი. თითქმის მოზრდილებში სწორედ ისეთებშია, რომელნიც თვით ბუნების მიერ ერთი მეორისთვის დანიშნულ არიან, ცოლქმართ შორისაც მოხდება ხოლმე შეჯახება, რომლის წყალობით ერთმანეთში სიძულვილი ჩამოვარდება. სასამართლოც ანგარიშს უწევს ამ ფაქტს და კანონიერადაც მიაჩნია. რა უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ბავშვებს, რომ მათში არ იჩინოს თავი ასეთმა ბუნებრივმა ზიზღმა, როგორც მასწავლებლის შეცდომის შედეგმა.

სწორედ რომ ბავშვები მეტად იტანჯებიან ისეთის მორჩილებისა გამო, რომელსაც მთელი მათი შინაგანი არსება ეწინააღმდეგება. მეტის მეტი უსამართლობაა ბავშვი ისეთს გამძელს გადასცეთ, რომლისადმი იგი სრულს აპატიასა გრძნობს. მშვიდად სიმართლის გრძნობით მივიღოთ ჩვენს თავზე ეს კანონი. ჩვენ დიდებსაც გვყავს ჩვენი სიმპატიები და ანტიპატიები, ხშირად შევხვდებით ისეთს ხალხს, რომელთანაც არ შეგვიძლიან არავითარი სულიერი კავშირი დავიჭიროთ, იმდენად ეწინააღმდეგებიან ისინი მთელს ჩვენს ბუნებას. ჩვენც ჩვენს უფლებათ მიგვაჩნია განზე გავუდგეთ ასეთს ადამიანებს. თუ ამ ადამიანებს რაიმე უფლება აქვთ ჩვენზე, ძლიერ ვიტანჯებით ამის გამო და ეჭვი შეგვაქვს თავისი თავის პატივისცემაში და პირადს ღირსებაში. ამ

შემთხვევებში შეჯახებას მაშინ ვეცდებით თავიდან, თუ ჩვენს პიროვნებას მოწურის მორჩილებით მსხვერპლად შევწირავთ. მაგრამ ეს შინაგანი ბრძოლაც მალე ირღვევა. ასეთს მდგომარეობას კაცი დიდხანს ვერ იტანს, და აქაც მარტო კეთილის ნებით ვერას მოვიგებთ.

სად ადამიანს, რასაკვირველია, თავის გულისთქმა, გულის ნდომა აქვს, რაც მისთვის ცხოვრებაში საჭიროა. გერმანულ ხალხურ სულს, სამწუხაროდ, არ სწადიან იფეთქოს; სამართლიანი საჩივარი გაისმის, რომ მას აღფრთოვანების ნიჭი აკლიაო. ჩვენ არ გვესმის აგრეთვე საზოგადოებრივი თავისუფალი აზრების მრისხანედ გამოთქმა. საზოგადოებრივი გუნება ზომიერს წერტილზე ზევით არ აღის, ყველა ეს, ჩემის აზრით, შედეგია ჩვენი ეკლესიურ-თეორიულის, ბიუროკრატიულის წრთვნისა. ყველა ჩვენთვის უხერხულია, რაღაც საჩოთიროა, უზრდელობა; არ შეიძლება მოთმინების დაკარგვა, აღელვება; არ შეიძლება ხმამალა ლაპარაკი და მქუხარედ მჭერმეტყველება, არ შეიძლება თავისი აზრის გატარება, არ უნდა ეწინააღმდეგო. დიად, არ შეიძლება სიბრაზის გამო მყუდროებაში მუშტი მოკუმშო და წყევა-კრულვით მოიხსენიო ყველაფერი, რასაც ბედიღ სხვისი ნება თავს გვახვევს, უნდა მიიღო ყველაფერი ცხოველურის მორჩილებით, რადგანაც ბუნებას არ მიუცია ცხოველებისათვის თავის დახსნის არავითარი იარაღი. მოთმინება და მორჩილება, სიმშვიდე კრავისა, — აი სათნოება, რომელსაც ბავშვებს უქადაგებენ. შემდეგ კი უკვირთ, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, გახდებიან კაცებად და ქალებად, მოკრძალებით გვერდზე დგებიან, როცა — აზრთა შეჩახება იჩენს თავს, — ეს ხდება მაშინ, როცა ბავშვები მჭიდრო

საქართველო
საქართველო

სულიერად დაახლოების კავშირს ეძიებენ ისეთს ადამიანებთან, რომლებიც მათ აღმზრდელებად არიან დანიშნული.

ბავშვები, რომელთაგანაც ჩვენ ვერ მოვითხოვთ თავისი ხასიათის ასეთს შეცვლას, ყოველთვის წინააღმდეგობას უწევენ ისეთს მასწავლებელს, რომელიც მათთვის აუტანელია. ეს თავნებობა, ჯიუტობა ძველი პედაგოგიკის მოძღვრებით ფრიად ცუდი ნიშანია, მომასწავებელი ბავშვის სიწამხდრისა. ძველი პედაგოგიური სიბრძნეც გვაძენევს, რომ ეს თავნებობა უნდა ამოიფხვრას. მე ვერ ვემხრობი ამ სიბრძნეს. მე ახლა 50 წელს გადაცილებული ვარ, მაგრამ ჯერკიდევ არსად შემხვედრია ისეთი ჯიუტი ბავშვები, რომელთა შთაგონებით გამოსწორება შეუძლებელი ყოფილიყოს. უეჭველია ზოგს არა კომპეტენტურად მოგვიჩვენები, როცა ვამტკიცებ, რომ უძლეველი ჯიუტობა, როგორც უძლეველი მიდრეკილება სიკრუისადმი, მხოლოდ შემცდარი აღზრდის შედეგია. ჩემს სახლში სამი ბავშვი იზრდება, ისინი არც ჯიუტები არიან, არც მატყუარები. ეს არც ისეთი დიდი ღვაწლია, რადგანაც ბავშვებს საზოგადოთ არავითარ მიზეზს არ აძლევენ, რომ ეს ორი ნაკლი შეითვისონ. იმათგან არაფერს ისეთს არ მოითხოვენ, რაც ბავშვის ბუნებისა და სიმართლის გრძობის საწინააღმდეგო უნდა იყვეს. იმათი სამართლიანი მოთხოვნები ისევე დაკმაყოფილებულია, როგორც მოზრდილების სამართლიანი ნდობა. მათგან მორჩილებას მხოლოდ მაშინ თხოულობენ, როცა იგი საჭიროა, ან თვით გარემოება მოითხოვს ამიტომ ბავშვებაც ხედევენ ამ მოთხოვნილებათა სამართლიანობას და უწინააღმდეგოდ ემორჩილებიან. თუ ვისმეში ძლიერი ნება იფეთქებს, დეე, იფეთქოს სიკ-

რცეში. მაშინვე დამუქრებით მიუღერო.

თავისი საკუთარი ნების არ მქონებელნი მიდიან კონგრესებზე, სადაც თავმჯდომარეც აფრთხილებს ყველას არ წარმოსთქვან ისეთი რამ, რაც არ შეეფერება პარლამენტარულ დაწესებულებას, ან—რაც შეურაცხყოფს ვისიმე ზრდილობიანობას. აღზრდის მიზანი მართებულობაა. მართებულობა ნიშნავს თავისი შინაგანი ძალის შეჩერებას, საკუთარი რწმენის მისის ნებისადმი დამორჩილებას! ეს ნიშნავს სიჩუმეს, როცა გული ხმა მალა დახილს მოითხოვს; ეს ნიშნავს სთქვა „ჰო“, როცა საჭიროა ენერგიულად წარმოსთქვა „არა“. უწინდელს ჩვეულებრივ აღზრდას შეუძლიან მიაღწიოს მხოლოდ ამ გარეგან მართებულობამდის, რომელიც შეიძლება შეჯახებისაგან თავის დაღწევას. მაგრამ ნაცვლად ამისა იგი ჰქმნის დაფარულ უკმაყოფილების ფარულს გრძობას, გაუგებრობას, მერყეობითს სიმშვიდეს, რომლის გულისთვისაც ხელი უნდა აიღოს საკუთარს რწმენაზედ.

კერძო პიროვნების ნების ამგვარი მოსპობა შინაურს მშვიდობიანობასაც კუდს სამსახურს უწევს. ძალა, რომელიც შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჩენს თავს, თავდაპირველად, ოჯახში უნდა განვითარდეს. ამის გამო თავისუფალი სიტყვის ნება უნდა მივსცეთ ბავშვს; დეე, გაჯავრდეს და გამოსთქვას ბავშვმა თავისი უკმაყოფილება. ჩვენ დამშვიდებით უნდა მოვუსმინოთ ყველაფერი, როგორც რომელსამე საზოგადო კრებაში ჩვენს პოლიტიკურს მოწინააღმდეგეებს მოვუსმენთ ხოლმე. თავიანთს აზრს. ჩვენ უნდა ავწონ-დავწონოთ წარმოშობილი შეჯახება; მხოლოდ ამ სახით შეიძლება საქმის გამორკვევა და შეთანხმება. არაფერი ისეთ დიდ ზარალს



არ აძლევს სულს და ერთად ცხოვრებას, როგორც გულში ჩატანილი ბრაზი და გამოუთქმელი უკმაყოფილება. გამოუთქმელობა იწვევს უფრო დიდ უთანხმოებასა და უფოთს, რასაც მოჰყვება არა სასურველი შედეგი: მყარდება უსიტყვო უთანხობა; ადამიანს რჩება მხოლოდ ფიზიკურად ერთად ცხოვრება და სულიერი კი კვდება. არავითარი დანაშაულობა არ არის, როდესაც ცოცხალი ბუნების ბავშვი ხანდახან მოთმინებიდანაც გამოდის ხოლმე, ესეც ცხოვრების ისეთ განცდას ეკუთვნის, რომელიც ადამიანს სიმდიდრეს ანიჭებს. როგორ შეუძლიან ბავშვს ბოლოს შეიგნოს პოეზია და უპირველეს ყოვლისა თვით ცხოვრება, როცა მას სულის ძლიერ მღვლევაობას მიუტევებელ ცოდვაში უთვლიან. ძლიერი მოძულეობა შედეგია ძლიერად აღვლევების სულისა. რასაკვირველია, ამას უნდა უერთდებოდეს შემდეგ მმართველი გონება, მაგრამ ქვეყანაზე ყოველივე დიდი წარმოშობილია გულის ნდომისაგან. წყნარი და დინჯი ლუტერი და ბისმარკი არსებითად ერთმანეთის წინააღმდეგობა და მათს სახელს არა ჩრდილავს ის, რომ ერთმა საწერელი სტუკორცნა ეშმაკს; ხოლო მეორემ ფაიფურის ჭურჭელი იატაკზე დაანარცხა. გულისნდომამ უნდა იჩინოს თავი და არ უნდა შევძრწუნდეთ, როდესაც ბავშვში ასეთი ვულკანი იფეთქებს ხოლმე. რასაკვირველია ძლიერი გულის ნდომისათვის ორი გზაა: გზა გმობისა და დანაშაულობისა. შევიგნოთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ დანაშაულობა, ბევრს შემთხვევაში, საცა კი ფიზიკური გადაშენების შედეგი არ არის, გმობაა, რომლისთვისაც ცუდი მიმართულება მიუტყიათ. თუ როგორ ძნელია ამის განსაზღვრა, სჩანს დრამატურგთა ნაწარმოებში-

დან, რომელებიც თავიანთ უღრმეს პრობლემებს ამ სფეროდან იღებენ. პარტიულის გავლენით ხშირად ისტორიაც კი მერყეობაშია ისეთის დიდებული ისტორიული პიროვნების დაფასებაში, როგორიც არიან — ფემისტოკლე, ალექსანდრე მაკედონელი, ცეზარი, ვალენშტეინი, ნაპოლეონი. აქ შესაფერისია თქმულება ჭაბუკთა გაკადნიერებისა. ჩვენ არ უნდა დავუხშოთ მათ გზა მომავალ შესაძლებელ გმობისა იმ შიშის გამო, ვითომ ახალგაზდობა სწორ გზას ასცდებოა.

ჩვენ შეგვიძლიან გვერდი ავუაროთ, ან შევამსუბუქოთ მრავალი საოჯახო სცენა, თუ კი ბავშვებს ნებას მივცემთ გამოიჩინონ თავიანთი ტემპერამენტი, გულის ნდობანი მძულვარებანი. სრულიად უზრდელობა და ცეკობა არ არის, როცა ბავშვი გაჯავრდება და მეორეს წააქცევს, როცა მასწავლებელს წინააღმდეგობას უწევს, ან როცა სასტიკად უარჰყოფს უსამართლო საყვედურს.


ყველა ეს უხერხულია, ხანდახან საშიშიც, — მაგრამ მისი სასტიკად დევნა და ყოველს შემთხვევაში უსათუოდ ამოფხვრა, როგორც ბუნებრივის მიდრეკილებისა, არ შეიძლება, ინგლისელი აღმზრდევები მუდამ შემდეგს აგონებენ თავიანთ მოწაფეებს: „ეცადე შენს სისხლს რკინა შეურიო“, ამას აგონებენ, როგორც ცხოვრების ძირითადს წესს, როგორც რჩევას. რასაკვირველია აღმზრდელის დიდი შორს მჭვრეტელობა, გამჭირახობა და თავის შეკავება სჭირიან, რომ აიტანოს ბავშვების ასეთი თავისუფალი ქცევა. მაგრამ აღმზრდელის მიზანი სწორედ ის არის, რომ მას მუდამ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს მომავალი, რომ მთელი ადამიანის შექმნაზე მუშაობდეს და არა ებრძოდეს მხოლოდ ზოგიერთ უხერხულ სიმპტომებს.

ამასთან ყოველთვის იმ აზრს მტკიცედ უნდა ვაღვდეთ, რომ ცხოვრების წესიერად მიმდინარეობის დროს მოწაფეები აღმზრდელების წინააღმდეგ ვერავითარს მიზეზს აღშფოთებისათვის ვერ ჰპოულობენ. თუ კი ახალგაზრდები ნამდვილი უსამართლობით აღშფოთდებიან, მაგალითად ცხოველების უდიერად მოპყრობის გამო, ან ცეცხლის წამკიდებლობაზე, მით უმეტეს, როცა პირადათ მათ უსამართლოთ ეპყრობიან, ჩვენ მაშინ საბუთი არა გვაქვს გავკიცხოთ ისინი. და თუ გამოვიკვლივთ ასეთს შემთხვევებს და წესიერად დავაფასებთ საყურადღებო ფაქტორებს, მაშინ, უეჭველია, წესიერ დასკვნამდი და ზომებამდი მივალოთ. სწორედ აქ უნდა იჩინოს თავი აღმზრდელის ხელოვნებამ. ეს ისეთი მძიმე და საინტერესო შემთხვევებია, რომელთაც აღმზრდელისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ძნელსა და საინტერესო სამედიცინო შემთხვევებს ექიმისათვის. საზოგადო სავალდებულო წესები ვერას გვიშველის; ის შეიძლება მხოლოდ გახდეს შინაური ახალი უთანხმოების მიზეზად. როცა ბავშვში იფეთქებს ასეთი ძლიერი ძალა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ვისთან გვაქვს საქმე—ძლიერსა და საღს ინსტიკთან, თუ სწეულ გალიზიანებასთან.

ყოველს ამგვარ შემთხვევაში ჩვენ ვითხოვთ ისეთს დაკვირვებულს დიაგნოზს, რასაც ექიმი აღნიშნავს სხეულის ყოველგვარ ავადმყოფობის დროს. დიად, დანიშნულება ერთმანეთს ეთანხმება, რადგანაც სული განუწყვეტლივ შეერთებულია სხეულთან.

ყველაზე უძნელესი ამოცანა აღზრდისა, სახელდობრ სანამდის უნდა მიყვანილი იქმნას თავის შეკავების პრინციპი, — დარჩეს გარდაუწყვეტელი. ის ფაქტია, რომ

ნამდვილ დიდებული კაცები, რომლიდგანაც კაცობრიობა დავალებულია უსაჭროესი წარმატებებით, მომეტებულად გულის ნდომის ბუნების ადამიანები იყვნენ, ამან უნდა დაგვაფიქროს თავის შეკავების მუდმივს მოთხოვნაში. კაცს შეძლება უნდა ჰქონდეს მოთმინებიდამაც გამოვიდეს, რომ შემდეგ საფუძვლიანად დაიჭიროს ხელში თავისი თავი. და აღზრდაც, რაც აქ საჭიროა, უნდა იყვეს თვით აღზრდა და არა მხოლოდ გარეგნად ძალდატანება და დაბრკოლება. აქაც ცხოვრების გამოცდილება—თვითონ ბუნება ჰქმნის საჭირო სამკურნალო საშუალებას და საღს სწორწონაობას. გამოცდილებამ უნდა ასწავლოს ყველა კერძო ადამიანს—შეუძლიან თუ არა ძლიერ გულის ნდომას სასარგებლო და ძლიერი საქმეებიც თან მიაყოლოს. უნდა უფრთხილდეთ, რომ ძლიერ აღრეულად დაჩაგრული ნება სამუდამოდ ასეთივე არ დარჩეს. ჩვენთვის ძლიერი ნების ადაამიანებია საჭირო. საკუთარი ნების აღაგმვას არავითარს დარგში განდევილობა არ უნდა მოჰყვეს. დიდებულმა აღმზრდელმა სპენსერმა, რომელსაც ინგლისელები დიდის მადლობით იხსენიებენ თავიანთი ეროვნული ხასიათის განვითარების გამო, სთქვა: „განდევილობა განდევნილია ცხოვრებიდან და აღზრდიდან. დამოუკიდებელ ინგლისელ ბავშვისგან ვითარდება დამოუკიდებელი ინგლისელი. არ შეგიძლიანთ ერთი უმეოროდ გყავდეთ“. ნებასთან ბრძოლას საკუთარი ნების დაკარგვა არ უნდა მოჰყვეს, არამედ მისი განვითარება და კარგი მიმართულების მიცემა. კაცი უნდა ცდილობდეს ისე ხელოვნურად შეიმუშავოს თავის ნების ხელუხლებელი ძალა, როგორც ხელოსანი გამოჰყვეთს მარმარილოს ქვის ნამზღვევიდან—ქანდაკე-



ბას. განდევნილობას, რომელიც ნიშნავს ხორცის სიკვდილს და მასთან ნებისაც, არ მოუცია ჩვენთვის კულტურული მუშაკნი, არამედ—ცხოვრების უარის მყოფელნი. უმჯობესი იქნებოდა მთელი სიცოცხლის მოსპობა, ვიდრე შენარჩუნება მისი გარეგანის აჩრდილისა. კაცს მამაცობა უნდა შესწევდეს, რომ მთლად დალიოს თავისი დღენი. ამ სახით მას იმდენი სიმამაცე უნდა ჰქონდეს, რომ არ ჰკრთოდეს გულის ნდომისა და ბუნების ხმის წინაშე. აქედან გამომდინარეობს ბრძოლა, მაგრამ ესეც ხომ ბუნების კანონია. ადამიანი მხოლოდ ბრძოლით ვითარდება და თავს იცავს. მხოლოდ ბრძოლაში იჩენს თავს ძალები და სუსტები კი განიძევებიან შესაფერისს ადგილზე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ თავმდაბლობისა. ძლიერი ნების პატრონი იგრძნობს თავის გმირულ მოვალეობას, რომ მფარველობა გაუწიოს

სუსტსა. მხოლოდ იქ, სადაც სუსტი მობრუნდება სურვეს ჯიუტურად დაადგეს თავისი გზას და თავისი სისუსტის გამო მოითხოვს ზედმეტს უფლებებს, მხოლოდ ძლიერი მაშინ შეებრძოლება მას ბუნებისა და კაცობრიულის კანონის მიხედვით. დაუძლურებულთ შეუძლიანთ თავისი ძლევა მოსილობა შეინარჩუნონ მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფო იმათს ავტორიტეტს მფარველობას უწევს და უზრუნველ ჰყოფს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ყოველს შემთხვევაში და ყველასათვის მავნებელია. მკვდართა შემურვა ავტორიტეტით გონების წინააღმდეგია და ხანმოკლე; იგი იარსებებს იმ დრომდის, სანამ „არ გაიღვიძებს ბუნება, სანამ დრო და საჭიროება თავისი მძლავრისა და რკინის ხელებით არ შეეხება ცალიერს შენობას“.

ლ. ბოცვაძე.



ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიგიენა

(წერილი მესამე)

დედამიწა და მისი ზედაგი

თ ა ვ ი V


ზედაგის მნიშვნელობა ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ზემოდ, ცოტად თუ ბევრად, ჩვენ გავინანით სხვა და სხვა გვარი ნიადაგის აკუმულაცია და მათი თვისება, ახლა ავხსნათ რა კავშირი აქვს ზედაგის სიახ-კარგეს ადამიანის ჯან-მრთელობასთან.

ჩვენ ისე კი არ უნდა უცქეროდეთ დედა-

მიწას, როგორც რაღაც ღირს და უსიცოცხლო საგანს. ბუნებაში სიცოცხლე უგვეგანს სდუღს და გადმოდის, დედამიწას მძლავრად უბეჭს გუფი, სიცოცხლის მაცა...

ხალხ უოველივე მიზეზთა დასაბამი მიზეზი (primum mobile), როგორც წინეთაც გვითქვამს, უნდა მზეს მოგვითხოვთ. მზე ამოძრავებს მთელი ბუნების სიცოცხლის ჩარხს. უოველ გვარს ზრცეცეს რაიც კი დედა-



მიწის ზურგზე ხდება, თავის წყაროდ, საბა-
ბად აქვს მზის ენერჯია, მის სხივთა მადლი
და ძალა.

ვსთქვათ გვინდა შევისწავლოთ ჰროტესი
შექანაუერი, ჰროტესი ქიმიური ჰერში, წყა-
ლში, ზეადაგში და ნიადაგში; ვგეგმავნ და
ვეგეგმაფერში მზის ენერჯია არის მთავარი
მიზეზი, მისი შემოქმედებითი ძალა.

დასაბამით პირველ ქმნილი ენერჯია მზი-
სა არის, მისი ეოფლის შემძლეული სხივები,
რომელთაც მზე უხვად უგზავნის დედამიწას.
მზის სხივების რაოდენობით, მის შემოსავალ-
გასავალის მიხედვით განიზომება უფრგახო
დედამიწის და მასზედ მცხოვრებ ორგანიზ-
მთა სიცოცხლე, კეთილ-დეობა.

ცად და ქვეყნად ვერ დამისახელებთ ვერა-
ვითარ მოფლენას, მოქმედებს, ჰროტესს,
რომელიც უმზეოდ მოხდეს, აიღეთ ახლა რა
გვარზე გინდათ ფიზიკოლოგიური ჰროტესი.
განა შეიძლება მზის უნებურად მცენარე და
ცხოველი გამოისახოს, ბავშვი უმზეოდ გა-
მოხდეს, დაიბადოს. ჩვენი საზრდობა,
საჭმლის ხარშვა, სისხლის ბრუნვა, სხეულის
სითბო, მთლად ჩვენი ხორციელი სიცოცხლე
ვისგან არის დამოკიდებული, თუ არ მზისა-
გან, მის ცხოველ მეოფელ სხივებისაგან?!

მთლად ხილული მსოფლიო არის კანონ-
ზომიერებაზე დამყარებული ქმნილება, რომ-
ლის შექმნა და განვითარება სწარმოობდა და
აწ სწარმოობს მესხნიკის, ფიზიკის და ქიმი-
ის კანონთა ძალით, ხოლო ამ კანონებს გა-
ნაკებს დიდებული მზე თავის ცხოველ მეო-
ფელ სხივებით.

მზე ათბობს, მზე აცივებს, მზე ამოძრა-
ვებს ჰერს დედამიწის ზურგზე და მის გუ-
ლში. მზით ჰხარობს და სცოცხლდობს ეოფე-
ლივე სულდგმული მცენარე და ცხოველი.
მზის ბრადია გაზაფხული, ზაფხული, შემო-
დგომა, ზამთარი, ვარდი და ბუფბული, ეუ-

რძის მწითე ტევები და თურამი...
ლუბი...

მზის სხივების ენერჯია ჩვენს სახნავ-ნათე-
სში მარცვლიდან, თესლიდან აჩენს ახალს არ-
სებას—ისახება, დიფდება, ჯევილდება, იზრ-
დება, ჰევაავს, ვითარდება და მწითდება ჩვენი
სახდო მური. მზის განვლენით ქმინავს, სუ-
ნთქავს, დედამიწაც. *) მზის სხივები გვინა-

*) დედამიწამ ჰამა-სმაც იცის. აბა სცადეთ:

აიღეთ რამე მარლი ან ფოსფორმეავასი ანუ
კალიუმისა, მაგალითად ავიღოთ თუნდ გვარჯი-
ლა (აზოტმეავა კალი). გახსენით გვარჯილა
წყალში. ახლა მიწით სავსე შუშის ძაბრი ჩადგით
ბოთლში და მერე ის გვარჯილიანი წყალი დას-
ხით ძაბრში მყოფ მიწას. იცით რა მოხდება!?—
მიწა გვარჯილას მთლად შთანთქავს, ჩაჰყლაპავს
და სადა წყალი კი ბოთლში ჩავა. ვერ წარმოიდ-
გენთ რა სისწრაფით ინელებს, ითვისებს მიწა
თქვენს გვარჯილას! მერე კი რამდენიც გინდათ
მიწას თავზე ასხით წმინდა წყალი. ბოთლში ჩა-
სულ წყალში ერთს ნამცეცა გვარჯილასაც ვე-
ლარ იპოვით, მისი ხსენებაც კი აღარ იქნება.
ეს სასწაული იმას მოასწავებს, რომ საჭმელი
(გვარჯილა) ქიმიურად შეუერთდა დედამიწას
და სწორეთ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო
მიწისთვის. ზედმეტს კი რამდენიც გინდა გვარ-
ჯილა თავზე აყარო, ველარ შეითვისებს—ზომიე-
რებას არ დაარღვევს, ბუნების კანონს ვერ გა-
დავა.

დედამიწას ჰამის უნარი რო არა ჰქონდეს, მა-
შინ ვერავითარი მცენარე ვერ იშოვიდა მიწაში
საზრდოს. მაშინ მთელს დედამიწაზე—ხმელეთსა
და წყალში, სიცოცხლე გაჰქრებოდა, უმცენარეოდ
სიცოცხლე მოისპობოდა. მაშასადამე ზედაგის
დანიშნულება მარტოოდენ ის კი არ ყოფილა,
რომ მცენარის ძირები დაიმაგროს, მიწის მოვა-
ლეობა საჭმელი შეითვისოს და გულში მტკიცედ
შეინახოს, დაიმაზხოს, რომლითაც მან უნდა
ასაზრდოს მცენარენი.

დედამიწამ სმაც იცის. ეს ბევრგან გვქონდა
ნათქვამი—წვიმის და თოვლის წყალს, რთვილსა
და ნამს სვამს და როცა გულს ისრულებს, მო-
კარბებულ წყალს ქვევით, უფსკრულისკენ ის-



თებენ, გვინთებენ ბუნხარში ცეცხლს, გვიხარშვენ საჭმელს, გვითბობენ გულს სასტიკ ზამთარშიც კი (შეშით და ქვა ნახშირით), მზის სხივები სთესენ მიწხურთა გულში წმიდა სიყვარულს, — აღვიგებენ, ზრდიან, აწვითარებენ აღვზნებულ წმიდა ტრფილს... დამისხსნელეთ უმზოდ რას მოიმტყმედეთ.

ზედადგის თვისებას, მის სიავ-კარგეს, დიდი, ძრეულ დიდი კავშირი აქვს ჩვენს ჯანმრთელობასთან, რა უნარისაც ზედადგი და ნიადიგია, რა ჭკვა და ჭკერი დასტრიალებს თავს — იმის და შესაფერი მტენარე, ცხოველი და ხალხი ახვევია თავს, სცხოვრობს და ვითარდება.

დედამიწის ამხაქმენი ჭკერი მეტად ღარიბია ჩვენთვის საჭარო მყავდათ. ეს იმიტომ,

ტუმრებს და ზოგსაც მზის სხივებს აძლევს, ორთქლად ჰაერშივე ჰფანტავს.

დაღ, დედამიწაც თავისებურად სტოცხლობს: მოძრაობს გაუჩერებლივ, სუნთქავს, ქშინავს, სჭამს, სვამს, ცხოველთა და მცენარეთ აჩენს, არჩენს, მერე დაბერდება, გაცვდება და როცა იქნება კიდევ მოკვდება, მოისპობა, ისევ თავის მშობლის გულზე მზეზე დაეცემა, გულში ჩაუვარდება. ხოლო მზე დედა მისი, ვით მოსიყვარულე მშობელი, ამდენ საუკუნეთა უნახავს შვილს, ისეთის აღვზნებულ სიყვარულით ჩაიკონებს გულში, რომ ჩვენი დედამიწა ისევ ცეცხლათ, ორთქლად, გაზად გარდაიქცევა — „მზე იყავ და მზედვე მიიქციო“.

აქ უეჭველად, უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერების თვალთა ხედვით, მსოფლიოში სიკვდილი არ არსებობს, ბუნებაში არაფერი არ ისპობა. ქართველებსაც დიდხანია შეუგნიათ ეს ჭეშმარიტება. მეტად მშვენივრად, ზედმიწევნით გვაქვს დახასიათებული ეს დიდებული პროცესი ბუნებისა, როდესაც ვამბობთ: გარდაიცვალა. ამ სიტყვით იმას ვამტკიცებთ, რომ მთლად მსოფლიოში რაც კი რამ მატერია (ნივთიერება, მასალა) არსებობს, ყოვლად მოუსპობელია, მაგრამ იმავე დროს ქვეყნიერებაზე სრულებით არ მოიპოება მარად უამს უცვლელი, გარდაუქმნელი, გარდაუცვლელი ორგანიზმი, არსი და საგანი.

რომ ზედადგის გულში ბევრი მყავდათ — ისარჯება ქიმიურ პროცესებზე. სამაგიეროდ, ამხაქმენი ზედადგის მეტად მდიდარია ჩვენთვის სასუნთქველად მავნებელ ნახშირმყავა გაზით. აქედან ამჟამად ხდება:

1) ჩვენთვის სასუნთქველად ჭკერის ზედა სართული სჯობს.

2) მიწისშირი, შესამან ჭკერის სუნთქვა მავნებელია.

3) ცხოვრება მადლობზე სჯობს, ვიდრე ჩავარდნილ ადგილას ანუ მომხამულ გუბე-ჭაობიან მინდორ-ვაკეზე.

4) შთა და მისი ფერდობი-გვერდა კალთები საცხოვრებლად კარგი და უკეთესია.

5) შთაზე თუ მადლობზე სახლი უნდა იმ მხარეზე ჩავდგათ, რა მხრივაც მზე მთელი დღე თავს დასტრიალებს.

6) შთის ფერდა — გვერდა იქნება, თუ სხვა რამ შესაფერი ადგილი, მისი ჩრდილო მხარე, ჩრდილოეთი საცხოვრებლად მავნებელია, რადგან მზე ძრეულ ნაკლებად შემოიხედავს ჩვენს სახლში.

7) საუკეთესოა აღმოსავლეთის მხარე — ამამავალი მზე ზირდაშირ შემოიხედავს სხივის კონებს და თითქმის შუადღემდე გვაღებენს.

8) აღმოსავლეთს დასავლეთის მხარე სჯობს — თითქმის მთელი დღე, ვიდრე მზე არ ჩავა, ჩვენი სახლი მზის სხივებით სავსე იქნება, ჩრადდანივით გაგვიხათებს.

9) სახლი თუ ორ ზირია, მამინ შეგვიძლიან ფანჯრები აღმოსავლეთისკენაც გვეჭამდეს და დასავლეთისკენაც.

10) დასავლეთს და მამასადამე უკვლა მხარეს საცხოვრებლად სამხრეთი სჯობს.

11) უნდა ვეცადოთ, რომ სახლის კარი ფანჯარა სამხრეთ — დასავლეთისკენ იტვირუბოდეს და ეზო კარ-მიდამაც მზის გულზე იყოს.

12) მზის სხივების ძლიერება — ენერჯია აუარებელ ბაქტერია-ბაცილებს ჭხოცს ჩვენს სა-

ცნობრებულ ოთახის ჰჯერში, სახლში და ეზო-ში, ამით თავიდან გვაშორებს ათას ნაირ ჭირს და უბედურებას. და თუნდაც ვინმე გავგინდეს ავად, ვინმემ შემოიბრანოს რამე ჭირი, ჭირის მსუფულობა ადვილად მიმდინარეობს, ავადმყოფი მზის გულს ოთახში ადვილად და მალე განიკურნება, ჭირს ადვილად იხდის.

13) სოფლის ხალხმა, მამულის ჰატრანმა თუ მუშაკმა, ძრეულ კარგად იცის, რომ ვაზს მუუდრო, ზვარი ადგილი უყვარს, მზეზე უკეთ მწიფდება ურძენი და უკეთეს ღვინოსაც იძლევა, „პური და ღვინო გვაღვისაო“ ამბობს ჩვენი ხალხის სიბრძნე და მშვენიერადაც, თავისებურად დაუხასიათებიათ მზის სხივთა დიდი მნიშვნელობა. ჰო და ჩვენ და მეტადრე ჩვენს შვილებს, ნორჩს თუ მოზარდ თაობას, მზის სხივები იმდენათვე ესაჭიროება, რამდენსაც ვაზს, მაგრამ ქართულ კაცს დიდი ხანია შეუგნია მზის ძრეულება და მისი სხივების მადლი, დღესაც ქართველი კაცი მზეს ფიცრულობს; „ჩემმა მზემ“, „ჩემი შვილების მზემ“ „თქვენმა მზემ“ ჟერაც ხშირად გვესმის ქართველის ჰირიდან.

მაშ ასე: მზის მნიშვნელობა ჩვენი სახლისთვის, ჩვენი და ჩვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის ხომ უკვე გავიცანით; ახლა ნიადგის ანუ ზეადაგის არჩევა ვისწავლოთ:

1) თუ თქვენი სახლი თიხნარ ნიადგზე სდგას და მეტადრე თუ კარმიდამო ვაკე ადგილზე არის, ამისთანა ადგილი საცნობრებლად არ ვარგა აიუარენით „ცრუდი ფუძია“.

2) წვიმა-წყალს, როგორც უკვე ვიცით, თიხს ანუ აულო წყალს მიწის გულში, ქვევითკენ არ უშვებს, გუბედ, ტბორედ სდგება, ამ გუბე-ნატობში წყალი შმობრდება, შიგ ათასი რამე საძაგლობა იხრწნება, ცნობრულთა და მტენარეთა ნაწილები შიგ ღვება, მიახმებს აჩენს.

3) გუბეებს მზე რაცა ამრბოს, აერთელე-

ბული ერთქლი და ბული ჰჯერში ადის, ამ შესამინ ჰჯერს ჩვენდა უნებურად ვსუნთქვით, ფილტვებში და სისხლში შეგვაქვს, თავს ვიწამლავთ.

4) ქვიშნარი (ქვიშაჭარბი) ნიადგი საუცნობრო საცნობრებელი ადგილია, რადგან წვიმის წყალს ცხავივით უშვებს და შიგაც არაფერი შმობრდება. თუ რომ სხვა ჰირობებიც ხელს უწეობს საცნობრებლად, ქვიშნარს ნიადგი არ შეედრება.

5) ქვიშნარ ნიადგს უყვარს კარგთან ერთი ცრუდი სჭირს: ზაფხულში, დღისით, მზე ძრეულ ახურებს, აცხელებს ქვიშას. ხოლო დღამდება თუ არა, ქვიშა უეცრად ჰჯარგავს მზიდან მიღებულ სითბოს, ჰჯერი უცტე ციუდება და თუ რომ სიფრთხილით არ მოვიქციეთ (თბილი რამ უნდა წამოისხათ) ადვილად შეიძლება გავცივდეთ, დაგვემართოს მტვალდი, ფილტვების ანთება და სხვა...

6) შავი მიწისანი ნიადგი ძრეულ მხურვალეა და თუ რომ შიგ ადარაფერი იხრწნება, საცნობრებლად არა უჭირს-რა.

7) უფრო ხშირად შავი მიწა, მისი ფულურობები, ბუდეა ათას გვარ მიკრობრგანიზმისა.

საზოგადოთ, ჩვენი ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ზეადაგში და ნიადგში წესიერად სწარმოობს მზის სხივების მუშაობა, ჰჯერის და წყალის მოძრობა და სხვა უოკელ გვარი ჰრცტესი ქიმიური და ფიზიკური.

ზეადაგში ბლომად სცნობრობენ მრავალ გვარი თვალთ უხილავი ცრცხლდი არსებანიც, მიკრობრგანიზმები. ამათში თუმცა მტერი ბევრი გვევს; მაგალითად ფილმქიურს და სხვ., მაგრამ მოკეთენიც ბევრი აღმოგვიჩნდნენ.

არის ერთი მეგვარჯილე ბაქტერია; სადაც თურმე ზეადაგში ამიაკს შესვდება, ამჟავებს და განგებ თუხაფად (აზოტმჟავად) გარდაქმნის ხოლმე. ამით ჩვენი მოკეთე ქიმიკოსი



ბაქტერია, მცენარისთვის ძნელად მისაწვდომად აზოტის მარტობას არღვევს, შით მცენარე უკეთ ითვისებს საზრდოს და გამოსავლსაც (ჭირნახულს) მეტს და უკეთესს იძლევა.

ერთი ბაქტერიაც ვიცით, რომელსაც სულაბოდ ის გაუხდა, რომ სადაც-გი ზედაგში აზოტის იზოვის, თავისკენ იზიდავს. განსაკუთრებით ბუდობს ცერცვის, ბაკლას, ლობიოს, იონჯის და სხვა ამათ გვარ მცენარეთა ძირებზე. ამ მცენარეთათვის აზოტი აუცილებლად საჭიროა საზრდასაკვებად და ბაქტერიაც მზა-მზარეულად უზიდავს, ძირებისკენ უხლავს. აი ამისთანა კეთილმოყოფელ მუშაკთა უნარია, როცა კარგს და ბლამა მოსავლას იძლევა ჩვენი ბოსტნეულობა — ლობიო, ცერცვი, მუხუდო და სხვ... დიად, ბატონებო, ჩვენს უხილავად, საიდუმლოთ ბევრი რამ სასწაული ხდება სიცოცხლით სავსე ბუნებაში.

ამას წინეთ ერთმა ნემეცმა მეცნიერმა ზედაგში იმისთანა ბაქტერიაც აღმოაჩინა, რომელიც ფიჭვის მისხურობს. ეს ბაქტერია ფიჭვის ხეს ძირში, ფესვებს შეეხიზნება ხოლმე და სამაგიეროს იმათი უხდის ფიჭვს, რომ მის ძირების ფიჭებს უზიდავს საჩინო-საბადებელს, აბა ვინ იცოდა თუ ამ ბაქტერიის უნარი იყო, როდესაც ფიჭვის ხე იმისთანა კლდეებზე ხარობს, სტხოვრობს, რომ კაცი გაკვირვებული რჩება — ხეტა თუ რით საზრდობს აქ ეს მცენარეა?!

ერთმა ახალგაზდა სწავლულმა რუსმა სკოლის ბაქტერია აღმოაჩინა. თურმე ამ ბაქტერიითა სიმრავლეზედ არის დამოკიდებული სკოლის კარგი მოსავალი.

რაც შეეხება სხვა და სხვა ჭირის მიერ მოტანილ მუხებს, ზედაგში დიდი ხანია აღმოაჩინეს ბაცილები (ხიარები) ციმბირის ჭირისა, საოფლე სახადისა, ხორგელისა, ავისიმისონისა და ის ბაცილაც, რომელიც ადამიანს ხერხემლის ტვინს უდაბლავს, კაცს უეცრივ გააშეშებს ხოლმე და ისე გვღებთ.

მერე საიდან და როგორ გაჩნდნენ ზედაგში, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ჩვენი თვალთ უხილავი საშინელი მტრები? აღმოჩნდა, რომ უმთავრესად თვითონვე ადამიანი ხელს უწყობს თავის მტერთა აღმოჩენას, მათს ფუფუნებას. ზედაგს წელიწადი თორმეტი თვე დაყინებით თავზე ვაერთათათს ნაირ უწმინდურებს: ნაკვს, შარდს, განავალს, ძაღვის და კატის მძივს, ჭირიან საქანელს და ფრინველის ლეშს და სხვა ათას გვარ სისამაგელს. ესე ყოველივე იხრწნება ნეტოს და მზის სხივების ზეგავლენით, ჭირის ბაცილები მშვენიერ ზიარობებს ჭხოვლობენ აქ თავის სააღმარებლად, გასამრავლებლად (მეტადრე ზაფხულის სიცხეში), ხოლო როცა წვიმა მოდის, ბაცილებიც მიწაში, ზედაგში ჩააქვს და იქ ელიან თავიანთ ახალ ბედს. ელიან იმ დრომდე, ვიდრე დროანი დაუდგებათ, შემთხვევა მიეცემათ და საქანელის ან ადამიანის სხეულში გამართავენ ბუქნობას, ქორწილს და მუჯლისს.

ბევრს სულაც არა სჯერა ამ ბაცილების ამბავი, რადგან თუ არ მიკროსკოპით, თვალთ არა სჩანან. მაგრამ ფილოქსერა კი ჩვენში მგონი იწამეს. ერთი ამბავიც მოხდა რუსეთში, რომელიც ფიუტიც-კი დაარწმუნა, რომ კაცს უხილავი მტერიც ბევრი ჭვავს.

ერთს სოფელში ციმბირის ჭირი საქანელს საშინლად მუსრავდა — სულ გააჩინავა, ზოლიცამ სოფლის გარეკ ერთი ადგილი მიუთითა და ჭირით დახტვილ საქანელს იქ ამარხვინებდა. ამ ჭირიან სასაფლავს ხარხის დობე შემავლეს, რომ საქანელის ფეხი არ მოხვედრებოდა. გადიოდა დრო, ჭირიც ჩაქრეს. საქანელი დობის გარეკ არხვინად სძოვდა, მაგრამ სოფლელები დახარბდნენ ჭირიან სასაფლავზე ამოხულ სამფარ ნოყიერ ბაღასს და, საკვირველებს კი მოხდა: სასაფლავს ძივით გადაივლიდა თუ არა საქანელი, ციმბირის ჭირი მგელივით ეცემოდა ხოლმე,

გაკუდავდა ძრახს თუ ხარს! ვიდრე ჭირინი
სასაფლაო ხელმეორედ არ ამოქაღეს, სოფელ-
ში ჭირი არ მოისხა.

დიდებულმა, უკვდავმა მეცნიერმა ჰსტრემა
ისიც დამტკიცა, რომ ციმბირის ჭირის ბა-
ცილება ჭიაუელებსაც ამოაქვთ შიწიდანა *).

ზედაგის და ჭყერის სიკეთეზე დიდი გავ-
ლენა აქვს იმასაც, თქვენს ეზოში და მის
გარშემო არე-მარეში რა გვარი მცენარეულ-
ბა სთესია, რა ჯიშის ხე და ბუჩქი იზრდება.
ეს მცენარეულობა რამდენად ხარბად სწოკს
ნიადაგიდან წყალს, საჭირო წვენს და სხვ...

გუბე-ჭაობისგან განსხვავებული ნიადაგის
და მისი ჭყერის გასადება, გამოკეთება შეიძ-
ლება შემდეგი ხერხით:

1) დასთესეთ თქვენს ბოსტანში იმისთანა
მცენარეულობა და დარგეთ თქვენს მამულში
იმ ჯიშის ხეები, რომელნიც ხარბად სწოკენ
წყალს ზედაგიდან. —

2) მზეუჭჭრიტე ანუ ლილითარა, სვია
ანუ ფშალა და მეტადრე ავსტრადიის ხე ე-
კალიპტი ამ საქმეში დიდად დაგეხმარებათ.

3) ეს მცენარენი არამც თუ ადგილს აშრო-
ბენ, რაც რამ ზედაგში მანებელი და აშშო-
რებული გაზია, სულ თვათონ ითვისებენ,
ასადებენ.

4) ამ გვარად ჭყავა ძლიერ იცვლება და კე-
თილ შეზავებული ჭყერი ჯანს უსადებს და-
ხაშმულს ხაღხს **).

5) ზემოდ დასახლებული მცენარენი მალე
იზრდებიან და ძლიერ ბევრ წყალს სვამენ,

ხოლო მოჭარბებულ წყალს ფოთლების შემ-
წეობით ჭყარში ერთქადად ჭყვანტავენ.

6) მეტად შესანიშნავია ამ მხრივ ეუკალიპ-
ტის ხეები. სუხუმის სინკტიე მთლად ამ
ხეებმა ამოაშრეს.

გუბე-ჭაობიან ადგილებს, როგორც ვიცით,
ძლიერ ეტანებიან კოლმ-ბუხები. ჭო და ესე-
ნი ახენენ საშინელ ციებ-ცხელებას დასავლეთ
საქართველოში (მეტადრე ზღვის ნაპირებზე)
და აგრეთვე ალაზნის და იორის ამ ადგი-
ლებზე (ბოლოებზე), სადაც მდორეთ მიმდი-
ნარეობენ.

ზოგიერთს გუბეები და ტბორე ადგილები
შეიძლება სრულებითაც დავაშროთ. ამ გზას
დიდი ხანია დაადგენ ფოთში, სოხუმში, ბა-
თუმში და სხვაგან. აი ეს რანაირად შეიძლება
მოხერხდეს:

1) გუბის წყალი ახდილ არხით წაიღეთ
(წაიუვანეთ) და უახლეს მდინარეს ან ტბას და
ზღვას მიეცით.

2) თუ რო მდინარე წყალი ანუ ტბა ახლოდ
არ გახლავსთ, შეიძლება უახლოეს ღელეში
ჩაუშვათ ახდილ ანუ დახურულ არხით.

3) აქა-იქ და შორი-შორს ჭები ამოთხარეთ
იმ სიღრმემდე ვიდრე თიხნარს, აჟალო მიწას
ჩასცილდეთ და ვიდრე იმისთანა ნიადაგს წა-
აწყდებით, რომელიც ცხვივით (ქვევით,
უფსკრულისკენ) გაუშვებს აშშორებულ გუბე-
ჭაობის წყალს. ესე იგი ქვაშიანი ნიადაგი
უნდა იზოგოთ, ქვიშამდე უნდა ჩახვიდეთ.

საზოგადოთ ბრძოლას საჭირო. უნდა ვე-
ცადოთ ჩვენი საცხოვრებელი ადგილი გავ-
ჯანსაღოთ, ჭირის მიზეზები აღმოვფხვრათ,
რა ზედაგსა და ნიადაგზე ვცხოვრობთ, სახ-
ლი გვიდგია, მიწა და ადგილი სადი გავხა-
დოთ. ჯანსაღ ნიადაგზე დასახლებული ხაღ-
ხი, სოფელი თითონაც ჯანსაღია.

არ უნდა მოვშინოთ ხოლმე ჩვენივე ხე-

*) კიორის ბაქტერიებზე ცალკე გვექნება ბაასი
მე-5 წერილში.

**) შემდეგ წერილში ცალკე ბაასი გვექნება ამ
სათაურით „ტყე და მისი ჰაერი“.



ლით ის ზედაგი, რაზედაც ვცნობრბთ. ადარ დაფანაგვიანთ ნაყარ-ნუყართ, განაყა-ლით და ათას გვარ მძორით ადარ წაბილ-წით.

ყოველ გონიერ ადამიანს კარგად ესმის და სუინიდიიც ავალებს. სუეთად იცნობრბს, კარშიდამიც სუეთად შეინახს. არც თვითონ იავადფს და არც რამ ჭირის გამავრცელეული მიზეზი განდეს.

ჭიგიენა აი რა რჩევას გავძლევს:

1) დიდ ქალაქების ქვეშ გაიყვანეთ თადიანი არხები, თების ადგილების და სხვა უწმინდურების სადენად და მდინარე წყალში ჩაუშვით. მაგალითად, მთლად თბილისის უწმინდურება მტკვარში ჩადის თყარული არხებით. მარტოადენ სოფლდაკის ხევი აიღეთ, რამოდენა სიკეთე მოაქვს თბილისისათვის. მეტადრე დიდი წვიმა-ნიადვრის დრფს სავანგებოდ ირეცხება მთელი ქალაქი.

2) სადაც უსადნობის გამა არხები ვერ მოახერხოთ, უნდა ყოველ გვარი უწმინდურება ქალაქს ანუ სოფლის გარეთ შორს გაიტანოთ, ურშით გაზიდოთ და შინდორს მჭჭოინოთ, ისე როგორც ზატავს ჭოენთ ხოლმე, სასუქზე უკეთესად ამატივებს მიწას და თვითონ ზეადაგიც მოყრევა—მზის სხივების შემწეობით უფნებელ ხდის უწმინდურებას.

3) დიდი მდინარე წყალი (რიონი, მტკვარი და სხვ.) აგრეთვე ადვილად ინელებენ და ანელებენ უსუეთაობის და წუმზე განაყადის შხამს. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში წყალს ძრიელ ეხმარება ის ზედ-მეტი მყავბადი,

რამლითაც მდინარეს წყალთა მტენარენი (იამი) ამდიდრებენ. გარდა ამისა, რამდენადაც მდინარე წყალი ჩქარია, იმდენად უფრო ჩქარაც უქრბბს ძრიელებს ყოველსავე უწმინდურებას (ქიმიურად და მექანიკურად). *)

ბუნებაში სულ უბრალა მტენარენიც კი იბრძვიან არსებობისთვის. ერთმანეთს გამწვა-ვებული ეცილებიან ნოყიერს მიწა-წყალს, მზის სხივებს და ჭყარს, ვიმეორებთ, ყოველ ცხოველს და მით უფრო ადამიანს ბუნებთთვე აქვს თანდაყოლილი ინსტიკტი თავის დაცვისა, ჭიგიენაც ხელთ გვაძლევს საბრძოლველ იარაღს და გავსწავლის, როგორც უნდა ვიბრძოლოთ, რამე ჯანმრთელად ვიცნობრბოთ. ნეტა თუ ვინ იქნება იმისთანა თავზე ხელ ალებული, რამე ჭიგიენას დარიგება არ უსმინოს, თავისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე მწვანილის თასად გადაგდოს! რად უნდა მივიყვანოთ იქამდე საქმე, რამე ავად გავხდეთ, თუ კი შეიძლება ჭიგიენურ ზომებით ჩვენი მომავალი მტერი თავიდან ავიცილინოთ, რად უნდა დავსნუელდეთ უგუნური ცნობრბებით და უდროოდ რათ უნდა გამოვესაღმოთ ამ წუთისათყელს? ნუ თუ ის არა სჯობს წინადვე შევეცადოთ ჭიგიენურ ცნობრბებას—ჩვენც ჯანმრთელობით, დღეგრძელეობით დავსტებეთ, გავინაროთ და ჩვენი მოყვასიც.

ილ. აღნაზიშვილი.

*) იხილე ჩვენი წერილი „წყალი“; იქ დავგრილებით არის მოხსენებული.



ნიკოლოზ ბარათაშვილი

(გაგრძელება)

✓

სიყვარულის გრძნობა

მოდრე ამ საკითხს გავარკვევდეთ ბარათაშვილის თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია გავისხენოთ რუსთა კრიტიკოსის ბელინსკის თავისებური აზრი რომანტიზმის და მასთან შეერთებულის სიყვარულის შესახებ.

ადამიანი ვითარდება, ახალ-ახალს აზრებს იძენს. ის ღღეს ისე აღარ ფიქრობს, როგორც გუშინ ფიქრობდა. თითოეული ადამიანი თავის დროის შვილია და ისტორიის მოწაფე რომანტიზმი ამის გამო სხვა და სხვანაირია... მას აქვს თავისი ისტორიული ზრდა-განვითარება.

აღმოსავლეთში სიყვარული გრძნობის ლტოლვილებას ვერ გასცილდა. აღმოსავლეთმა შეიმუშავა ამ გრძნობაზე დამყარებული ოჯახობრივობა, რომელიც სიყვარულის პირველს საფეხურად წოდებულია. შვილის ყოლა აღმოსავლეთში ბედნიერებად ითვლებოდა, ხოლო უშვილობა — უბედურებად. აღმოსავლეთის მრავალ-ცოლიანობა ცნობილია. ჰარამხანა აღმოსავლეთის კუთვნილებაა. იქ ქალს უტყვეროდნენ, როგორც ცოლს და არა როგორც დედაკაცს. ქალი ითვლებოდა ნივთად. ის გაჩენილი იყო კაცის წუთიერ ვნებათა დასაკმაყოფილებლად.

საბერძნეთში სიყვარული თვის განვითარების უმაღლეს საფეხურზე სდგას... მართალია, საბერძნეთშიც სიყვარული გრძნობითი ლტოლვილებაა, მაგრამ ეს

ლტოლვილება გაცხოველებული და დავვირგინებულია სიმშვენიერის იდეით. საბერძნეთის მითების თქმით, ჯერ გამოჩნდა ეროსი (სიყვარული) და მას მოჰყვა აფროდიტა — ქალის სიმშვენიერე. როდესაც აფროდიტა დაიბადა ზღვის ტალღათა შორის და გამოვიდა ნაპირს, მაშინვე შეუერთდა მას სიყვარული და სურვილი... მაგრამ ბერძენთა სურვილს საფუძვლად ედვა ზნეობრივი გრძნობა. მათ სამი ჯენერა ჰყავდათ: ა) ურანია (ციური), ბ) პანდემოსი (ჩვეულებრივი) გ) აპოსტროფია (ზიზღის მომგვრელი, გამაფრთხილებელი) ამისდა მიუხედავად, ბერძნის სიყვარულის უმთავრეს ელემენტად ითვლებოდა თავდაუქცრელი ვნებითი ლტოლვილება, რომელიც თხოულობდა ან დაკმაყოფილებას, ან სიკვდილსა. სიყვარულის ღმერთს ეროტს ბერძნები სთვლიდნენ საშიშს და მრისხანე ღმერთად. ფილოსოფოსმა პლატონმა სიყვარულს ზესთა ბუნებრივი, ციური ხასიათი მისცა... თქმულიდამ ცხადად სჩანს, რომ ბერძნისთვის ქალი არსებობდა მხოლოდ იმ მხრით, რამდენადაც ლამაზი იყო და თვის სილამაზის სხივით მის ხორციელ ვნებებს აკმაყოფილებდა. რამდენად მორცხვი იყო ქალი, იმდენად მამაკაცი უფრო სტკბებოდა ვნებათა კმაყოფილებით. ბერძენთა პოეზიაში სიყვარული წუთიერი საქმეა... ბერძენმა თუ ვნება დაიკმაყოფილა ერთთან, ახლა სხვას ეძებს. . და მსგავსი გარემოება სულმნათმა რუსთაველმა მეთორმეტე საუკუნეში დაჰგმო:



„მძულს უგულად სიყვარული
ხვეწა, კონცა ტლაშა-ტლუში...“

„აჲ საქმესა მიჯნურნი
ნუ უხმობთ მიჯნურბასს:“

დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა,
სთმობდეს გაყრისა თმობას!“

იგო (სიყვარული) სხვაა, სიძვა (მრუშე-
ბა, გარყენილება) სხვაა, შუა უძვეს დიდი
ზგარი (სამძღვარი).

ბერძნის სიყვარული სილამაზით გაიზო-
მებოდა: თუ ქალმა დაჰკარგა სილამაზე,
ბერძენსაც მის მიმართ სიყვარული ეკარ-
გებოდა. . . რომანტიზმის საფუძველში
დიდებულია მისტიციზმი; საიდუმლოება,
ცოტათ თუ ბევრათ ბნელი, გამოურკვე-
ველი... ეს იმიოთ აიხსნება, რომ რომან-
ტიზმის უმთავრესი ძარღვია გამუდმებული
და განუსაზღვრელი ლტოლვილება, რო-
მელსაც ვერ სპობს ვერც ერთი დაკმაყო-
ფილება. რომანტიზმის წყარო ეს გულ-
მკერდის საიდუმლო შინაგნობაა, სისხლის
მიერ მოძრავი გულის მისტიური თვისე-
ბაა. ამის გამო თვით ბერძენთა ღმერთებს
მიწიერი, სამქვეყნო თვისება ჰქონდათ...
მაგრამ რომანტიზმი არ იყო უმთავრესი
ელემენტი ბერძენთა ცხოვრებაში: ის
ემორჩილებოდა მათ შორის სხვა უფრო
მთავარს ელემენტს—საზოგადოებრივი და
მოქალაქობრივი ცხოვრებისას. ამის გამო
ბერძნული რომანტიზმი საზოგადოდ სი-
დუხჭირემდის არ მისულა... მას თავს
დასცქეროდა ბერძნულის სულის სხვა
მხარეები... ასეთი არ იყო რომანტიზმი
საშუალო საუკუნოებში... დადგა დრო,
როდესაც უფნურება—დიდს სიბრძნედ
ითვლებოდა, სიბრძნე კი—სისულელედ.
სიკვდილი ითვლებოდა სიცოცხლედ,—
ხოლო სიცოცხლე—სიკვდილად... ქვეყა-
ნა ორად გაიყო: სააქაოდ და საიქიოდ.
პირველი უნდა სძულებოდა ადამიანს,—

მეორე კი ჰყვარებოდა. სხეულს უცქერო-
დნენ, როგორც სულის საპყრობილეს, ამ
სოფელს კი—სთვლიდნენ სულის ტყვეო-
ბის, მწირობის ქვეყანად... ადამიანის სამ-
შობლო ზოგიერთი მოციქულების და
საეკლესიო მამების სიტყვით ცაშია,—ის
მის სულს უკვე დაკარგული აქვს ცოდ-
ვების გამო და თვისი კეთილ საქმეებით
და თვისი თავის უარყოფით მან უნდა
მოიპოვოს თვისი სამშობლო,—თვისი
ახალი იერუსალიმი, ქალაქი უფლისა...
საშუალო საუკუნოების ფანატიზმი (მიბრ-
ჯნილობა), აუტო-და ფე, ინკვიზიცია,
ბართლომეს ღამე, იეზუიტები და მათი
კატეხიზმო ცნობილია; (დრებერი, ბოკ-
ლი და სხვ...) ბოროტ-მოქმედება მაშინ-
დელი სინანულით თავდებოდა... პატივის
მოყვარება, სახელის მოხვეჭა გახდა საც-
ხოვრებისო მოთხოვნილებად. ქალი მეფედ
გახდა საშუალო საუკუნოებში... მაშინდე-
ლი რაინდობა ვასაკვირელი მოვლენა
იყო. რაინდის იდ ალი იყო ქალი —
„გულის ბანოვანი“... მხოლოდ ერთი
ფიქრი იმის შესახებ მას აძლევდა მხნე-
ბას და ძალას. გრძნობითი ლტოლვილე-
ბა მისდამი მას არ ჰქონდა. ასეთი ლტოლ-
ვილება ცოდვად მიაჩნდა, „გულის ბა-
ნოვანის“ შეურაცხყოფელად. რაინდის-
თვის ამავე დროს ძნელი არ იყო სხვა
შეერთო და ათას სხვა ქალთან ჰქონე-
ბოდა კავშირი... თვით „გულის ბანოვა-
ნის“ შეერთვა დიდს ცოდვად ითვლებოდა
რაინდისათვის. რაინდს ის უყვარდა პლა-
ტონისებურის სიყვარულით,—უყვარდა
მხოლოდ სიყვარულის გულისთვის. საშუა-
ლო საუკუნოებმა უფრო მეტი სულიერი
ელემენტი შეიტანა რომანტიზმში. ამის
გამო საქმეო აღარ იყო ქანდაკება, არა-
მედ საჭირო შეიქნა მხატვრობა სულის
მოძრაობათა მკაფიოდ გამოსახატავად.

მწარე სინამდვილე ქალს საშუალო საუკუნოებში უბედურს არსებად ხდიდა. გათხოვილი ქალი მონად ითვლებოდა. მას ელოდა ტანჯვა და წვალება, აუტანელი ჯაფა და ათასნაირი შევიწროება, — ელოდა სიკვდილიც, თუ თავის ქმარს უღალატებდა და სხვას ვისმესთან ხორციელს კავშირს დაიჭერდა. საშუალო საუკუნოების რომანტიზმი თავის მისწრაფებით პოეტურია, ხოლო განხორციელებით, სინამდვილით კი — მდაბალი ხარისხისაა და თანაგრძნობის ღირსი არაა...

მაგრამ საშუალო საუკუნოების რომანტიზმს წესი აუგო განათლებამ, ამერიკის აღმოჩენამ, სტამბის შემოღებამ, თოფის წამლის გამოგონებამ და კლასიკურ სიძველეთა შესწავლამ. ყველა ამან გააფართოვა ადამიანის სოფლ-მხედველობა, მიანიჭა მის სულის აღმა ფრენა, დაუყენა სხვა საკითხები და უჩვენა სახსარი ცხოვრების ყოველ მხრივ გაუმჯობესობისა. ჩვენის დროის რომანტიზმი შეერთებაა ყოველ საუკუნეთა რომანტიზმისა. ადამიანის არსება ორნაირად განიყოფება: ერთია შინაგანი, სულიერი მხარე — გული, — მეორე კი გონება ცნობასთან შეერთებული. თანამედროვე ადამიანის ბედნიერება ამ მისი ბუნების ორი მხარის თანხმობაზეა დამყარებული. ნათქვამია, „გული, ცნობა და გონება ერთმანერთ ზედან ჰკიდიან“ — (შოთა). სულიერი ბუნების საუკუნო მოთხოვნილებაა რომანტიზმი და ხოლო სიყვარული კი ჩვენის სიცოცხლის პოეზია და მზეა. სულიერი ბუნების ძირითადი ნიადაგი, საძირკველი გულია; ადამიანი, თუ არა აქვს სიყვარული და სიძულვილი, სიმპატია და ანტიპატია, — მხოლოდ აჩრდილია. მაგრამ ვაი მას, ვინც მოიფიქრებს თავის ბედნიერების დამყარებას მხოლოდ მარტო სიყვარულზე და მარტო

გულის სიცოცხლეში იმედოვნებს! ვინც ვოს ყველა თავის ლტოლვილებათა დაკმაყოფილება... გულის მოთხოვნილებათა გარეშე არსებობს ნამდვილი ქვეყანა, რომლის შვილია თითოეული ადამიანი; ის თავისი მამულის მოქალაქეცაა და ამის გამო ვალდებულია გული შესტკიოდეს მის არსებით ინტერესთათვის და თავდადებულად, შეძლების და გვარად, ხელს უწყობდეს მის წარმატებას, წინსვლას და აღყვავებას, მასთანავე კაცობრიობის სიყვარული უნდა იყოს ადამიანისთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც უნდა ასხივცისკროვნებდეს მის სიყვარულს სამშობლოს მიმართ. ცოდნა, ხელოვნება, სამოქალაქო მოღვაწეობა აწინდელი ადამიანის ის მხარეა, — რომელსაც ცოცხალი, არსებითი კავშირი უნდა ჰქონდეს მის რომანტიულ მხარესთან, ანუ მის შინაგან სულიერ ქვეყანასთან, ისე რომ ამ უკანასკნელმა მხარემ არ განაქარვოს პირველი მხარე.

კაცი, რომელიც გულით ცხოვრობს და ქალში პოებს ცხოვრების მიზანს და აზრს, მიაღწევს ცივს ეგოიზმამდის, რომლის ძალით მარტო თავისთავისთვის იცხოვრებს და თავის პიროვნების გარეშე არავის და არაფერს იწამებს. ჩვენს დროში სავალდებულოა საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწეობა არა მხოლოდ მამაკაცისათვის, არამედ დედა-კაცისათვისაც. თუ კაცისთვის სირცხვილია მხოლოდ მამლად ყოფნა იმისგამო, რომ ის ადამიანია, ქალისთვისაც სირცხვილია, მხოლოდ დედლად ყოფნა, რადგანაც ისიც ადამიანია. ამის გამო თუ ქალის მოქმედებას იმითი შეზღუდვენ, რომ მოსთხოვენ ქალწულობაში სიწყნარეს და უმანკოებას, მიუთითებენ გათხოვების შემდეგ მხოლოდ საწოლის ოთახზე და გაამწესე-



ბენ სამზარეულოში საქმლის მოსამზადებლად, ის მოკლებული იქნება ადამიანის უფლებებს და დედლად გადიქცევა შვილთა აღზრდისთვის, რომელიც დედის უდიდესს მოვალეობას შეადგენს, საჭიროა განათლება, ცოდნის შეძენა, ხელოვნების შეთვისება... ჩვენ უნდა ვუცქიროთ ქალს, პირველად, როგორც ადამიანს, მეორე — ცოლს, დედას, დიასახლისს და სხვა... ქალი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ქმრის და შვილების სიყვარული და სხვის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ აქვს, მეტი არა უნდარა და სხვას არას ელტვის, სასაცილოა, საცოდავი და არაა ღირსი მამაკაცის სიყვარულისა. ჩვენი დროის სიყვარულს სხვა ხასიათი აქვს, ვინემ ძველს დროში, რ. კან ნამდვილი ადამიანური სიყვარული ამყარებულია ურთიერთში ადამიანურ ღირსების პატივისცემაზე. ეს გარემო ა წარმოშობს თანასწორობას, ხოლო თანასწორობას მოდევს — ურთიერთშორის დამოკიდებულების თავისუფლება. მამაკაცი დღეს მბრძანებელი აღარაა, და დედაცაც აღარაა მამაკაცის მხევალი (მონა), ორსავე მხარეს აქვს ერთნაირი უფლებანი და ერთნაირი მოვალეობანი. ქმრის ერთგულება დღეს ქალის მოვალეობას აღარ შეადგენს, რადგან ერთგულება სიყვარულის შედეგია: აღარა გრძნობა, ერთგულებას თვისი აზრი ეკარგება, — და თუ კი გრძნობა არსებობს, მაშინ ერთგულებას ფასი ეკარგება, რადგან დიდს ღვაწლს აღარ წარმოადგენს. ჩვენს დროში ერთნაირი შეუცვლელი სიყვარული მთელის სიცოცხლის განმავლობაში შეუძლებელია... ჩვენი დროს სიყვარული არაა მარტო გრძნობითი, არამედ ესაა კავშირი ზნეობრივი, სულიერი ურთიერთობა, სიყვარული სულისა სულის მიმართ. ჩვენს დრო-

ში გონიერი ადამიანი სიმშვენიერესთან ერთად ეძებს ქალში განსაზღვრულს გამოხატულებას, განსაზღვრულს იდეას და არა ყოველ სისრულეთა იდეალს. ის დარწმუნებულია, რომ უნაკლოდ არა არს რა წუთისოფელში. არცერთს ადამიანს არ შეუძლიან იყოს „ყოველივე“ და არ აკლდეს „ბევრი“. ამის გამო ადამიანმა უნდა დააფასოს ქალში ერთი და ორი მხარე, პატივისცემის და თანაგრძნობის ღირსებასა გონივრული სიყვარულის იდეალი. რაშია ჩვენის დროის ქალის ზნეობრივი თვისებანი? მხურვალე ბუნებასა და ამალღებულ მარტივს ქკუაში... რაშია სიყვარულის ნეტარება ჩვენს დროში? — ურთიერთის ადამიანური ღირსების დაფასებაში. ქალში უნდა ვხედავდეთ და პატივს ვცემდეთ ადამიანსა. ამის გამო ჩვენთვის ქალს ზნეობრივი სიწმინდე და უმანკოება აქვს მაშინ, როდესაც ის დაჯილდოებულია სიყვარულის სისრულით, როდესაც მეორე არსებისადმი თანაგრძნობით მისი სული მაღალკვილშობილურ აზრებით აღსავსეა...

ზემოთმოყვანილი აზრი ბელინსკისა ჩვენ გამოგვადგება სიყვარულის შესახებ ნ. ბარათაშვილის შეხედულების გამოკვების ეამს. უნდა წინდაწინ განვმარტოთ, რომ ეს შეხედულება ნამდვილ ფილოსოფიურია, ერთად ერთი ქეშმარიტი და საბუთიანი... ამ შეხედულების შემუშავებას ეტყობა თანდათანობითი ხასიათი. 1835 წელს დაწერილს ლექსში პოეტმა გამოხატა ქალი ქეთევანი, რომელიც ემდურის ავ-ენა ადამიანებს, რომელთაც მისი უბიწო სიყვარული შეშურდათ. ემდურის გულის სწორსაც, რომელსაც ერთის ცილის დაწამებით მასზე გული შეცვალა. ქეთევანი გულ დამწვარი ეკითხება თავის მიჯნურს:

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყუადი მე შენი ვარ საუკუნად. სიემაწვილეს რად მიღხეხდი, თუ მოჰკლავდი ასე უღრმად? ეს ნუგეშს მცემს, საყვარელა, რამე არის სხვა სოფელი; ადეს სენა, რამ ვარ უბრაზო (უღანაშუაშოგად, მთავად მუნ მოგვლი!.. [ლმ])

ბოლოს იმედმიხდილმა ქეთევანმა მდინარე ქსნის ტალღებში თავი დაიხრჩო... ქართველს მწერლებს უკვირებენ, რომ გმირების უმეტეს ნაწილს სიცოცხლეს თავის მოკვლით ამთავრებინებენ... მათ ეს მწერლები არ უჩვენებენ ცხოვრების ისეთს საგნებს, რომელთათვისაც თავი გასწირონ... ეს აზრი რამდენადმე მართალია. ამის საფუძველი ცხოვრების სიღუბქირეში უნდა ვეძიოთ... თვით ჩვენი ცხოვრება შინაარსით ისეთი ღარიბი იყო ბოლო დრომდის, რომ არ იძლეოდა იმ მტკიცე იდეალის შესამუშავებელს და დასასურათხატებელს მასალას, რომლისთვისაც გმირს თავი გაეწირა...

ქართველმა რომ განიძრახა, ილია ჭავჭავაძის მოძღვრების თანახმად, „წარსულს დროებზე დარდი მოკვდა“, უკან გაჰყოლოდა ახალს ვარსკვლავს, რათა მომავალი მიეცა ხალხისთვის, კარგა ხანს გამოურკვეველს მდგომარეობაში იყო: არ იცოდა კარგად არც ეს ახალი ვარსკვლავი და არც ის, თუ რა შინაარსის იყო ის მომავალი, რომელიც მას ხალხისთვის უნდა მიეცა... ამ ახალ მომავლის უფრო საფუძვლიანი გამორკვევა დაიწყო დიმიტრი ყიფიანის სიკვდილის წლიდან (1887 წ.), როდესაც მასთან ერთად მოკვდა ძველი არისტოკრატიული ქართული სოფლ-მხედველობა და დაიწყო დამყარება დემოკრატიულმა სოფლ-მხედველობამ. ოთხმოცდა მეთათე წლებიდან წარსულის საუკუ-

ნისა ეროვნული თვით გამოორკვევით და თვით შეგნების მოძღვრებამ ქართველი ხალხის ფართო მასსაში ფეხი მოიკიდა... ხალხის მასის გამოფხიზლებას დიდად ხელი შეუწყო მუშათა საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებამ საქართველოში. ამ დრომდის ძლიერ ადვილი იყო, რომ სასოწარკვეთილ ქეთევანებს თავი დაეხრჩოთ... ღრმად შეგნებული და თვის მოქალაქობრივ უფლებათა ცხადად მაღიარებელი ქალი იმათ მსგავსად არ მოიქცევა, თუნდა უღალატოს მიჯნურმა... თუ კი ნერვების სიმშვიდე და მტკიცე ხასიათი ექნება, არ მოისპობს სიცოცხლეს და თვის თავს უმსხვერპლებს იმ იდეალთა განხორციელებას, რომელნიც გამორკვეული აქვს მის მაღლად განვითარებულს გონებას... მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბარათაშვილის დროს ქართველი ქალები ყოველს სულიერს ღირსებას მოკლებულნი იყვნენ და ჩრდილოეთის გავლენით გადაგვარების გზაზე იყვნენ დამდგარი. (იხ. ქვემოთ: „ბელი ქართლისა“)... ქართველს ქალს იმ ჟამად გარდა სქესბრივის სიყვარულისა სხვა რამ სატრფიალო საგანი არა გააჩნდა რა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ რამდენიმე ღირსეული ქალი. პოეტის მაღალი შეხედულება სიყვარულის შესახებ სინამდვილეს არ ეთანხმებოდა... სინამდვილეში ის ვერ ჰპოებდა თავ შესაფარს და სალოცავს ტაძარს. ის მუდამ ცხოვრობდა იდეალთა სამეფოში და მისი სული მარადისობაში ეძიებდა სიტკბობას. პოეტის სულს ათბობდა უკვდავი გრძნობები თვის სატრფოს მიმართ... მას ენატრება, რომ თვით იგი, პოეტი იყოს მზე ცხოველმყოფელი... იყოს ვარსკვლავი, „განთიადისა მორბედი“, მაუწყებელი გათენებისა...



რომლის ამოსვლას მოუთმენელად ელოდ-
ნენ ყოველნი არსნი... პოეტს სურს, რომ
ხატრფო მისი იყოს ცისკარი მშვენიერე-
ბისა, რომ განაცოცხლოს მდგლო სიც-
ხითა დამკვნარი... მისი კავშირი სატრ-
ფოსთან სამარადისო უნდა იყოს... შას
სურს, რომ მზე და ღილის ცისკარი (ის
და სატრფო)

„ერთად შესხივებულნი
შეებას მოჭყენდენ სიცოცხლეს,
არეს ავსებდენ სიამით,
მტენარეთ განმაცხოვებლად,
იყვენ შარადის უხსნელად
სოფლისა განსათავებლად (სოფლის და-
სსარულადმდის).“

პოეტს, გატაცებულს ასეთი მაღალის
შებედულობით სიყვარულზე, სურს სიყვა-
რულის სხივთა სამეფოში მყუდროდ გა-
ატაროს თვისი ცხოვრება. ის თავის
ლოცვაში ევედრება ღმერთს, რომ
„არა დაჭქროდეს ხავსა მისსა ქართა ვნებისა
(ძღიერი გრძნობა)
და მოსცეს მას (ხავსა) სადგური მყუდრეობისა“.
ვნება-ღელვის მიერ წარმოშობილი ზნეობ-

რივი ხრწნილების მოძულე პოეტი სურ-
ჩევს ახალგაზრდებს:

„არ შეემსჭვადონ მოკისკასე კეკელა ქაღსა,
სულის დამტყუებელს და გრძნობათა ტუდ
მომდერაღსა,
აშვიის ენა მას (კეკელა ქაღს) ახარებს, მას
ასუდდგმულებს,
ხოლო სიყვარულს გუფი მისი ვერ მიიკარებს...“

მას სწამდა და ენატრებოდა ზნეობრივი
სიფაქიზე... ის შორს იდგა ხორციელ
ვნებათა გატაცებიდან... მას ეზიზღებოდა
ყოველივე ის, რაც ადამიანის ბუნებას
აღუბჭირებდა... ის იყო მგოსანი ზნეობ-
რივი სიწმიდისა, ბუნებრივობისა და თა-
ვისუფლებისა... მან თვითონაც გამოსცა-
და მოკლე დროით მთელი შხამი ზნეობ-
რივის სიდუბჭირისა... და აკი იმიტომ
შეიძულა იგი: ის ეუბნება ჭაბუკთ თვი-
თონ ჭაბუკი:

„მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს
ჩემს გულს ეს ჭირი“ (ვნებათა მიერ გამო-
წველი).

ი. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)



მათემატიკა, როგორც ჭეშმარიტება

ქართველ „ფილოსოფოსთა“ საყურადღებოდ

მკუსტ კონტის აზრით მათემატიკის
მიზანია განმარტოს ერთი სიდიდე მეორით,
მათ შორის არსებულ დამოკიდებულებით. ადა-
მიანს არ შეუძლიან წარმოდგენა იქონიას რა-
მეღისამე ცოდნისა, თუ ეს ცოდნა არ არის
დამოწმებული რომელიმე გრძნობით. რასაკ-
ვირველია, მათემატიკაც ემორჩილება ამ საზო-
გადო კანონს. ხილული ბუნება რომ არ არ-
სებუდიყო, ადამიანი რომ არ ეფიდიყო გა-

რშემარტმული ამ ბუნებით, მას არასოდეს
არ შეუძლია წარმოდგენა ჭქონოდა, მაგალითად
რიცხვზე 5, მაგრამ, განსხვავება მათემატიკის
და სხვა მეცნიერებათა შორის ის არის, რომ
მათემატიკა მხოლოდ მინიმუმი გამოცდას ხმა-
რბს და რადესაც ეს დასაწყისი დამტკიცე-
ბულია, ის თანდათან მიაღტვის გამოცდის
დამარტებულ საზღვრებისკენ, საიდანაც გამოჭ-
ვავს სინამდვილე. რაც შეეხება იმის დაფასე-

ბას რაც გამოიხატავს და განიხილავს, ეს დაფასება უახლოვდება აზროვნების ობიექტის შემდეგ სიმბოლოს, რომელსაც აბსტრაქციის უწოდებენ. ამ ობიექტის დროს, აზროვნება სინამდვილეს ფორმულურ მსჯელობით სცვლის და სწორედ ამისთვის, მათემატიკის მოხმარების შედეგი აბსოლუტური არ არის, არამედ დაახლოვებითია. საზოგადოდ მათემატიკას ორ ნაწილად ჰყოფენ: 1) შესწავლა ხილულ ე. ი. ჩვენს გარშემო მყოფ ობიექტებისა, რომელიც გამოიხატება: ა) გათანაწილების შედეგში. ბ) გათანაწილების გამარტივებაში და გ) აბსტრაქციის კონკრეტად კარდაქმნაში, რაც მათემატიკაში მსჯელობის სინონიმია. 2) შესწავლა შინაგან პირდაპირ ინტელექტუალურ ბუნებისა, რომელიც გამოიხატება: ა) გაგებაში, ბ) გათვალისწინებაში, გ) აზრის დაბადებაში, დ) მოფიქრებაში, ე) აბსტრაქციაში, ვ) შედარებაში, ზ) საზოგადოებრივობაში და ჰ) წარმოდგენაში. ერთის მხრივ აღმნიშნული „მე“ და მეორეს მხრივ „არამე“. ამ ორ ნაწილის წყალობით „მე“ და „არამე“ - „სი“, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან, აღმნიშნულ გამოცდით მიხედვით ხელმე იმას, რაც მის გარშემო ხდება, ეს ორი ნაწილი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აღმნიშნულის რომელიმე ცოდნის შესაძენად და გასაგებად. ჩვენ არ შეგვიძლიან ჭეშმარიტების მონახვა არც მარტო განუყებულ თეორიით და არც მხოლოდ გამოცდით, რადგანაც ყოველნიან გამოცდა მოვლენების აღსარებას არ ისე, როგორც არიან, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვჩვენებს ეს მოვლენები. კანტისთვის კი, ყოველნიან ჭეშმარიტების გაგება გამოცდაა, მაგრამ ამავ დროს, ყოველნიანი გამოცდა შედეგია აზროვნულ ფორმებისა, რომლებიც დაკავშირებულია მოვლენებზე. მაშასადამე არსებობს მჭიდრო კავშირი ფორმებისა და მოვლენათა შორის ე. ი. შეუძლებელია მოვლენების უფო-

რმოდ გაგება და ფორმების-უმოკლესად: მართალია, სივრცე მაგალითად, ჩვენი გრძობიერობის აზროვნული ფორმაა, მაგრამ ჩვენი გონიერების ორგანიზაცია ისეა მოწყობილი, რომ თუ გვინდა რომელსავე საგნის ანუ მოვლენის შემჩნევა დაფასება, ეს შემჩნევა-დაფასება სივრცეში უნდა ხდებოდეს. სპენსერისთვის სივრცე რეალობაა, გამოცდის შედეგი, რომელიც დაფიქრებულია იდეის გაგებაზე და შემკვიდრების შეერთებაზე. ვუნდტი კი ამ ასტრიაციის გონების სინტეზით სცვლის და მისთვის სივრცე აღმოცენებულია პერიოდულ გრძობიერების სინტეზით, მაგალითად ოპტიკით და ტაქტილით.

გნახით ეხლა რას წარმოადგენს მსჯელობა? მსჯელობა არის გონიერების ობიექტია, რითაც ჩვენ ვამტკიცებთ ერთ რომელსავე ცნების ჭეშმარიტებას მეორე ცნების ჭეშმარიტებით. ყოველ გონიერ არსებისთვის თავდაპირველად საჭიროა იცოდეს რაზე მსჯელობს, თუ, რასაკვირველია, მას ჰსურს მისი მსჯელობის მართლმსაჯულებს ყოველნიან აზრის გამოხატვა მსჯელობაში უნდა იყოს მარტივი და გასაგები, თითოეული გამოხატულება უნდა ეთარდებოდეს თვით ამ სიტყვის განმარტებას. მეორეს მხრივ, ის წერტილი, საიდანაც ჩვენი მსჯელობა იწყება, უნდა იყოს ყველსაგან მიღებული და იდეები უნდა იყოს ჩამოყალიბებული აუცილებელ უნივერსალურ კანონების მიხედვით, რომლებიც თვით აზროვნების პირობებს წარმოადგენს. ეს პირობები შემდეგია: პრინციპი ერთიანობისა ე. ი. „ერთი რომელიმე საგანი არის თვით ეს საგანი A არის a“. პრინციპი სკამარის აზრის ე. ი. „ყველაფერი რასაც აქვს raison d'etre, პრინციპი სუბსტანციისა ე. ი. ახსნა მოცემულ მოვლენების შედეგის, როდესაც ეს მოვლენები თვითონ არ არსებობენ, პრინციპი ბასის ანუ თანდათანობისა. მაშასადამე საგნის ბუნების ახსნა, მისი პრინციპების მიხედვით, არის გან-



მარტობა თვით ამ საგნისა. მაგრამ განმარტობა არის ორგვარი: ა) მათემატიკური და ბ) ემპირიული; პირველი თვით გონებით აზროვნებად არის აშენებული, მეორე კი დაფუძნებულია გამტყდაზე, როგორც თვით მკითხველი დაგვეთანხმება. უველა მათემატიკურ მეცნიერებაში, განმარტობა უფველთვის დასაწყისშია და უველა ცნებას; რასაც განმარტობა შეიცავს, ჩვენ ვღებულობთ დედუქციით; რაც შეეხება საბუნების-მეტყველო მეცნიერებას, იქ განმარტობა მუდამ ბოლოშია, რადგანაც ეს განმარტობა, თვით კვლევა-ძიების რეზიუმეა. მათემატიკური განმარტობა ლოგიკური თანასწორობაა, რომლის პირველი ნაწილი A არის განსამარტებელი და მეორე B განმარტული. ავიღოთ მაგალითი: როდესაც ჩვენ ვლანზარკობთ რომ $A=B$ ამით იმავე დროს ვამტკიცებთ, რომ A განმარტულია და B განმარტებელი a-სი. განმარტებაში ჩვენ არც სინამდვილეს ვუძებთ და არც სიუალებს ე. ი. ჩვენ არ შეგვიძლიან ადვიაროთ $A=B$ ჭეშმარიტებად და არც უარყოთ რომ $A=B$ განმარტული= \equiv განმარტებელს. მსჯელობაში ჩვენ შეგვიძლიან ან მივიდეთ ეს თანასწორობა, ან უარყოთ და თუ ერთხელ მივიდეთ, მაშინ უფველთვის შეგვიძლიან განმარტული განმარტებელით შევცვალოთ და $A=B$ -დან სხვა და სხვა ხაზი ლოგიკური შედეგები ვამოვიუვანოთ, რომლებიც დაგვჭირდება დედუქციაში. განმარტების დიხსება, მისი ფასი განსაკუთრებით აზრის გამარტივებაში, კაადვილებში და შემოკლებაში მდგომარეობს; ვიმოკრებ კიდევ, რომ განმარტობა ჭეშმარიტება არ არის, არამედ მხოლოდ იდეის შემოკლებაა. უფველნაირი დედუქციურ თეორიის ამტყანა შეიძლება ვავშინჯოთ, როგორც დაფუძნებული განმარტებელ თეორიაზე, მაშასადამე არსებობს ერთნაირი მჭიდრო კავშირი ამ ორ სისტემათა შორის ე. ი. პირველ წარმოდგენის და პირველ ამტყანის შორის და ამისთვის ადსარება რომელმაც შეიქმნა, მარტო განმარტებით, უფველად შექმნილებულია; პირიქით, ან უნდა დავამტკიცოთ წინდაწინვე არსებობა ობიექტისა, ან და მივიდეთ პირდაპირ par postula. თუ ჩვენ გვინდა ჩვენს მსჯელობაში რომელიმე განმარტობული საგანი შედიოდეს, ამისთვის თავდაპირველად საჭიროა ამ საგნის ლოგიკური არსებობის დამტკიცება, როგორც ზემოდ ვსთქვით, განმარტებით ობიექტი არ იქნება, მაშასადამე საჭიროა განმარტების გაკება და გათვალისწინება. მაგრამ სიტუვა გაკება შეიძლება ბევრნაირად წარმოვიდგინოთ, მაგალითად ლოგიკურად რომელიმე მოვლენას მაშინ ვავიგებთ, როდესაც ამ მოვლენის განუღიანება თვით ამ მოვლენის იდეას ანუღიანებს (ე. ი. როდესაც თვით მოვლენის მოსზობა, თვით ამ მოვლენის იდეას სზობს) და რომელიც შეგვიძლიან მივიდეთ, როგორც პირობა თვით ამ იდეისა. რაც შეეხება ჭეშმარიტებას, ის მსჯელობის გარეშე იმუოფება, რადგანაც ჩვენ მხოლოდ წარმოდგენით ვღებულობთ მას, როდესაც მისი ლოგიკური განმარტობა ვავიგებთ. მაგალითისთვის ავიღოთ შეუწვევტელი ფუნქცია: ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ფუნქციას ნიშნები შევცვალოთ, თუ ის ნუღად არ იქცა; შემდეგ კი განუზომელ რიცხვების სასხსნულად და ვასგებად უბრალო გამანგარიშების კანონებს ხმარობენ, რომლებსაც აზროვნებად დებულობენ და ასე ამტკიცებენ აბსოლუტურ თეორემებს. უფველნაირი შეუწვევტელი ფუნქცია თავის თავად ყალობა, თუ ეს ფუნქცია ჩვენ ჭეშმარიტებას არ ვვიმტკიცებთ, მაგალითად, თუ ჩვენ არ ვვანახებთ, რომ უფველ რკალს თავისი ტანგენსი აქვს, ჩვენ ვცდილობთ, როგორც ზემოდ ვსთქვით, შევისწავლოთ რომელიმე ობიექტი, ჩვენ ვრძობობარების წყალობით და რადგანაც ჩვენი ვრძობობარება მხოლოდ შედარებითია, სწორეთ ამისთვის ობიექტის ასლს ვითვისებთ და არა

რის და ამისთვის ადსარება რომელმაც შეიქმნა, მარტო განმარტებით, უფველად შექმნილებულია; პირიქით, ან უნდა დავამტკიცოთ წინდაწინვე არსებობა ობიექტისა, ან და მივიდეთ პირდაპირ par postula. თუ ჩვენ გვინდა ჩვენს მსჯელობაში რომელიმე განმარტობული საგანი შედიოდეს, ამისთვის თავდაპირველად საჭიროა ამ საგნის ლოგიკური არსებობის დამტკიცება, როგორც ზემოდ ვსთქვით, განმარტებით ობიექტი არ იქნება, მაშასადამე საჭიროა განმარტების გაკება და გათვალისწინება. მაგრამ სიტუვა გაკება შეიძლება ბევრნაირად წარმოვიდგინოთ, მაგალითად ლოგიკურად რომელიმე მოვლენას მაშინ ვავიგებთ, როდესაც ამ მოვლენის განუღიანება თვით ამ მოვლენის იდეას ანუღიანებს (ე. ი. როდესაც თვით მოვლენის მოსზობა, თვით ამ მოვლენის იდეას სზობს) და რომელიც შეგვიძლიან მივიდეთ, როგორც პირობა თვით ამ იდეისა. რაც შეეხება ჭეშმარიტებას, ის მსჯელობის გარეშე იმუოფება, რადგანაც ჩვენ მხოლოდ წარმოდგენით ვღებულობთ მას, როდესაც მისი ლოგიკური განმარტობა ვავიგებთ. მაგალითისთვის ავიღოთ შეუწვევტელი ფუნქცია: ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ფუნქციას ნიშნები შევცვალოთ, თუ ის ნუღად არ იქცა; შემდეგ კი განუზომელ რიცხვების სასხსნულად და ვასგებად უბრალო გამანგარიშების კანონებს ხმარობენ, რომლებსაც აზროვნებად დებულობენ და ასე ამტკიცებენ აბსოლუტურ თეორემებს. უფველნაირი შეუწვევტელი ფუნქცია თავის თავად ყალობა, თუ ეს ფუნქცია ჩვენ ჭეშმარიტებას არ ვვიმტკიცებთ, მაგალითად, თუ ჩვენ არ ვვანახებთ, რომ უფველ რკალს თავისი ტანგენსი აქვს, ჩვენ ვცდილობთ, როგორც ზემოდ ვსთქვით, შევისწავლოთ რომელიმე ობიექტი, ჩვენ ვრძობობარების წყალობით და რადგანაც ჩვენი ვრძობობარება მხოლოდ შედარებითია, სწორეთ ამისთვის ობიექტის ასლს ვითვისებთ და არა

მის აბსოლუტურ არსებობას; ლოდიკაში ინტუიციის თანდათან ქცეობა, მათემატიკაში ემპირიული ელემენტები უკუგდებოდა და ეს ელემენტები აზრიდან ადრე მიღებული, და აი სწორედ აქ არის მათემატიკის თვისება, რითაც განიმარტება და ახსნება ობიექტი მსჯელობას შემდეგ დედუქციაში. მაგრამ როგორც ზუნგაკე შენიშნავს, დამტკიცებული უნდა იყოს, რომ ეს თვისება, რომელიც განმარტებად გადაიქცა, მხოლოდ რეალურ ობიექტებს ეკუთვნის და ამ უკანასკნელის წარმადგენს ჩვენ გამოცდით მივიღეთ და შემდეგ განყენებული წარმადგენს შევქენით; ამის დასამტკიცებლად, ჩვენ უნდა მივიმართოთ ისევე გამოცდას და თუ გამოცდაში ჩვენ თეორიულ დაჯამტკიცეთ, მაშინ შეიძლება მსჯელობას სინამდვილე და ჭეშმარიტებად იყოს, მაგრამ არა სასარგებლო და უსაუფლო.

ლოდიკასა და მათემატიკას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლოდიკა ყოველნაირ დამტკიცებას მარტივი ობიექტის რეალობად ქცეოთ, მაშინ როდესაც მათემატიკა ყოველნაირ გამოკვლევისთვის ერთეულს ექცის. დაფუძნებული მაგალითისთვის ისევე შეუწყვეტელ ფუნქციას: დასაწყისში ეს ფუნქცია მხოლოდ წარმადგენს, რომელიც ქადაგდებოდა კავსებით, მაგრამ შემდეგ ეს წარმადგენს თანდათან სწორდება, ვითარდება და ხდება უთანასწორობის რთულ სისტემად, რომელსაც შეუძლიან გამოხატოს ყოველნაირი პრიმიტიული წარმადგენის სურათები, შეკვიდიან გაფიქრებით ზუნგაკეს სიტუაციები, რომ ასაშენი ასენებულია. არითმეტიკაში მიმატებას, გამოკლებას, გაყოფას, ნაწილად, განუზომლობას, სხვა და სხვა ობიექტის განუზომლებზე, უარყოფითი რიცხვებს, ეგვალ ამ შემოდ ჩამოთვლილ ცნებებს უღვეთ სძირკვლად უბრალო დაკვირვება, რომელიც პირველ განმარტებას გამოხატავს, შემდეგ კი თვით ეს დაკვირვება ამხადებს ნამდვილ განმარტებას ე.

ი. ლოდიკურ განმარტებას. გეომეტრიაში მრავალი აქსიომა, რომელიც გამოცდით არის შემოწმებული, ამხადებს ისევე ამ ნამდვილ, ლოდიკურ განმარტებას. მაგრამ, როდესაც ჩვენ გვჭირდება განმარტების ხმარება მსჯელობაში, მაშინ ეს განმარტება უნდა შეიცავდეს თავდაპირველად ობიექტის შეზღუდვას, რითაც ჩვენ შევძლებთ ეს ობიექტი სხვა ობიექტებში გავარჩიოთ, შემდეგ რომელიმე ერთ იდეის გამოხატავად სხვა და სხვა სახელწოდებას თავიდან ავდგინოთ და ბოლოს სხვა და სხვა იდეის გამოხატავად ერთსა და იმავე სახელწოდების თავიდან ავდგინოთ. გადავიდეთ ესა აქსიომაზე. რა არის აქსიომა? ჩვეულებრივ მსჯელობაში აქსიომა პირდაპირი და სწრაფი გამართლება, რომელიც სიყალბის ეჭვს არ ბადავს და მასხადამე არ საჭიროებს დამტკიცებაში და ვერც დაიმტკიცების. მაგრამ ამ განმარტების შემდეგ, როგორც თვით მკითხველი დაგვითხრობს, იბდება საკითხი: არსებობს თუ არა ისეთი შემოთხვევა, როდესაც ადამიანს შეუძლიან რომელიმე მთავრის, რომელისამე ფენომენის აბსოლუტური გაგება? ამ კითხვის პასუხად ჩვენ შეგვიძლიან ვადაპირვით აზროვნების ხერხთმოდგენი, რომელიც ამტკიცებენ შემოდ აღნიშნულ შემთხვევის არსებობას. მეორე ამტკიცებს, რომ მოძრაობა ისეთ ადვილ მთავრად გადაიქცა, რომ მისი მუდმივი გამოკრება მთელ სინოცხლეს ავსებს, მაშინ როდესაც ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლიან მივკვლო მისი აბსოლუტური არსებობა. რასაკვირველია ამ აბსოლუტურ მოძრაობის გაგებას ჩვენ ვითვისებთ გამოცდილებით ბავშვობიდან დაწყებული სიბერემდის. ყოველნაირი ცოდნა ნაყოფი უხილავ, შეუმჩნეველ ცდისა ჩვენ ბავშვობაში, რომელიც შემდეგ დაფიქრებულია, მაგრამ რომლის რეალობა ჭეშმარიტებას. შემჩნევს სხვა და სხვა წვრილმანობის (დეტალების) მათი შედარება, მათი განსხვავება-განმარტება,

ულ მოვლენებში; ეს მოვლენები გვაკვირვებს ჩვენ, მაგრამ როდესაც დაფიქრდებით ამ მოვლენებზე, როდესაც გავითვალისწინებთ ამ მოვლენების წარმოშობას, ეს გაკვირვება მალე ქრება. როგორც ან უნდა იყოს სიღარიბეში, ბაფას ის ერთ განსაზღვრულ, შეუცვლელ ობიექტად ხდება: საერთო წინადადებიდან, რომელიც მიღებულია დღეა აზრად, მიზეზად, ჩვენ გამოგვივს ერთი კერძო წინადადება, როგორც შედეგი; ეს ობიექტის შეკვიდიან მივიღოთ შუამავალ წინადადების წყალობით, რომელიც მიზეზთა და შედეგთა შორის ახსებული დამოკიდებულებათა გამომხატველია. მასწავლაში სიღარიბეში ჩვენ შეკვიდიან სამ ნაწილად ვაფიქროთ: ა) საერთო წინადადება, ბ) წინადადება შუამავალი, ანუ ახალი პირველ წინადადების დასამტკიცებლად და გ) წინადადება, რომელიც გამომხატავს შედეგს. გადავიდეთ ისევე გეომეტრიაზე; ლორჯანის არ იყოს, რომელიმე გუმბათში ერთი ქვა უსათუთ ჩამოვარდებოდა და შემდეგ ვეღვას სხეულები, რომ ეს ქვა არ იყოს შემავრებული და შეჩერებული მეზობელ ქვით, მეზობელი ქვა მეორე მეზობელ ქვით და ასე სხვებიც. სწორეთ გეომეტრიისთვის ვეღვას აქსიომები შეუწვევტელ თანხმობით უნდა იყოს შემოწმებული გამოცდის შედეგთან. სიტუვას, გეომეტრიას წარმოშობასთან ერთად, წარმოიშვა კიდევ ორი ცნება, ცნება სწორ ხაზისა და სიბრტყის; ამ ცნებაზეა აშენებული მთელი გეომეტრია. ამ ორ ცნებას დაუფიქრებელი უმატებენ შემდეგ ცნებებს: ორნაირი მიმართულებას ერთ სწორ ხაზზე, ნახევრად სწორ ხაზს, ნახევრად სიბრტყეს და ნახევრად სივრცეს. ვეღვას სწორ ხაზებისა და ხარაღელურ სიბრტყეების საერთო თვისება დაფიქრებულია მოძრაობის გადასხმის თვისებაზე, რომელიც აქსიომათ უნდა იყოს მიღებული. ხარაღელურ ხაზების კლასიკური განმარტება, რომ ისინი ერთმანეთს არ ხვდებიან, უარყოფითია და არა

ჭეშმარიტი, რადგანაც ეს განმარტება ვამტკიცებს ან ექვემდებარება, მასწავლაში მოცემულ ინტუიციას ან ემსგავსებას. განმარტება უცვლელ სწორ ხაზის ან ფიგურის, როგორც მოძრაობის, მიღება სწორ ხაზის, როგორც ბრუნვის t დერმის, დამტკიცება თვით ამ სწორ ხაზის არსებობისა, აი რამა რაციონალური ცნება ხარაღელიზმისა. ამავე დროს გეომეტრია არ დებულაბს აზრიორულად კანტისებურ ჭეშმარიტებებს, მაგალითად, რომ ერთეული უფრო დიდია ვიდრე მისი ნაწილი, რომ ერთეული უდრის მისი ნაწილების ჯამს. რადგანაც ასეთს შემთხვევაში ათასნაირ იზოკრიტულ შენიშვნები ებადება ზოგიერთს თავში, რითაც თვით გეომეტრიის ახსებობასაც უარყოფენ. თუ აქსიომს გამოხატულია მკაფიოდ და ნათლად, ასეთი აქსიომს ექსპერიმენტალურ ცნებას გამოხატავს; მაგალითები:

- 1) შეიძლება დამტკიცება სივრცის წერტილთა დამოკიდებულების სამ რიცხვის რეალურ სისტემასთან;
- 2) სივრცის სინამდვილის წარმოდგენა შეიძლება სამნაირ ნუმერიულ სხვა და სხვაობით ანუ სამზომიან აქსიომით;
- 3) სწორი ხაზი ეკუთვნის კატეგორიას შეუწვევტელ ხაზთა, რომლებიც განმარტულნი არიან ერთმანეთ შორის.
- 4) როდესაც ორი სწორი ხაზი ერთი პერპენდიკულარული მხარეა, ან თუ ორი რომელიმე სხვა ხაზებისგან თითო მათგანი მხარეა პერპენდიკულარული ორ ხაზთან, მაშინ ეს უკანასკნელი ორი ხაზი მხარეა ერთმანეთ შორის.
- 5) ადგილის გამოცვლა (ანუ გადასხმა) უდრეფორმაციოთ ხამდვილი ტრანსფორმაციისა და შეადგენს ერთ რეალურ შეუწვევტელ ჯგუფს, რომელიც თვით ამ ტრანსფორმაციის წინააღმდეგობას შეიცავს.
- 6) ერთი და იმავე წერტილიდან მხოლოდ



ერთ ზიზღაზიერ სინტეტიურ ხაზის გავლენას შეიძლება მეორე ზიზღაზიერ ხაზამდე.

ამ ზემო მთავანთი აქსიომებიდან აღვიღოთ განსაკუთრებული გეომეტრიის ნამდვილი ბუნება, მისი ნამდვილი ხასიათი. როგორც თვით მკითხველი დაგვეთხროს ეს აქსიომები როდის არიან აზრიერული, სინტეტიური, განსჯად-განსმართლები, როგორც მაგალითად შემდეგი: ყოველნაირ ცვლილებას აქვს მიზეზი, რადგანაც ეს რომ ასე არ უფიქროს. ე. ი. ყოველ ცვლილებას მიზეზი რომ არ ჰქონდა, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია წინააღმდეგ წინადადების გაკება. ეუკლიდის მეტრიკა და მკვიდრებულია შემდეგ ზოსტუელატზე: ერთ წერტილიდან, რომელიც სწორ ხაზის განკვეთილზეა, მხოლოდ ერთი ზარალეული ხაზის გაყვანა შეიძლება. რემანის მეტრიკით-კი ერთი წერტილიდან არც ერთი ზარალეული ხაზის გაყვანა არ შეიძლება. რაც შეეხება ლაბან-ჩევის მეტრიკას, ის გვეუბნება, რომ ერთ წერტილიდან რამდენიც გვიხდა, იმდენი ზარალეული ხაზების გაყვანა შეიძლება. როგორც მკითხველს მოესხენება, ამ სხვა და სხვა გვარ ზოსტუელატთა შორის, რომლებიც ზრატეტიკაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევიან, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომელია მათში უფრო სწორი და უფრო ნამდვილი; ერთად ერთი დაფასება ამ ზოსტუელატების შემდეგ წინადადებაში უნდა გამოხატოს: „ამა და ამ შემთხვევაში, ეს და ეს ზოსტუელატი უფრო აღვილია და ხელსაყრელი“. იმავე დროს ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც ერთი ზემო მთავანთი ზოსტუელატი გამოცდილი მიღებული ჭეშმარიტება არ არის. ექსპერიმენტაციის დავუშვით, და მივიღეთ სხეულების სიმკრე ე. ი. ჩვენ მხოლოდ მაგარ სხეულებთან გვეხება სქემა. შემდეგ ამის ჩვენ გამოცდაში თვით ამ სხეულების თვისება გამოგვეყვას. ვიშარებთ კიდევ, რომ გეომეტრიული აქსიომები არც მარტო აზრიერულ სინტეტიურ განსჯად-განსმართლები და არც მარტო ექსპერიმენტაციული შედეგები არიან. გეომეტრიული აქსიომის ეს მხოლოდ ზიზღაზი, ეს შეთანხმება, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომლის არჩევანი ექსპერიმენტაციული მოვლენების მიხედვით ხდება ხოლმე. მაშასადამე, არსადეს ჩვენ არ უნდა აურიეთ ერთმანეთს ზიზღაზი შეთანხმება და აზრიერული სინტეტიური განსჯად-განსმართლები. — ენდა გადავიდეთ არითმეტიკაზე. არითმეტიკაშია იმავე მოვლენას ვხედავთ. როგორ უნდა გავიგოთ ჩვენ სიმრავლის კონცეპტი, რომელიც გამოეუბნება არითმეტიკაში? ზასუხი შემდეგი: შეერთებულ ობიექტის ბუნებისგან დამოკიდებულ აბსტრაქციით და მათი კოლექტიურ შეთანხმებაზე დაფიქრებით. ერთი რომელიმე რიცხვი ჩართული ამ კოლექციისში, თვით ამ კოლექციის იდეა, თვით ამ კოლექციის გამოხატულება. კოლექცია მხოლოდ მაშინ არის დასრულებული, როდესაც ერთი ობიექტიდან მეორეზე გადასვლით, მეორედან-მესამეზე... ჩვენ უსათუოთ ერთხელ ჩვენ მიერ შეხვედრილ ობიექტს ვუბრუნდებით. ნული ჩვენ გვჩვენებს, რომ კოლექციაში ობიექტი არ იმყოფება. მათემატიკაში ნული მიღებულია როგორც ზრემიტიული იდეა, იმავე დროს ის მთელი და შემდგომითი რიცხვების იდეა. მათემატიკა დებულებას შემდეგ აქსიომებს:

1) ნული არის რიცხვი 2) ყოველ რიცხვს მოსდევს მეორე რიცხვი 3) ორი რიცხვი, რომელიც ერთსა და იმავე რიცხვს მოსდევს თანასწორია. 4) ნული არც ერთ რიცხვს არ მოსდევს. აი ეს აქსიომები, რომლების უარყოფა, მათში ეჭვის შეტანა არ შეუძლიან არც ერთ ჭეუაზე მეოფ ადამიანს. რამდენიც უნდა ვეცადოთ, რამდენიც უნდა ვიმეცადინოთ ამ ზრინციების წინააღმდეგობას მანინ ვერ მოვინახვოთ, თუ ჩვენვე ჩვენს მსჯელობაში წინააღმდეგობაში არ ჩავუარდით. ეს ზემო მთავ-

1) ნული არის რიცხვი 2) ყოველ რიცხვს მოსდევს მეორე რიცხვი 3) ორი რიცხვი, რომელიც ერთსა და იმავე რიცხვს მოსდევს თანასწორია. 4) ნული არც ერთ რიცხვს არ მოსდევს. აი ეს აქსიომები, რომლების უარყოფა, მათში ეჭვის შეტანა არ შეუძლიან არც ერთ ჭეუაზე მეოფ ადამიანს. რამდენიც უნდა ვეცადოთ, რამდენიც უნდა ვიმეცადინოთ ამ ზრინციების წინააღმდეგობას მანინ ვერ მოვინახვოთ, თუ ჩვენვე ჩვენს მსჯელობაში წინააღმდეგობაში არ ჩავუარდით. ეს ზემო მთავ-

ვანილი აქსიომები კანონებს, რომლებიც შე-
თვისებულია ჩვენ ინტელექტუალურ გამჭვი-
ახობით, გარშემო აჩვენებულ ბუნებასთან შე-
თანხმებით. კითხვა იმის შესახებ თუ რომე-
ლი გეომეტრია უფრო სწორია ეუკლიდის,
რიემანის, თუ ლაბანჩევსკის, ეს ისეთი კითხვაა,
რომელსაც არაფერი აზრი არა აქვს—ასეთი
კითხვა—ახსურდა. შეიძლება ეს კითხვა შე-
გნვალათ ამ ნაირად: ამ სამ გეომეტრიაში,
რომელია უფრო მარტივი? მაშინ ჰასუხიც
შემდეგია: ეუკლიდის გეომეტრია სხვა გე-
ომეტრიებთან შედარებით უფრო მარტივია
და ადვილი ისე, როგორც პირველ ხარისხი-
ანი მრავალ-წვეროვანი მეორე ხარისხიანი მრ-
ვალ-წვეროვანზე; რადგანაც ეუკლიდის გეომე-
ტრია ექვემდებარება თვისებას მაგარ სხეულ-
თა, რისგანაც ჩვენ საზომ იარაღებს ვამზა-
დებთ.

მაგრამ თუ ისეთი ქვეყანა აღმოჩნდა, სა-
დაც ადამიანი გარშემორტყმული იქნება მად-
ნარ სხეულით, ანუ სითხეთი, მაშინ, რასაკვი-
რველია, ამ ახალ ქვეყანას ჩვენი გეომეტრია
არ ექნება. წარმოვიდგინოთ ასეთი ქვეყანა,
რომელიც დასახლებულია ისეთის სულდგმუ-
ლებით, რომლებსაც აქვს გონება, გრძობა,
ფიქრება, მაგრამ რომლებსაც არ შეუძლიათ ჰქონ-
დესთ ჩვენებური გეომეტრიული წარმოდგენა.
ასეთ ქვეყნის წარმოსადგენად ავიღოთ ერთი
სფერა, რომელსაც ტემპერატურად ექნება $A(R^2 - d^2)$,
სადაც d უდრის მანძილს ერთი რ-
მელიმე წერტილიდან ცენტრამდე, ამავე დროს
 d ზედაპირზე უდრის სულს, რადგანაც $d=R$;
 d მაქსიმუმია ცენტრში და უდრის AR^2 ; ამ
ქვეყანაში გაგანივრების კოორდინატი h უდ-
ვლილია, ამ მიზეზით სიგრძე პრეზერვიო-
ნალურია ტემპერატურასთან; სხივ გადატეხი
წრის ფორმულა არ იქნება შემდეგი სახის
 $R^2 - r^2$. ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანების
აზროვნების განხილვა შეტად საინტერესოა,
ვინაიდან ყოველი მოვლენა მათ სხვანაირად

ეჩვენებათ, ვიდრე ჩვენ, ამ მიზეზით მათი
გეომეტრია სულ სხვა ფორმის იქნება, ვიდ-
რე ჩვენი. იქ მცხოვრებ ადამიანისთვის, მო-
ძრაობა სავალია, რომელიც ზედაპირს უახლოვ-
დება, თანდათან ჰატარვდება და ნულისაკენ
მიიღობის. ჩვენთვის ეს ქვეყანა განსაზ-
ღვრულია, მაშინ როდესაც იქ მცხოვრებ ადა-
მიანისთვის ყოველად მოუხერხებელია მისი
განსაზღვრა. ამ ადამიანებისთვის გეომეტრია
სხვა და სხვა კანონთა ანსამბლია, რომლებიც
მეჩქმედებენ სხეულთა მოძრაობაში, მაშინ რ-
დესაც თვით ეს სხეულები ტემპერატურის
განსხვავებით ერთგვარ დეფორმაციას განიც-
დიან. ყუველა ზემო მოყვანილ მიზეზებით,
მათთვის სინათლის სხივები სწორ ხაზიანი
არ არის, არამედ მრუდე ხაზიანი. საკითხის
განსამართავად წარმოვიდგინოთ რომელიმე სა-
განი, რომელიც, როგორც მაგარი სხეული,
დეფორმაციას განიცდის შემდეგი ფორმულის
მიხედვით: $L\epsilon = K\alpha\epsilon = K\alpha(R^2 - d^2)$; როგორც
თვით შკითხველი დაგვეთანხმება, ამ მოძრა-
ობას არაფერი საერთო არა აქვს ეუკლიდისე-
ბურ მოძრაობასთან. თუ ჩვენ ვიტყვი, რომ
ამ ადგილის გამოცვლას ამხნეეს რომელიმე
გონიერი აჩსება, მაშინ ამ გონიერ აჩსების
შთაბეჭდილება იცვლება ამ ადგილის გამოც-
ვლასთან ერთად, მაგრამ შესაბამ მოძრაობის
მონახვით ის სწორებს თავის შთაბეჭდილე-
ბის ცვლილებას. წარმოვიდგინოთ ესა, რომ
ამ გონიერი აჩსებისა და მოძრაუ სისტემის
შორის არაფერი განსხვავება არსებობს, ანუ
უკეთ რომ ვსთქვათ, წარმოვიდგინოთ, რომ
ეს მოძრაობა სისტემა თვით ეს გონიერი არ-
სებას, მაშასადამე, ამ მდგომარეობაში ეს არ-
სება სწორედ ისეთ შთაბეჭდილებას დებუ-
ლობს, როგორც პირველად, მხოლოდ იმ გა-
ნსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში მას
შეიძლება ჰქონდა თავის შთაბეჭდილება გაეს-
წორებინა შესაბამ მოძრაობის მონახვით, მა-
შინ როდესაც ესა მას ეს არ შეუძლიან. იმ




ქვეყნის მცხოვრებნი ჯერ მოვლენებათ ანაწი-
 ლებენ და მხოლოდ შემდეგ იჩხევენ ისეთ
 ადგილის გამოცვლას, რომლის გასწორება
 შესაძლოა თვით გონიერ ანსების ადგილის
 გამოცვლით. მაშასადამე მათი გემეტრია რა-
 დი არი მაგარ სხეულთა შესწავლა, რომელ-
 ბიღ ღეოგრაფიას არ განიცდიან (ასტრაქცია)
 არამედ ის არის მდგომარეობათა ცვლილების
 შესწავლა და ამისთვის სრულებით არ ემსგა-
 ვსება ეუკლიდისებურ ადგილის გამოცვლას.
 როგორც ზუანკარე შენიშნავს, ეუკლიდის ქვე-
 ყანა შეგვიძლიან შევცვალოთ რომელიმე სხვა
 ქვეყნით; აქედან შემდეგი ლოდიკური დასკვნაა,
 რომ ადამიანის გონებას შეუძლიან წარმოიდ-
 გინოს უთვალავი რიცხვი ახალ ქვეყნებისა,
 რომლებსაც ექნება თავთავიანთი გემეტრია.
 ამ ფიქტიურს ქვეყნების წარმოდგენით, ჩვენ
 შეგვიძლიან შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ,
 რომ გემეტრია არის მეცნიერება, რომელიც
 გვასწავლის კერძო „ჯგუფთა“ კანონებს.
 ჯგუფი ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მისი საერ-
 თო კონცერტი, წინასწარ ანსებობს ჩვენს
 აზრში და მოქმედებს ჩვენზე, როგორც აზ-
 რანების ერთერთი ფორმა. დაუბრუნდეთ ისევ
 ჩვენ წერილის სათაურს ე. ი. მათემატიკურ
 ჭეშმარიტებას და გავარჩიოთ ის კანონები,
 რომლებიც განაგებენ ჩვენ გონებრივ მოქმე-
 დებას ამ ჭეშმარიტების მონახვაში. როდესაც
 მეცნიერულ სჯაბაასში ვინმე იტყვის, რომ
 ეს და ეს დებულება ეს და ეს თეზისი რწმენის
 კრიტერიუმიან, ჩვენ ვაღდებულებნი ვართ ამ
 განცხადებას ანგარიში გავუწიოთ. მართლაც
 და რა არის რწმენის კრიტერიუმი. მასუხი
 მხოლოდ ერთად: რწმენის კრიტერიუმი. ეს
 აბსოლუტური ზირობაა მეცნიერების შესათვი-
 სებლად და მის შესასწავლად; თვით ეს ზი-
 რობა კი სერიაა, რომელიც გამოხატავს ელე-
 მენტთა რიგს, ე. ი. გაუფიას, გარჩევას და
 განსხვავებას. უოველი სჯანი, რომელიც არ
 იყოფა, არ განსხვავდება, არ განიჩხევა არ შე-

იძლება გაგებულ იყოს, როგორც კრძალსატი.
 მაგალითად, არითმეტიკაში, თუ ჩვენ გავიგებთ
 სიდიდეს დაუსრულებელ ხაზის გამოხატულე-
 ბით, მაგრამ თვით ამ ხაზის გამოხატულებას
 ისეთსავე სიბნელეს, ისეთსავე გაუგებრობას წა-
 რომადგენს ჩვენთვის, როგორც თვით ის და-
 უსრულებლობა, რომელსაც ეს ხაზი წარმო-
 ადგენს; მაგრამ ამავე დროს, თუ ჩვენ შეგვი-
 ძლიან ამ შეუწვეტელ ხაზის მაგიერ მთელი
 შეუწვეტელ წერტილთა წეება გავიგოთ, მა-
 შინ ჩვენ გვექნება ახალი იდეა, რომელიც
 რიცხვის იდეა ექნება; ეს მოვლენა კი ადგილი
 გასაკება, რადგანაც თუ თდესმე ადამიანი
 იტყვის სიტყვა „რიცხვის“, ამავე დროს ის
 უსათუოდ ღაზარაკობს სიმჩნველზე, სიდიდე-
 ზე გაუფიასზე, აქედან-კი შემდეგი მარტი-
 ვი დასკვნაა, რომ რიცხვი არის გაუფიადი
 რაოდენობა. მაგრამ რიცხვის არც ეს განმარ-
 ტება ჭეფენს ხათელს, რადგანაც ის ისევ ძნელ
 წარმოსადგენად და გასაკებად რჩება. უოველ-
 ნაიჩი არითმეტიკური ოპერაციაა ჯგუფთა და
 რიგთა შედარებაში მდგომარეობს, მაგალითად,
 გაუფიასში, გარჩევასში, მიმატებაში, გამოკლე-
 ბაში, და სხვა და სხვა ჯგუფებდ გაუფიად
 სიდიდისგანსხვავებაში.

გემეტრიაშიაც ჩვენ ისე ვხელმძღვანელობთ,
 როგორც არითმეტიკაში ე. ი. სიდიდის გა-
 უფიადით და შემდეგ მაგარ სხეულთა შედარე-
 ბით. ასტრონომიაში ჩვენ მნათობთა დიფე-
 რენციაციას ვხედენთ და მათი მუდმივი მოძ-
 რაობით, მათი მუდმივი რჩევით ჩვენ ვზოუ-
 ლობთ სერის იდეას.

ფიზიკა და ქიმიასიღ იგივე დამტიცება,
 უველგან კოლექცია, უველგან ჯგუფი, უველგან
 ზროგრესია, ერთის სიტყვით, უოველ მეცნიე-
 რებაში, რომელიც კი ზროგრესის გზას ად-
 გია, სერია სჯანია ამ მეცნიერებისა. მათემა-
 ტიკა-კი თვით ამ სერიაის გამოხატარი-
 შებაა. კონტისთავის მათემატიკური მსჯელობა



ანრიორული იყო, სიდანაც მას გამოჰყავდა შედეგი დასკვნა, რომ მათემატიკა ახსოვს-ტური ჰემმარიტებაა, დამოუკიდებელი გამოცდაზე. მაგრამ, როგორც ჩვენ უკვე შევნიშნეთ, სერიის კანონები, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ გამოსაყენებელ კანონებს, ანრიორული რადი არიან. მართლაც და თუ „შე“ თავის თავად არ გამომდინარეობს გრძობიარ-

ბისგან, „შე“-მ არაფერი არ იცის, მას არც ერთი ცნება არა აქვს, არც ზგუეუების და არც სერიის; მასსადაც, უკანასკნელ ანალიზში გამოცდა მაინც მათემატიკურ სინამდვილის კრიტიკიუმიან; და აი აქ არის მათემატიკის ჰემმარიტება, რითაც ის სხვა მეცნიერებაში განსხვავდება.

ე. ალშიბაია.

სქესობრივი საკითხი

წერილი დასთან

III

ღაო ქეთო!

თვალები ცრემლებით მევსება, როდესაც ამ წერილსა გწერ. დეიდა ჩვენი კესარია-გარდაცვლილა, ეს არის, ახლა მომივიდა ამბავი. შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა დეიდა პატარაობიდანვე.

ეჰ, რისთვის ვიბადებით, რისთვის ვიხრცებით, ვინ იცის, ვინ გაიგებს?

შენს უკანასკნელს წერილში მწერ: შემატყობინე შენი შეხედულება, რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ბავშვის სქესობრივი გრძობის განვითარებაში, თანამედროვე პიესებში სიყვარულს დიდი ალაგი უქირავს სცენაზე; ჩვენ ხშირად ვხედავთ სიყვარულის განვითარებას, იქვს, ხვევანაკონას, ალერსს; ყოველივე ეს, ცხადია ბავშვს სქესობრივ გრძობას ნაადრევად გაუღვიძებს და ამით ზარალს მოუტანს.

ხომ არსებობს საბავშვო წიგნები, საბავშვო ჟურნალები; ამგვარადვე უნდა არსებობდეს საბავშვო თეატრიც. თხუთმეტწლამდი ჩვეულებრივი პიესების შესრულებაზე დასწრება ჩემის შეხედულებით საზარალოა ისე, როგორც საზარალოა

და მავნებელი მცირეწლოვანთათვის რომანების კითხვა.

თეორია სხვა ყოფილა, პრაქტიკა კი სხვაო,--მწერ შენ. ამასწინად მედა თამრიკო ქუჩაში მივდიოდით, გადაბმულ ძაღლებს თვალი მოჰკრა და ჩამაცვდა: დედიკო, რასა შვრებთან, გავაშველოთო; რომ ველარ გავაჩუმე, გაუწყური: სისულელეს ნუ მეკითხები, რა შენი საქმეა მეტქი. ძალიან ცუდად მოქცეულხარ, დაო ქეთო! იდეალური სქესობრივი აღზრდა ბავშვებისა ის იქნებოდა, რომ ამგვარი კითხვები ბავშვს არ ებადებოდეს, მაგრამ ცხოვრებაში ეს შეუძლებელია. ათასი გაუფრთხილდე, ბავშვი დაინახავს ან გაიგონებს ისეთს რასმე, რაც გამოიწვევს შესაფერ კითხვას, როგორც შენს მაგალითში. რაკი ბავშვს კითხვა დაებადა და მოგმართა, უსათუოდ უნდა დააკმაყოფილო, როდესაც შენ ამის ნაცვლად ბავშვს უწყრები: სისულელეს ნუ მეკითხებიო, რას აღწევ?

ჩამოგითვლი.

ბავშვს აშინებ, გულახდილობის სურ-



ვილს უკარგავ და გულჩათხრობილობას აჩვევ. ბავშვს ატყობინებ, რომ შენ დიდმა ადამიანმა იცი ისეთი რამ, რაც მან არ უნდა იცოდეს, რაზედაც ის არ უნდა დაგეკითხოს. ამავდროს ვერავითარის წყრომით და გადაუფიქრებთ ვერ დაავიწყებინებ ბავშვს ნახულ სურათს, ის ეცდება თავისის ძალღონით დაიკმაყოფილოს თვისი ცნობის მოყვარეობა და მისი აზროვნება არა სასურველ მიმართულებას მიიღებს.

ზომ იცი, დამალული განსაკუთრებით იზიდავს დიდსაც და პატარასაც.

აა, დედა მიმაღავს რაღაცას! გაივლებს ბავშვი გულში და ის აწი განსაკუთრებით დაუწყებს ამგვარ სურათებს ძებნას, მისი აზროვნება და ოცნება უფრო შეჩერდება ამგვარ სურათებზე, რათა ბავშვმა ახსნას, გაიგოს როგორმე ის, რასაც მას უმაღავნ.

შენს ალაგას აი მე როგორ მოვიქცეოდი: თამარკო რვა წლისა არის ახლა. რვაწლის ბავშვისათვის სრულებით საჭირო და სასარგებლო არ არის სქესობრივ ურთიერთობის ცოდნა. მე ვეტყვოდი მას იმის შეკითხვაზე: ძაღლები თამაშობენ და არავითარი გაშველება არ არის საჭირო მეთქი. წარმოვიდგინოთ, რომ შენი თამარკო თორმეტიწლის არის. დაინახა აღნიშნული სურათი და შეგეკითხა.

შენს ალაგას თორმეტიწლის თამარკოს პირდაპირ ვეტყვოდი: ძაღლები აგრე იმიტომ არიან, რომ ლეკვები დაჰყარონ მეთქი.

ამგვრ წლოვანებაში დამალვას და მოტყუებას არავითარი აზრი არა აქვს, მხოლოდ მალე მიგიხვდება ტყუილს და მისი ოცნება გარყვნის გზას დაადგება. ამიტომ უმჯობესია ისე აუხსნა რომ საჩოთირო მხარე გსმოსტოვო და თვით ნახუ-

ლი სურათის ღრმა აზრსა და მნიშვნელობაზე შეაჩერო ყმაწვილის გონება.

როგორც ვწერდი, თორმეტი წლიდან თოთხმეტამდე ის გარდამავალი ხანაა ყმაწვილის ცხოვრებაში, როცა მის სხეულში სქესობრივი მომწიფების ნიშნები ჩნდება, ღვივდება და შესაფერი გრძობაც ისახება.

აი ამ ხანაში საჭიროა ბავშვის გონების შესაფერად მოზარდება და განვითარებაც. სქესობრივი ურთიერთობა ადამიანთა შორის არც სასახელოა, არც სათაკილო და სასირცხვო, არც კეთილი და არც ბოროტი, — ის არის მხოლოდ აუცილებელი მოვლენა ადამიანთ გასამრავლებლად.

სიცოცხლის უმდაბლეს საფეხურზე სქესი არ არსებობს. არიან ერთ უჯრედოანი ცხოველები, რომლებიც მრავლდებიან შუაზე გაყოფით. არიან ისეთი ცხოველებიც, როგორც, მაგალითად, უსულო ჭია, რომლებიც ერთს და იმავე დროს დედალსაც წარმოადგენენ, მამალსაც, რადგანაც დედლის სასქესო ასოებიც აქვთ, მამლისაც. ამისთანა ცხოველი თვითონ ინაყოფიერებს თავისთავს და ამგვარად მრავლდება, — სხვისი დახმარება მისთვის საჭირო არ არის.

სიცოცხლის განვითარების მაღალ საფეხურებზე კი ერთ არსებაში შეერთებული დედალი და მამალი ერთმანერთს სცილდებიან და ამგვარად ჩნდება სქესი. იქ, სადაც სქესობრივი დაყოფა არსებობს, გამრავლება შეუძლებელია ისე, თუ ორი სქესი ერთმანერთს არ შეუკავშირდა.

უსულო ჭიას შეუძლიან გამრავლება თვისის საშუალებით: მეორე უსულო ჭია ამ მიზნისათვის მისთვის არ არის საჭირო.

ქალს კი არ შეუძლიან გამრავლება, არც მამაკაცს, თუ ორივე ერთმანერთს არ შეუკავშირდა სქესობრივად.

ახლოვდება ქალწულს ხშირად ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს სქესობრივი კავშირი საყვარელ კაცთან მას ამცირებდეს, არცხვენდეს, იმის ადამიანურს ღირსებასა ჰლახავდეს.

ვაჟი კი სქესობრივი კავშირით ამწყობს, ყოყოობს.

ორივე შემცდარია და ორივეს შეცდომა შედეგია ყალბი აღზრდისა.

დედმამის მეცადინეობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ შვილებს საღი, გონიერი უხედულება შეამუშავებინონ სქესობრივი ურთიერთობის შესახებ.

ცამეტ-თოთხმეტიწლის ქალსა და ვაჟს დედამ უნდა აუხსნას ყოველისფერი, მაგრამ აქ ერთგვარი სიძნელე გადაგეობება წინ, დაო ქეთო! თუ რომ წვრილობანებს გამოუდები და მოინდომე ყოველისფრის დაწვრილებით ახსნა, უხერხულ და საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდები. თუ ნამეტანი სიფრთხილე დაიწყე, შვილებს ვერ დააკმაყოფილებ და ეჭვსაც აღუძრავ; დედა ბევრ რასმე გვიმალავსო.

შენ უნდა მოუყვანო მათ, დაო ქეთო, მაგალითი მცენარეთა ცხოვრებიდან. მიუყვანე ყანაში აბიბინებულ სიმინდთან. იქ, სადაც სიმინდის ღეროზე ფოთლები თავდება, ქუჩუჩოა; გამოსახულ ტაროს თავში კი ულვაშები; მოსტეხე ამდროს ტარო, გაარჩიე და დაინახავ შენც და შენი შვილებიც, რომ შიგ ყრთიცხე წყალწყალა მარცვლებია.

— აბა თამრიკო, აბა ზურაბ, მითხარით, საიდან უნდა გაჩნდეს ამ ტაროზე ღიდი, მაგარი მარცვლები? ეკითხები შენ ემაწვილებს.

ვერც ერთი მათგანი ვერას გიპასუხებს, გარდა არვიცისა.

მაშინ შენ მოჰგლიჯე სიმინდის ქუჩუჩო,

ის მტვერი, რომელიც ხელის გულზე დაგეყრება.

— აი სიმინდის ქუჩუჩიდან ეს მტვერი ეყრება ტაროს ულვაშს, ულვაშებიდან ჩადის შიგნით, ანაყოფიერებს ტაროსა და ამგვარად ჩნდება მარცვლები. ყოველი მარცვალი კი მიწაში გაილოჯება და ამოდის მთელ სიმინდათ. აუხსნი შენ ემაწვილებს: მტვერი თუ არ დაეყარა ულვაშს, ტარო უმარცვლოდ დარჩება, მაინც და მაინც ის კი არ არის საჭირო, რომ სიმინდის ულვაშს მისივე ქუჩუჩას მტვერი დაეყაროს, — რომელი სიმინდის მტვერიც უნდა მოხვდეს, ტარო მაინც განაყოფიერდება.

აიღე, ახლა დაო ქეთო, გოგრის, ნესვის, კიტრის ან სხვა ყვავილი, ყოველ ყვავილში ჰნახავ მოგრძო სამტვერე რიკს, რომელიც ამზადებს გასანაყოფიერებელ მტვერს. ეს მტვერი ეყრება რიკის გარშემო შემოსხმულ ნაწილებს და ამგვარად ნაყოფიერდება კვირტი — გოგრაში, ნესვში, კიტრში, საზამთროში და სხვ. ჩნდება მარცვლები.

გააპე შუაზე ლობიოს მარცვალი, ან თხილის გული. ერთ თავში ჰნახავ პატარა მცენარეს, — ფოთლებიც კი არის გამოსახული. საიდან ჩისახა ეს პაწანწკინტელა მცენარე? მტვერმა განაყოფიერა მარცვალი, თხილის გული და სხვა და ამგვარად გაჩნდა მცენარის ჩანასახი.

მაშასადამე, დაო ქეთო, აი როგორ გროვდება უმთავრესად მცენარე. ყოველ მცენარეს დედაცა ჰყავს, მამაც, მცენარეებში დედლებიც არიან, მამლებიც. მცენარეებს მამლის ასოებიცა აქვთ, დედლისაც. მამლის ასო ამზადებს გამანაყოფიერებელ მტვერს, დედლის ასოში კი არის გასანაყოფიერებელი ნაწილები — მარცვა-



თსა და იმავე მცენარეს ორივე ნაწილები აქვს—დედლისაც, მამლისაც, როგორც, მაგალითად, სიმინდს, კიტრს, ნესეს. ბევრ მცენარეს კი ან მხოლოდ მამლის ნაწილები აქვს, ან მხოლოდ დედლისა—ე. ი. მცენარეებში წმინდა მამალიც არის და წმინდა დედალიც. ხშირად კი ორივე სქესი შეერთებულია ერთსა და იმავე მცენარეში. მცენარეულობასთან შედარებით ცხოველების აგებულება უფრო განვითარებულია ამიტომ დედალი და მამალი ცხოველებში სრულებით დაყოფილი არიან.

მცენარესა აქვს სამტვერე რიკი, რომელიც ამზადებს გამანაყოფიერებელ მტვერს.

მამალ ცხოველს აქვს სასქესო ასო, რომელშიაც მზადდება გამანაყოფიერებელი სითხე. მცენარესა აქვს მტვერის მისაღები ასოები, სადაც ეყრება მტვერი და ანაყოფიერებს მარცვალს, კვირტს, ნაყოფს და სხვ.

დედალ ცხოველსაც აქვს სასქესო ასო, რომელშიც ნაყოფიერდება კვერცხი მამლის სასქესო სითხის საშუალებით.

ამაზედ მეტი, ამაზედ უფრო დაწვრილებით ახსნა დაო ქეთო, საჭირო არ არის. დანარჩენს თვითონ ბავშვები მიხვდებიან. მთელი სქესობრივი აქტის დაწვრილებით ახსნა ერთგვარ ზრდილობიანობას იქნება მოკლებული და სრულებით მეტია. ბავშვი ისეც მიხვდება ყოველისფერს.

შენ უნდა აუხსნა მხოლოდ ბავშვებს, რომ ყოველი ჩვენგანი ჩნდება კვერცხიდან სპერმატოზოიდთან შეერთებით. ამგვარადვე ჩნდება ფრინველი, ოთხფეხი, ქვემძრომი—ბაყაყი, თევზი, ქათამი, ღორი, ძაღლი, ცხენი და სხვ. თორმეტ-ცამეტის წლის ბავშვს აინტერესებს დედმამის შორის ურთიერთობა.

მე მყავს ერთი კარგი მეგობარი ქალი. სწორეთ ამ ურთიერთობაზე გვექონდა ლაპარაკი ამას წინად.

—ცამეტის წლისა ვიყავი, როდესაც სრულებით შემთხვევით და ჩემთვის მოულოდნელად დავრწმუნდი, თუ რა სქესობრივი ურთიერთობა არსებობდა დედასა და მამას შორის, მიაშობ მან. ჩემს არსებაში რაღაც დიდი ცვლილება მოხდა, სანამ სემს აღმოჩენას შევუბრუნდებოდი, დედმამა თითქოს შემძულდა კიდევ.

ეს ასეც უნდა მოხდეს, დაო ქეთო, ყველგან, როდესაც ბავშვს ყოველისფერს უმალავენ.

ცამეტ-თოთხმეტი წლის ბავშვს უსათუოდ უნდა აუხსნა, თუ რა სქესობრივი კავშირი არსებობს ცოლსა და ქმარს შორის.

როდესაც ბავშვი თვითონ გაიგებს შემთხვევით, უსათუოდ დაეკარგება პირველ ხანს მაინც, პატივისცემა დედმამისადმი.

—აა, თქვენ მე მიმალავდით და აი თურმე რა სისაძაგლეს სჩადინართო, გაივლებს ბავშვი გულში. ბავშვის აზროვნება და დიდისაც ისეა გამართული, რომ ყოველივე დაფარული და დამალული მის დამამკირებელი, სასირცხვო და დასაძრახისი ჰგონია.

ბავშვს დაწვრილებით კი არ უნდა აუხსნა, ქეთო, ის უნდა მიახვედრო, რომ სქესობრივი კავშირი დედმამის შუა საჭიროა, აუცილებელი, რომ აქ დამამკირებელი, დასაძრახისი არაფერია; მაშინ სქესობრივი კავშირიც სულ სხვა სახით წარსდგება ბავშვის ოცნების წინაშე.

არ შეგინიშნავს, რომ პეპელები ხშირად წყვილ წყვილად დაფრინავენ? მათ უყვართ ერთმანერთი და ერთმანერთთან შეკავშირებით პატარა პეპელების წარმოშობა უნდათ.

აი, მიუთითე ამ გარემოებაზე ბავშვებს. გაზაფხულზედ რომ მერცხლები გვესტუმრებიან, დედალი და მამალი ერთმანერთს შეუკავშირდებიან და ბუდეს ერთად იკეთებენ, რომ შვილები წარმოშობონ. ამგვარსავე მაგალითს გვიჩვენებენ ბელურები, შაში და სხვ.

მიუთითე ამ მაგალითებზე ბავშვებს, დაო ქეთო, მხოლოდ ყოველთვის ხაზი გაუსვი სიყვარულს. დედალი და მამალი მერცხალი ჯერ შეიყვარებენ ერთმანერთს, შემდეგ ერთად იწყებენ ცხოვრებას, რომ საერთო შვილები შეიძინონ და დაზარდონ.

როდესაც ბავშვში სქესობრივი გრძობა უკვე გაღვიძებულია, მას ორი რამ ღრმად უნდა აქონდეს შენსაგან ჩანერგული და შემისხლხორცებული: პირველი ის, რომ სქესობრივი აქტი მხოლოდ გამრავლებისათვის არის საჭირო, მეორე ის, რომ ამ აქტს წინ უნდა უძღოდეს სიყვარული.

ყრმას ძვალ-რბილში უნდა აქონდეს გამჯდარი ის რწმენა, რომ სქესობრივ აქტს ამართლებს მხოლოდ სიყვარული და შვილიერობა, უამისოდ სქესობრივი კავშირი ადამიანის შემარცხვენელი, დამამცირებელი და გამაპირუტყვებელია.

ამგვარი რწმენის, მიმართულების ჩანერგვა კი შენი საქმეა, დაო ქეთო, და საზოგადოდ დედების.

ბავშვი მეტად თავმოყვარეა; ის ცდილობს, მოერიდოს ყოველისფერს, რაც იმის ადამიანურს ღირსებას ამცირებს, ჩირქსა სცხებს. აიღე ყრმა, რომელსაც თავი უკვე დიდ ადამიანად მოაქვს, რომელიც საუღვანოზე მუდამ თითებს ისვამს, თითქოს უნდოდეს, თვისი თავი დაარწმუნოს, რომ ის უკვე დიდია, ვაჟაკია; ამგვარი ყრმა ხშირად ზიზღით, სურვილის,


მისწრაფების წინააღმდეგ ჰკარგავს უმანკობას საროსკიპოში, რათა თავიდან აიცილოს ამხანაგების დაცინვა: შენ კაცი არა, ქალაჩუნა, „ბარიშნა“ ხარ — ქალთან კავშირი არა გქონიაო. ამხანაგების დაცინვა მას თავის დამცირებად მიაჩნია; დიალაც რომ დიდია და არა ქალაჩუნა, — აი თუარა! და ის მიდის საროსკიპოში, რათა თვისი ცრუ თავმოყვარეობა დაიკმაყოფილოს.

ეს მაგალითი იმიტომ მოგიყვანე, დაო ქეთო, რათა დაგიმტკიცო, რომ ყრმა მეტად თავმოყვარეა: ის ცდილობს, თვისი ადამიანური ღირსება დაიცვას. მხოლოდ იმას უნდა გააგებინო, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება. როდესაც გარყვნილი ამხანაგები არწმუნებენ მას: დიდის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან ქალთან კავშირი დაიკაოსო, ის საროსკიპოში მიდის, რათა თვისი „დიდობის“, და ვაჟაკობის ღირსება დაიცვას. შენკი დაარწმუნე შენი შვილი შესაფერს წლოვანებაში, რომ ქალთან კავშირი უსიყვარულოდ და შვილების შეძენის სურვილით გამოუწვეველი ადამიანის ღირსების დამამცირებელი და შემარცხვენელია, და გარწმუნებ, დაო, უმეტეს შემთხვევაში ის ეცდება, შეებრძოლება თავის თავს, წინააღმდეგობას გაუწევს ახლად აფეთქებულ გრძობებს.

ჩემს საგანს მგონი დავშორდი.

ფრინველთა მაგალითებიდან შენ ნელა ნელა უნდა გადახვიდე ცოლქმრულ კავშირსა და ქორწინებაზე. აიღე შენი საკუთარი თავი და ასე მოუყევი ბავშვებს.

— მე და პავლემ ერთმანერთი გავიცანით. ერთმანერთი ისე შეგვიყვარდა, რომ ცალკე ცხოვრება აღარ შეგვეძლო; მაშინ შევკავშირდით, შევუღლდით, ერთად ვიწყეთ ცხოვრება, ერთად ვართ,



ერთად გვიჩნავს და ამგვარად შეგვეძინეთ თქვენ, ჩვენო საყვარელო შვილებო! ახლა ჩვენ თქვენთვისა ვზრუნავთ, თქვენთვისა ვცხოვრობთ თქვენთვისა ვშრომობთ, რომ თქვენ დაიზარდოთ, კარგი და სასარგებლო პირები გამოხვიდეთ.

შესაძლებელია რომელიმე დაგეკითხოს; — დედილო, როგორ დავიბადეო

შენ სრულებით შოურიდებლად და დამშვიდებით უნდა მოუყვე.

— შენ ჩაისახე ჩემს მუცელში, ჩემს საშვილოსნოში. ჯერ ძალიან პატარა იყავი პურის მარცვლის ოდენა. ჩემს მუცელში ნელანელა იზრდებოდი მთელი ცხრა თვის განმავლობაში.

— როგორ ვიზრდებოდი, დედილო?

— როგორ, შვილო და შენ ჩემს სისხლსა სწოვდი მუცელში. ჩემისი სხლი შენა გზრდიდა და მე ავით ვიყავი, მიჭირდა შენი ტარება, მაგრამ მიყვარდი და ყოველისფერს ვითმენდი. როდესაც დიდი გაიზარდე და ჩემს მუცელში აღარ დეტე, მაშინ გშობე. ძალიან დავიტანჯე, დიდი ტკივილები მქონდა, ავბღ ვიყავი, დიდხანს ვიწეკი, მაგრამ ყოველივე დავივიწყე, რადგანაც შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მინდა, რომ კარგი და მამულისმთავის სასარგებლო ადამიანი გამოხვიდე.

თუ დაგეკითხება თორმეტის წლის ბავშვი, სადიდან დავიბადეო, შენ არც უნდა დაიბნე, არც უნდა შეგრცხვეს, არც უნდა მოჰყვე აბდაუბდას: ჭიპიდან დაიბადეო და სხვ.

— ბავშვი დედას ებადება იქიდან, სადაც შარდი გამოდის. აუხსენი ამგვარად ბავშვს და სრულებით საკმარისი იქნება.

... დაო ქეთო! ხელი მიკანკალეხს, გული სევდით ამევსო, თვალეხი ცრემლეხმა დამიბნელა, გონება ამერია: ჩვენ

არჩილი, საყვარელი, სულზედ უტკბესი არჩილ ჯორჯაძე აღარა გვყავს. ეს არის, ახლა მივიღე ცნობა. ღმერთო, რა უბედური ვართ!

ვიცოდი, რომ დიდხანს აღარ იცოცხლებდა. მაგრამ მაინც ვერ შევრიგებოვარ იმის დაკარგვას. ის ადამიანი კი არა, წმინდანი, ანგელოზი იყო ადამიანთა შორის. ის იშვიათი, მეტად ძვირფასი, მეტად საყვარელი სტუმარი იყო; ამ ქვეყნისას ის არა ჰგავდა და მალეც გაგვშორდა, კეთილშობილ, პატიოსანი, უმწიკვლო, მეტად გულწრფელი, ზნე მაღალი, დარბაისელი, სულგრძელი, ფაქიზი, სულით და გულით წმინდა, აზრით სპეტაკი, თავდაბალი, გრძნობით აღსავსე—აი ვინ იყო არჩილი. სანაწილო ადამიანიო, რომ იტყვიან, სწორეთ ის იყო

ძვირად მინახავს ადამიანი სიყვარულით, სათნოებითა და სიკეთით ამდენათ აღსავსე, როგორც არჩილი იყო თავისი ხასიათით ის ჰხიბლავდა, თვისის გულით ის აჯადოებდა ადამიანს. შეუძლებელი იყო გაგეცნო და მისდამი უღრმესი პატივისცემითა და წრფელის სიყვარულით არ გამსჭვალულიყავი.

არა, დაიკო, ის არ მომკვდარა, — ის დაიწვა. იმის გულში ცეცხლი ენთო თავისი ბედშავი ერის სიყვარულით აღგზნებული, — და აი ამ ცეცხლმა დასწვა ის.

მშვიდობით, დაიკო! გული ნაღვლითა მაქვს სავსე და მეტის მოწერა აღარ შემიძლიან.

გახსოვს, ამ ორის წლის წინეთ სურამში რომ ვნახეთ მედაშენ ერთად!

— ეს თვალეხი, სიბრძნით, სიყვარულით, ღრმა სევდით აღვსილი და მრავლის მეტყველი თვალეხი არასოდეს არ დამავიწყდებაო, მეუბნებოდი გზაში.

ამ ღღეებში გამოგიგზავნი არჩილის

სურათს და იცოდე, ბავშვების ოთახში ჩამოჰკიდე. ბავშვების ოთახშივე უნდა გქონდეს: შოთასი, აკაკის, ილიას, გოგე-ბაშვილის, ვაჟა-ფშაველასი და სხვა სურათები. დეე, შენმა შვილებმა პატარაობიდანვე გაიცნონ ჩვენი ერის სიამაყენი, ეგებ მათსავით შეიყვარონ თვისი სამშობლო.

გარწმუნებ, დაო ქეთო, სიყვარული სამშობლოსადმი დიადი, უმაღლესი გრძნო-

ბაა და ყოველი დედა ვალდებულია, ეს გრძნობა ჩაუნერგოს შვილებს.

დამიკოცნე შენი ბავშვები. პავლეს ათასი მოკითხვა.

ნუ დამივიწყებ.

შენი საფლავის კარამლი მოყვარული ძმა არჩილი.

„განათლებისათვის“ გადამწერი

ივ. გომართელი.



† არჩილ ჯორჯაძე



არჩილ ჯორჯაძის ხსენებას

როდესაც ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაში ხედავ თითო-ორი მოღვაწეს, ქვეყნისათვის თავდადებულს, მისთვის ზეარაკად გამზადებულს, გული იმედით გვესება და მოწიწებით თავსა ჰხრი ასეთის გამირების წინაშე.

როცა ასეთს გმირს, ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში მოქანტულს და სამუდამოდ გულხელო დაკრეფილს ხედავ, გული სევდით გვესება, გამოურკვეველობა გიპყრობს, არ იცი ვინ არის სატირალი: თვით გმირი, რომელმაც ცხოვრების ხანმოკლე გზა უდროოდ განვლო, თუ ის ერი, რომელსაც ეს გმირი ფარვანასავით თავს დასტრიალებდა, ნელ-ნელა იწვოდა და იღვოდა ხალხის ბედნიერებისთვის. უიმედობა, სასოწარკვეთილება მომაკვდავის თვისებაა და ვინც ამ გრძობით განიმსჭვალება, მას სააქაო არა დარჩენია რა. მართალია, ძნელად თუ ვინმე შეუთრგდება იმ აზრს, რომ არჩილი, ეს ჩვენი ქვეყნის დიდი მოამაგე, ყოვლად უწყინარი, მშვიდი, მრავალ სათნოიანი და სპეტაკი არსება ასე უდროოდ გაჰქრა ამ წუთისოფლიდან, მაგრამ მისი ნიჭით დაჯილდოვებული სპეტაკი სული დღესაც შარავანდელით შემოსილია და უხვად ბრწყინავს მის ნაწერებში. ამ ნაწერებს დაეწაფება მომავალი თაობა, იქ იპოვის

იგი ცხოვრების აზრს, გაიცნობს მტერ-მოყვრებს, ქვეყნის სიავ-კარგეს, გაიცნობს იმ სულის, რაც ამოძრავებდა ცხოვრებაში განსვენებულს არჩილს, ჩაუყვირდება ცხოვრებას და თვით არჩილისებრ შეებრძოლება ქვეყნის უკუღმართობას, ან სძლევს მას, ან შეაკვდება გამირულად. თვით ცხოვრებაც ხომ ბრძოლაა და ვინც ამ უნარს მოკლებულია, ის ცხოვრებიდან გარიყულია.

დღეს ჩვენი ხალხი განურჩევლად ყველა გულწრფელად სწუხს არჩილის უდროოდ დაკარგვას. მან იცის ვინ იყო არჩილი და რა დასაკლისია იგი ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ ამ საერთო მწუხარებასაც იმედის შუქი დასტრიალებს გარს და გვეჯერა კიდევ, რომ მომავალში არჩილისთანა მოღვაწეებს ჩვენი ქვეყანა არა ერთს იხილავს და მაშინ, ხომ აწმყო თუ არა გვეწყალობს, მომავალი მაინც ჩვენი იქნება.

ამ იმედით აღჭურვილი მუხლს ვიდრეკთ არჩილის ნემტის წინაშე,

„რომლის საფლავი დროსა მომავალს
საძიარკვლად ჰქონდეს,
რომ აგონებდეს
მისი ცხოვრების ჰატიოსან კვადს“!

ლ. ბოცვაძე.



ნორჩ საფლავზედ.

(არჩილ ჯორჯაძის სამარხზედ)

აქ გმირი წევს... სამსხვერპლოზედ მამულისთვის შეწირული.
აქ აჩუქა სამშობლო ერს, სხევით სავსე ნაზი გული.
აქ სტიროდა მთელი ერი, ცხარე ცრემლით გაბასრული...
ყვავილთ კუბო შეუმზადა ვარდის გულით მოკაზმული.

* * *

ცრემლთ გუბეში ამოსულა, ფრთებ-გაშლილი ნაზი ია,
—ეს ხომ მისი ძეგლი არის სინარჩარით ლამაზია!
სიმბოლოა ია მისი, თვით გულიდგან ამოსული;
სირი უმდერს საგალობელს, უცხო ქვეყნით გადმოსული.

* * *

დადგება დრო, სანეტარო, მარად ჩემთვის სანატრელი
და სამარე აყვავდება, ვით მისში ნაზი ველი.
მაშინ მოგკრეფ მე ყვავილებს, დაეწნავ მათგან თაიგულსა.
და სამსხვერპლოდ შემოვწირავ, აქ მდებარე გმირის გულსა!..

გ. ლეონიძე.

ქ. თბილისი. დიდუბე.




არჩილ ჯორჯაძე

(ბიბლიოგრაფიული ცნობები)

არჩილ ჯორჯაძე დაიბადა თფილისში 1872 წ. იანვარის 10, მაშასადამე 41 წლისა გადაიცვალა. მამა მისი, კონსტანტინე, მე-70 წლების დასაწყისში ქუთაისის გადაიყვანეს, სადაც მთელის ოჯახით გადავიდა საცხოვრებლათ. არჩილს ჰყავდა ოთხი და და ერთი ძმა. სწავლაც არჩილმა ქუთაისში დაიწყო, კლასიკურ გიმნაზიაში. მალე იმის ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა: ორი უფროსი და არჩილისა, რომელნიც ქუთაისის წმ. ნიკოს სასწავლებლის უკვე უფროს კლასე-

ბში სწავლობდნენ, მოწამეთის მონასტრის ახლო, წყალ-წითელაში ბანაობის დროს, დაიხრჩენენ. ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა ქალები ერთმანეთს გულში ჩაჰკვროდნენ, მდინარიდან მათი უსულო გვამები ასე ამოიღეს და იქვე, მონასტერში, დაასაფლავეს. შემდეგ მოკვდა მესამე დაც და მალე წუთის-სოფელს გამოესალმნენ არჩილის დედ-მამაც. დარჩნენ ობლად არჩილი, უმცროსი ძმა და და. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ძმაც მოუკლეს თფი-



ლისში ერთ გააფრთხელებულ მოხელესთან შეტაკების დროს.

სწავლა არჩილმა თფილისის 1-ლ გიმნაზიაში განაგრძო და იქ კურსი დაასრულა 1892 წელს. უმაღლეს სწავლის მისაღებათ გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა იქაურ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პეტერბურგის აუტანელ ჰავაში და ცხოვრების ცუდ პირობებში ახალგაზდას მალე აღმოაჩნდა საშინელი სენი — ქლექი, და იძულებული გახდა სხვაგან გადასულიყო. არჩილი გაემგზავრა ვარშავას და იქაურ უნივერსიტეტში შევიდა ისევ იურიდიულს ფაკულტეტზე. მაგრამ, როგორც კი უკეთობა იგრძნო, მაშინვე ისევ პეტერბურგს დაბრუნდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იქ შეეძლო საუკეთესოდ მეცნიერების შესწავლა და მუშაობა. ახლა ის შევიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და ამასთანავე დაეწაფა ფილოსოფიის შესწავლას ცნობილ ვოლინსკის ფილოსოფიურ წრეში, სადაც ბევრი რუსი და რამდენიმე ქართველი ახალგაზდაც მუშაობდნენ. ეს უკანასკნელნი არჩილის მეგობრები და ამხანაგები იყვნენ — ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვანი, რომელთაც მასთან ერთად დაასრულეს სწავლა თფილისის გიმნაზიაში. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე არჩილმა წელიწადნახევარი დაჰყო. მერე ისევ გახდა ავად და იძულებული შეიქნა პეტერბურგისთვის და უნივერსიტეტისთვისაც თავი დაენებებინა. ეხლა არჩილი გაეშურა საზღვარგა-

რეთ და განაგრძობდა სწავლას პარიზსა და ლონდონში. იქ, ერთხანს, ტოლსტოველთა კოლონიასა და სცხოვრობდა, რადგან იმ დროს გატაცებული იყო ტოლსტოის მოძღვრებითა და, საზოგადოდ, ფილოსოფიურ რელიგიურის იდეებით. სხვათა შორის, ახლო გაიცნო მაშინ არჩილმა აღორძინებულ კვაკერების მოძრაობა და სწავლა, ასწერა ეს ყველაფერი და დაბეჭდა ცნობილ მაშინდელ რუსულს ჟურნალ „სევერნი ვესტნიკ“-ში. ამ სტატიას დიდი ყურადღება მიაქცია მაშინდელ ტოლსტოიმ და, სხვათა შორის, არჩილს დაავალა მაშინ ჩვენში აყრილ დუხობორების შეხვედრა უცხოეთში და მათი ამერიკაში გადასახლებისთვის ხელის შეწყობა. ინგლისიდან არჩილი გაემგზავრა შვეიცარიაში და იქ განაგრძო თვისი სწავლა. ამ ხანებში იგი პოლიტიკურსა და საზოგადოდ სოციალოგიურს მეცნიერებას დაეწაფა.

1900 წელს, სწორეთ მაშინ, როცა ახალგაზდათა ერთმა ჯგუფმა განიზრახა და დაიწყო „ცნობის ფურცლის“ გამოცემა, არჩილი თფილისს ჩამოვიდა და ჩადგა საგაზეთო მუშაობაში. იმ დღიდან დაწყებული არჩილს ერთის წუთითაც აღარ მოუსვენია: სწერდა, საზოგადოდ ასპარეზზედაც მუშაობდა ჩვენში და 1902 წლის შემდეგ საზღვარგარეთაც, სადაც დაარსდა და აწარმოებდა, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად ჟურნალ „საქართველო“-ს. „კალხიდა“





ჩაჰკრა სხივი!

(აჩჩილ კარჯაძის გადმოცემის მიხედვით)

მშობელ ერის საკუთრებეველს მოსწყდა სხივი მოკამკამე,
უგრძნობ ფიქრში ჩაიკარგა დღის ტაძარი, ცისკრის ღამე!
მთის კორტოხზე განიავდა იმედები მოელვარე,
შვების ბუჩქი გაცამტვერდა ვარსკვლავთ ხომალში მონარნარე!

ყოფნის ნავი ზღვამ ჩაძირა, ზღვამ უძირომ, ქოთქოთ ტალღამ,
თეთრი აფრა დაუხია, ფრთა წაჰკრა მწუხრის დაღვამ;

დრომ წარმოშვა შავი ცრემლი, შავი ღიმი გადამქრალი
და ეს კუბო გააცურა ზღვის ტალღებზე ფიქრთ მავალი.

და აკენესდა სიზმრის ვარდი, თეთრი ღამე, თეთრი სხივი,
უკვდაებად გარდაქმნილი, ცის ეტრატზე განაცვი!

ვარდმა ცრემლი გადმოღვარა, შვების ყლორტი მიინაბა,
და ტირიფმა მიწის ცრემლში ქვეყნის მწუხრი გადაბანა!

დროთა სრბოლამ კიდევ ერთი, კიდევ ერთი შეიწირა,
ცრემლთა გუბე ზღვად აქცია, ქვეყნის სევდა მიიბარა!..
ხმა ცხოვრების ფიქრში ჩაღნა, შორს სივრცეში გადასტყორცნა,
და ეს კუბო, სევდის კუბო, ერის ცრემლში გადაჰკოცნა...

მსურს გადვიქცე ობოლ ნავად, მსურს წარმოვშვა ცის ხომალდი,
და ეს კუბო, გრძნობის მფრქვევი, დროთა ბრუნვით განაქედი
მთის კორტოხზე გადმოვკიდო, ზღვის ტალღებზე გავაცურო...
ფიქრთა მსხვრევი საოცნებო სევდის სივრცე გადავცურო!..

მოსწყდა ცრემლი კლდეთა ნაპრალს,
მოსწყდა მწუხრი უგრძნობ წარსულს,
ჩაჰკრა ხომლი, ჩაჰკრა სხივი,
ერის გულში განაღვივი!..

სტირის ველი, ნაკადული,
სტირის ჩანგი, მგოსნის ჩანგი,
გამოისმის სიმთ ქვითინი,
გამოისმის მწუხრის ჰანგი!..

ს. ტაფუნი.



დგანან: ალექსანდრე გაბუნია, კ. გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი.
სხედან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მისაკა წერეთელი.

არჩილ ჯორჯაძის ხსენებას

*

* *

„მოკვდაო არჩილ ჯორჯაძე!“

ხალხს ელვასავით მოედვა,
ქართველს თავზარი დაეცა,
გულზე გენია მოედვა.

ალარ გვყავს მთავარსარდალი
სამკედრო-სიცოცხლო ბრძოლისა:
უდრო-უდროოთ ეკვეთა
ისარი ბედის ქროლისა.

მოჰკვდა სამშობლოს კალთაზე,
კეკლუცად შემოსილისა,
გადატყდა კირწში სიცოცხლე
სამოთხის ვარდის შლილისა—

სუნთქვა შეიკრა ნიაფმა,
შეიკრიკმა დასაველეთისა,
ქვეყანამ გაჰკრა სუნგალი,
თითქოს ხილვავა ღმერთისა...

გათავდა... მწარედ შრიალებს
 დაობლებული ბაღნარი,
 ჰქვითინებს სამშობლოს მთებზე
 თოვლი ცრემლებად დამდნარი.

მზე დაიღრიჯა... სრულიად
 ფერი დაჰკარგა მთვარემა...
 შავი თაღხები ჩაიცვა
 ჭირისუფალმა მხარემა.

მწუხარებაა უსაზღვრო...
 ვინ გაუზომა ზღვას ძირი?!
 კიდევაც გმართებს ბაღნარო,
 რომ ვარდს დაღუპულს დასტირი!

* * *

იტირე, სამშობლო მხარევ,
 აღარ გყავს შენი არჩილი!
 მუხთალ ბედისგან შეიქმენ
 ასე ზედიზედ დასჯილი!
 აღარ გყავს შვილი ნამდვილი,
 მესაიდუმლოე გულისა,
 მკურნალი—აღმომჩენელი
 მტრისგან დაჩნეულ წყლულისა,
 მებრძოლი შეუღრეკელი
 მომავლის დიდებულისა,
 წინ მოკიაფე ვარსკვლავი,
 მორბედი გაზაფხულისა!

* * *

ის მიხვდა შენსა რკვილებს
 და შენსა მაჯის ცემასა
 და მანამდის არ მოეშვა
 ზარის რეკვას და ცემასა,
 სანამდის არ გაგვადვიდა.
 არ დაგვაყენა გზაზედა,
 არ აგვიჟღერა სიმები
 საკუთარ გულის თქმაზედა,
 არ შეგვაყენა, ვით მოსემ
 ებრაელები, მთაზედა,
 არ დაგვისახა ჩვენი მზე
 აღთქმულის ქვეყნის ცაზედა.

* * *

აღარ გყავს... გარდაიცვალა!
 მაგრამ არ არის მომკვდარი
 არჩილის ხსოვნა ბრწყინვალე,
 მარადის მოსაგონარი.

აზრი იმისი უკვდავი
 ბუნებასავით ახლდება,
 იმისი აღთქმა, სურვილი
 საქართველოზე ახდება.

ყველგან ვგრძნობ იმის სახესა,
 ყოველ კუკურში, ყვავილში;
 აზრი იმისი ნათქვამის
 გულის სიღრმეში ჩავიშვი:

„ახალგაზდებო, თქვენზე მაქვს
 იმედი დამყარებული!
 სიკვდილის შემდეგ მე თქვენით
 ვიქნები გახარებული.“

ნუ დაზოგთ ღვაწლსა და შრომას
 დავრდომილ-დაჩაგრულისთვის,
 დაღეწეთ მონობის ხუნდი
 კაცის ღირსების გულისთვის.
 ლაღობდეთ, როგორც ნიავი,
 თავზე რომ დაჰქრის მდელოსა,
 და აღუდგინეთ სახელი
 დაცემულ საქართველოსა.

მარადის თქვენთან იქნება
 ჩემი სული და გულის-თქმა,
 მწამს ამისრულებთ იმედებს,
 არ მინდა ფიცი და აღთქმა!..“

* * *

დიდო მებრძოლო თავისუფლების,
 მოძმის სანთელო, თავდადებულო!
 ვფიცავ სამშობლოს, რომ შენს ნათელ გზას
 კვალში გავსდიო და ვუერთგულო!

ვფიცავ კაცობას, რომ შენს აღთქმულ
 დაუზოგავად თავი შევსწირო. [აზრს
 მიიღე ჩემგან ფიცის ფურცელი,
 და თან „მშვიდობით!“ სამშობლოს გმირო!


* * *

ჩემო სამშობლო, ჩემო ძვირფასო,
იგოდ-იტირე, თან გაიხარე,
რომ შენს წიაღში იშვა არჩილი
და ბოლოს ისევ შენ მიიბარე!

შენში იხილა მან პირველად ცა,
აქვე დახუჭა სამუდმოთ თვალი...
შენ შეიძელი არჩილის აღზრდა
და შენ გეკუთვნის მზე-მომავალი!

ს. აბულაძე.

26 მარტი 1913 წ.



არჩილ ჯორჯაძე
გიმნაზიაში სწავლის დროს

მიიცვალა!..

(ა. ჯორჯაძის ხსენებას)

მიიცვალა!.. —ღვთაებრივ შუბლს მწუხრის ჩრდილი გადევარა...
გული შეჰკრთა... და ნაღველი ცხარე ცრემლად გადმოიღვარა!..

კით დაეშვა ანგელოზი, გვამს გაყინულს ეამბორა
და სიმწუხრით მარგალიტის ცრემლი ლაწვზე ააგორა!..

მიიცვალა მხნე მებრძოლი, მამულისთვის განწირული!..
სნეულ მშობლის სამსხვერპლოზე განუტევა გმირმა სული!..
შესწყდა მედგარ გულის ძგერა, ერის წყლულით აგზნებული...
და ჩანელდა ჩირაღდანნი, ღვთიურ სულში ანთებულნი!..

ის, —ვინც მოძმის გულისათვის მსხვერპლად დადნა ვით სანთელი,
აღარ არის... —სულს ეუფლა მწუხარება და ნაღველი!..
აღარ არის, მაგრამ იგი ხალხის გულში არ მოკვდება...
სამშობლოსთვის თავ-დადებულთ ნათლით ჰმოსავეს უკვდავება!

მაშ ნუ სტირი ქართლის დედავ!.. შენი შვილი არ მომკვდარა!..
არ ჩამქრალა ჯერ სამსხვერპლო, —თუმცა ცრემლი დაიღვარა!..
ნეტარია, ვინაც მამულს ანაცვალა თვისი თავი...
ხსოვნა მისი არ იშლება... უკვდავია ის —უკვდავი!..

იჯემი.

ვ. გორგაძე.



ჩემი სულის კოკობ ვარდს

არჩილ ჯორჯაძეს

ვინც სამშობლოს უორგულა,

ელაქუცა, ეპირფერა,—

მას ეგ შენი კალმისწვერი

ნესტარივით გულს ეძვერა!

(ფოთელ თანამაჴს. გვირ. ჯენტეჴე წარწერილი)

რად აადე ხალხის გულის

სათუთ სიმებს შენი ხელი?

რად დასტოვე ასე აღრე

ტურფა მხარე საყვარელი?!

გვიღალატე? მერე რისთვის

რისთვის ჰქენი ასე მერე?

კარგი, მაგრამ ეგ სიობლე

ხარკად რისთვის დაგვაწერე?!

ბელადობას ვინ გაგვიწვეს;

ვინ გვასწავლის კვლავ აწ რამეს?—

ვაჰმე! მზეც-კი დაგვიბნელდა,

ესქვრეტთ უმთვარო და ბნელ ღამეს!

მაგრამ ფიცს ვსდებთ გაუტუნელს,

ფიცს, რომ ვსდიოთ შენსავ კვალსა,—

შენს მოძღვრებას ფრთა შევასხათ

და გადავსცეთ მომავალსა!

ლადო გეგეჴკორი.

ფოთი.

უკანასკნელი საღამი

რამდენიმე საათით წინ გულითადს მოკითხვას მოგიძღვნიდით; დარწმუნებულები, რომ კვლავ გაუმკლავდებოდი საშინელს სენს, ვნატრობდით შენთან მალე შეხვედრას და ტკბილს ბაასს. გამხნევებით მულამ მხნეს, შეუპოვარს, მტკიცეს, გულით წმინდას, სულით აღფრთოვანებულს, გამხნევებით იმას, ვინც თვითონ იყავი ჩვენი იმედი, საყვარელი მეგობარი, თავდადებული ამხანაგი.

მაგრამ თავზარდამცემმა დეპეშამ გვამცნო, რომ უკვე გამწყდარი იყო ძაფი, რომელიც გაერთებდა ცხოვრებასთან, რომ სამუდამოდ დადუმდა ენა, ეგრე მჭევრად

მეტყველი, დახუჭე თვალები, რომელიც სიყვარულის ცეცხლით გვათბობდნენ, გაცივდა მაჯა და შენმა ხელმა გააგლო კალამი, რომელსაც ჯერ მთლად არ შემორობია შავი მელანი, რომელიც ისე ბასრი იყო, მკვეთელი, მოურიდებელი და მძლავრად გააპობდა წყვილიადს და გასჭრიდა გზას განთიადისკენ.

ჩვენი მოკათხვა შენს ცივს გვამსლა მისალმა მხოლოდ: იმედიანი, აწ დამწუხრებული დაგყურებს თავს; ჩვენი გარდახვეწილი, დევნილი, სამშობლოდამ გაძევებული, გული მღულარედ დასტირის შენს სახეს; ჩვენი ცრემლიანი თვალები



ღრმა სიყვარულით, მოწიწებით, შემოგ-
ყურებენ და სული განაბული სდუმს,
სდუმს დატანჯული, განმცდელი ვაებისა,
რომელიც წილად ხდომია ბეჩავ ხალხის
შვილებს...

აღარა გვეყვხარ, სამუდამოდ მოგვშო-
რდი და აქ დაგვიტოვე მოსაგონებლად
საყვარელი სახელი, სატრფიალო აჩრდი-
ლი, ანდერძი სათაყვანებელი!... ძვირფასო
მეგობარო, რა ვსთქვათ შენს ჯერ მთლად
არ გაცივებულის გვამის წინაშე? რა გით-
ხრა, რით გამოგესალმო მე შენი ახლო-
ბელი ამხანაგი და თანამოაზრე? რა მო-
გაწოდო შორიდან, რით გამოვსახო ჩემი
სულიერი ტანჯვა, ობლობა, სიმწარე მო-
საგონებელ დღეთა და სიმძიმე მომავალი-
სა? მანდ მყოფი, ცოცხალის ვარდით ნა-
ზით და წრფელის მეგობრულის ცრემ-
ლით გამთხარით შევამკობდი შენს გულს:
ეს გამოხატავდა იმ სინაზეს და სიმშვენი-
ერეს სიყვარულისას, რომლითაც გიყვარ-
და მშობელი ერი, ეს იქნებოდა ხატება
იმ ხსოვნისა, რომელიც სამუდამოდ წაუ-
შლელია შენი ამხანაგების გულში!

შენ აღმართე ახალი დროშა, რომელიც
გამოსახავდა სრულად ჩვენი სამშობლოს
მომავალს ცხოვრებას; შეაერთე, შეადუ-
ღე ერთ არსებად ორი უდიდესი ცნება,
რომ ინტერესები მშრომელი ხალხისა გა-
ნურდევვლად გადაბმულია მის ეროვნულ
განახლებასთან. ეს იყო უმაღლესი სამარ-
თლიანობა, ეს იყო საგანი შენის ცხოვ-
რებისა, ამას ეთაყვანებოდი, ამას შეეწი-
რე მსხვერპლად, ამას შეალიე მთელი არ-
სება სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ამი-
სთვის, და მხოლოდ ამისთვის, სცემდა
შენი გული, და ხშირად ავადმყოფს, უძ-
ლურს, ლოჯინში მწოლარეს, შენის რწ-
მენის სიდიადე და იმედი მისი განხორ-

ციელებისა ახლო მომავალში—გამთელე-
ბდა და გიგრძელებდა დღეებს.

შენის მდიდარი გულის სიღრმეში არ
მოიპოვებოდა ერთი კუნჭული, რომელიც
არ დამონებოდა ამ დროშას; შენმა მა-
ღალმა სულმა არ იცოდა სხვა ოც-
ნება, ფიქრი და ლტოლვა—მარტო-
ოდენ ამ დროშას შესცქეროდა, მის სიმ-
შვენიერეს შეზხაროდა, მის სიმძლავრეს
განავრცელებდა. არავითარს მუქარას, შე-
ბრძოლებას, აზრთა ღელვას არ შეუდრე-
კია შენი იმედი, რომელიც სარწმუნოებ-
რივს სასოებას მიაფენდა შენს ამხანაგებს.
ყველაფერს უარჰყოფდი, მაგრამ არა იმას,
რომ გამარჯვების გზა შენი გაკვლეული
გზაა!

ამ უდიდეს აზრს და შეურყეველს რწ-
მენას შეუერთე იშვიათი სინაზე სულისა,
სიწრფელე გულისა, კეთილშობილობა
გრძნობათა და ყოველი შენი სიტყვა მკა-
ცი და მოურიდებელი მსჯელობით, ამა-
ვე დროს აღსავე იყო პატივისცემით, სი-
კეთით და სათნოებით და უკიდურესი,
შეურიგებელი შენი მტერიც კი ნდობით
და ყურადღებით ეპყრობოდა შენს აზ-
რებს...

ვისთვის არ იყავი პატივსაცემი? ვისთ-
ვის არ იყავი ძვირფასი? ვის შეუძლიან
დაგივიწყოს, არ მოგიგონოს მწუხარედ?
ჩვენ—შენი მახლობლები, შენი ამხანაგე-
ბი, მეგობრები განა შევიძლებთ ერთს
წუთს არის მაინც ამოვშალოთ ჩვენი გუ-
ლიდან შენი წმინდა სახე, მოვიგონოთ
ჩვენი დღენი და შენ იქ არ ბრწყინავდე
შარავანდელით მოსილი? განა მშრომელი
ერი, დღეს უბადრუკი და ჩაწინხული,
როდისმე დაგივიწყებს თავის სამაგალითო
შვილს და მუდამ მშვენიერის გვირგვინით
არ შეიმკობს შენს ხსოვნას? განა ხშირად

ქართული სახლი

და სიყვარულით არ მოგინახულებს საუკუნო განსასვენებელს ადგილს ის მშრომელი ხალხი, რომლისთვისაც ისე მხნედ და შედგრად იღვწოდის?..

ტკბილად განისვენე, ძვირფასო არჩილ; ნაზად მიგიკრას გულში მაჭულის მიწამ ერთგულ მეგობრების—ძმების გვერდით. ჩემი სული მწარედ მგლო-

ვარე ეამბორება შენს მარად სახსოვარს სახეს და ცრემლებით გეთხოვება. მშვიდობით!.. გაცივებულს სხეულს მუდამ გითბობდეს იმის იმედი, რომ განახლებული სამშობლო როდისმე ხმამაღლა ჩამოგძახებს საფლავში, რომ ოცნება შენი განხორციელდა!.. („სახ. გაზ.“)

სამ. ფირცხალავა.



ყარბოზაში

ღიღბანს ვიტანჯე, ვივადე მარტოობითა,
გადმოვაფრქვიე მცხრალ თვალთაგან ცრემლი დამწველი;
ვეხეტებოდი უგზო-უკვლოდ ბედის გამობითა,
დიღბანს დაეძრწოდი ველს გაჭრილი, სოფლის მზრახველი.

დიღბანს ვიშმაგე, ვივალაღე, მაგრამ ქურუმი,
სევდის ქურუმი ვერ მოვიძერ შემოხვეული,
ვერ, ვერ დავთრგუნე ჩემი ცნობის ავი ქურუმი
ვერ მიმოვფანტე ეჭვთ ლაშქარი შემოსეული.


მთიებს შეესთხოვდი: გამიბრწყინეთ კაშკაშით გული.
ფრთოსნებს—მასმინეთ თქვენი ტკბილი მუსიკალობა;
ნაკადს—მომამადლე სიმაღლხაზე და სიხარული
ზეფიერს—მომამაგე წლთით მაინც შვებით მთვრალობა.

ვევედრებოდი დიღბანს, დიღბანს, მაგრამ ბედ მქისარს
არ შემისმინეს, არ განმიღეს კარი ღმობისა,
გული საკმევლოდ დაუკმიე ცხოვრების ცისკარს
მან კი მუქაფად მომზლო ღამე ყარბობისა.

დ. თურდოსპირელი.



ნაუ... ნაუ... ნაუ!..



მწუხრია. თუმცა გაზაფხულის პირია, მაინც მაყრუოლებს. ჩრდილოეთის მზემ ძალუმად ვერ გაჰგმირა ზამთრის სუსხი, ვერ გაისტუმრა არ ყოფნის მხარეს. ყვავები ჰყრაშ-ჰყრაშებენ... უხარიანთ ყიამით ზამთრის მიწურვა. მცხოვრებნიც სიხარულით ადევნებენ თვალს მათს ნავარდსა.

ჰხამს აქ მერცხალთა ნაცვლად გაზაფხულის მახარობელნი ყვავები ყოფილან. სარკმელთანა ვზივარ და გავჰყურებ მწირ ბალსა. ხეები თუმცა გაძრცვნილნი არიან, კენწეროებს მაინც სასიამოვნოდ არხევენ. შეჰფრფინვიან ყორნებს... ჰგრძნობენ, რომ მალე შეიმოსებიან ზურმუხტის ქათიბითა. მიწასთან გასწორებული ვარდის ბუჩქიც კი ბელურა ჩიტებს ეკითხება: ხომ მალე დადგება გაზაფხულიო.

ჟიჟ-ჟიჟ-ჟიჟ! — თანხმობის ნიშნად ჰიკ-ჰიკებენ მალხაზები და უამამობენ, თუ გუშინ დილას ერთ ბექობზე, რომელზედაც გადამდნარიყო თოვლი — როგორ შეჰნიშნეს ენძელა... ვიშ, ვიშ, რა კარგია! მისუსტებული ხმით ამბობს ბუჩქი.

გენაცვალეთ, გენაცვალეთ გაზაფხულო! მალე მოგვიფრინდი, მალე გვაკისკასე ეთერის ტალღებში — ნეტარებით ჰგალობენ ჩიტუნიები.

— ნაუ... ნაუ... ნაუ!..

— ოხ, რა რიგად შევკრთი! რა ბასრ მახვილად განმეწონა მისი ხმიანობა.

— ნაუ... ნაუ... ნაუ!.. სევდიანი ხმით აჰყენენ სხვა ზარებიც. დიდ მარხვას... მორწმუნეთ მოუწოდებენ სალოცავად.

ღმერთო ჩემო, რა გულის გამგმირავია ეს მონოტონური რეკა... საშინლად ათრ-

თოლებს იგი ჩემი სხეულის ყოველ სახსარს.

რაოდენი ჰმუნვა, რაოდენი ვალალი გაისმის მისს რეკაში...

რა გამოუტირებელ ამბავს მომიბთხრობს იგი.

რა მსახვრულად მიქოთებს ისედაც დღევილ გულს.

მაგრამ სხვა რომ სასოებით ისმენს მას... მისს მწუხარე რეკაში მათ მოესმით ჰანგი, რომელიც იმედს აძლევს, რომ იგი მალე შეიცვლება მხიარულ წკრიალადა.

ეს რეკა ასასოებს, რომ იგივე ზარები ძალიან მალე ქვეყანას ახარებენ ბრწყინვალე აღდგომას — ამ სიმბოლოს სამარადისო გაზაფხულისას.

აი, რად შეჰხარიათ დიდ მარხვის ზარებს... აი რად აძლევს ბანს ბუნება მისს კაეშნიან მელოდიებს.

აი რად ჰსასოებენ მის რეკით ბედნიერებთან ერთად ტვირთ მძიმენიც. მე კი ვერ ვისმენ ვერავითარ სანუგეშო ნოტას მის ხმიანობაში... მე ვერ აღმიძრავს იმედს ბრწყინვალე გაზაფხულისას...

ყველა მოუთმენლად შეჰხარის ბუნების მკვდრეთით აღდგომას... ლოცვას წარუვლენს სასოებითა. მას არა ერთხელ უნახავს გაზაფხული... ჩიტუნიები არა ერთხელ ზიარებულან განთიადის აღმასის სხივებით... არა ერთხელ ჩაჰხუტებიან მთის ზეფირს... არა ერთხელ დამთვრალან ყვავილთა მუშკ-ამბარითა.

მე კი არ ვიცი რა არის გაზაფხული... არ გამიცდია ნეტარება...

არ უმღერია ჩემს სულს აროდეს...

ნაუ... ნაუ... ნაუ!..

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ... ძილში
თუ ცხადლივ, სწორედ არ მახსოვს, ვი-
ხილე თვალები... იმ თვალებში ჰყვოდა
ოცნების მდელი... იმ თვალებში გრძნე-
ბით სთვლემდა ტბა ტრფიალების.

ერთხელ ვიხილე ცა ოცნებისა... მისს
კამარაში ნავარდობდნენ ჩემი ცხოვრების
დღეთა ჩიტუნიები...

არ ვიცი, ერთი წამის, თუ საუკუნის
შემდეგ აღმესპო მზერა ოცნების ცისა...
არ ვიცი წამის თუ საუკუნის შემდეგ დავ-
კარგე სათის*) თვალნი... ჩემი სიხარუ-
ლის სირნი მოემწყვდნენ იმა თვალებში...
ჩემი ცხოვრება წარიტანეს საიდუმლო
თვალებმა...

შეება მომკვეთა ოცნების მდელი
უხილავად ქმნამ...

ნუ თუ იმ თვალებში კეკლუცობდა გა-
ზაფხული?

ნუ თუ მუნითგან უნდა ამოლაჟღაჟე-
ბულიყო ბედნიერების გარიჟრაჟი.

— ნაუ... ნაუ!.. ჰრეკენ ზარები...
მართლ-მორწმუნენი სასოებით ისახვენ
პირ-ჯვარს. ყვავები ჰყრაშყრაშებენ საგა-
თენებოს...

ხის კენწერონი ცის ურდოსკენ—მთიე-
ბისკენ—ჰგზავნიან ლოცვას. ზარების მის-

ტიურ ხმიანობასთან ერთად თავიანთ ლა-
დადსაც წარმართვენ მზისკენ გაზაფხულის
მედროშისაკენ...

შიეძლება ხვალ, ჯანლ-ნისლის ნაცვ-
ლად კაშკაშა დილამ გამოაღვიძოს დედა-
ბუნება... შიეძლება ხვალ მზის გიჟმაჟ
სხივმა გადაშალოს პირველი კვირტი ბუჩ-
ქნარისა...

შიეძლება ხვალ ყოველი არსი ააოცნე-
ბოს გაზაფხულის სიმფონიამა: მე კი ვიქ-
ნები კვალინდებურად მქნუნვარ-მგლო-
ვარე.

არ მომესმება განთიადის ტკბილი სი-
ცილი...

არვინ მომიტანს ამბავს დაკარგულ
თვალებისასა.

ვიქნები მარტო... სულის დემონი კვლავ
ჩამომირეკს კაეშნის ზარებს... ტიალ
ცხოვრების ოროველა კვლავ შემაზა-
რებს...

ველარა ვბოვებ დაკარგულსა ოცნების
თვალებს...

ვერ მოუფონებ ობოლ გულსა სევდა
ნაკრძალებს...

ბედი მხვდა მწარე.

ცრემლი მდის ცხარე.

ვაი ჩემი ბრალი, ვერ ვჰპოვე ღმობა!

— ნაუ... ნაუ... ნაუ!..

დ. თურდოსპირელი

ქ. კიევი.

*) სათი—გიშერი.





გამარჯვების გვირგვინი

I

სერობა.

მზემ სხივები სტყორცნა მწვერვალს,
 მწვერვალს, თოვლით გადაფენილს;
 ჩაეხუტა ზღვის ცელქ ტალღებს,
 ტალღებს, სხივთა ტრფობით ტყვევნილს!
 მწუხრის ბინდი ველს დააკვდა,
 ველს, წალკოტად გადაქცეულს,
 ფრთა შემოკრა კრიალა ნამს,
 ნამს, წვეთ-წვეთად ციდან ფრქვეულს!

იადონმა ვარდს შეჰყეფა,
 შეჰყეფა და გაეცალა;
 ღამის ნისლი მთას დაეცა,
 დაეცა და გაიშალა!
 ამოგორდა პირ-მცინარე,
 მცინარე და ბადრი მთვარე
 გაახარა კვლავ ჩაგრულთა,
 ჩაგრულთა და მაშვრალთ მხარე!

მოძღვრის ლოცვას, ცად წარვლენილს,
 ცად წარვლენილს სათნოებით,
 მიეგებნენ ცაში მყოფნი,
 ცაში მყოფნი სასოებით!
 შეიწირა ნამდვილ მსხვერპლად,
 ნამდვილ მსხვერპლად ლოცვა წმინდა,—
 დიდი მოძღვრის დიდი საქმე,
 დიდი საქმე დაგვირგვინდა!

ორკოფობის სქელი რიდე
 დაიწეწა, დაიფხრიწა...
 საიდუმლოს დაფარულსა
 არ ატარებს თან აწ მიწა!
 ღვარძლით სავსე გულის ნდომა
 ვერ დაჰვარა თვითიულამ.—

ვინც ლალატს და ქვეყურ გრძნობას
 ატარებდა გულში მუდამ...

...და გავიდა საიდუმლო სერობიდან ვერ-
 ცხლის მონა:
 ყოველივე ანგარებას დაუთმო და დაუმონა!

II

იუდას ამბორი

გეთსამანიის თვალ-წარმტაც ბაღნარს
 მთის ცელქი წყარო შეეფებით რწყავდა;
 ვერხვის ფოთლებში ჩადვრილი ნამი
 მთვარის ღიმილზე თრთოდა, ბრწყინავდა!

დიდებულ მოძღვრის ღვთიური სახე
 ამბორის ყოფამ დააქმუნვარა,—
 ვერცხლით ნავაჭრმა იუდას კოცნამ
 სულის სიმშვიდე ძე-კაცს მოჰპარა.

შეურაცყოფა, ყვრიმალში ცემა,—
 ეს უმეცარი ბრბოს განჩინება,
 სიმართლისათვის, სიმართლის მცველმა,
 დიდ—სულოვნობით თვითვე ინება!

III

ჯვარცმა

გოლგოთის მთისა მაღალ მწვერვალზე
 აზიდვინეს კირთებით ჯვარი
 და იმავ ჯვარზე გააკრეს იგი:
 ქვეყნის მეუფე და მაცხოვარი!

წმინდა წყლის ნაცვლად დააღვეინეს
 იესოს ნაღველ ნარევი ძმარი,
 ნათელს პირის-პირ ველარ წაუღვნენ
 და მალვით გვერდში ჩასცეს ღაზვარი!

ჯვარცმა, ლახვარი, ყვრიმალში ცემა,—
ეს უმეცარი ბრბოს განჩინება,
სიმართლისათვის, სიმართლის მცველმა,
დიდ-სულოვნობით თვითვე ინება!

IV

აღდგომა.

ვარსკვლავს ცაზე მოკიაფეს,
მოკიაფეს ცაზე ვარსკვლავს,
ვინ მისწვდება, ხელს ვინ ახლებს,
ვინ ჩააქრობს, ან ვინ ჩაჰკლავს!?
ბნელს ნათელი მუდამ გაჰპენტს,
გაჰპენტს მუდამ ნათელი ბნელს,

სათნოება ცოდვის გოდორნ
ზიზლით ისვრის უკუნ-ქვესკნელს!

განთიადის შუქი შეჰკრთა,
შეჰკრთა შუქი განთიადის,
ააგორა ჯანყ-ბურუსი
სიბნელისა და წყვილადის!
აღსდგა ქრისტე მხსნელი მაშვრალთ,
მაშვრალთ მხსნელი ქრისტე აღსდგა
და გვირგვინი გამარჯვების
თავს დაგვადგა, თავს დაგვადგა!

ლადო გეგეჭკარი

იგი ხომ ოცნებაა!..

(საადღგომო)

ღილაა... ცის ლაყვარდი წითლად
იღებება... ღამის ბინდი ხევებ ხუვებში
იკარგება... სიო დაჰქრის მწვანედ აღაღა-
ნებულს ჯეჯილს და მხიარულად გაიძახის:
—**ქრისტე აღსდგა!**.. დილის მგოსანი—
ბუღბუღი საოცნებო ჰიმნებსა ჰქმნის ოც-
ნების ქნარზედ... ტბის ჰეველი ტრია-
ლებს... ნაპირზედ მდგომს ყვაფილებს ეა-
ლერსება, რაღაცას ეუბნევა, მაგრამ რას
ამბობს, იგი ყველასთვის გამოურკვევე-
ლია... ნაკადული მდელიოზე მოკისკასობს
და ყვაფილებს ულოცავს „**ქრისტე აღდ-
გა!**“-ს. მწვანედ შემოსილნი მუდმივ თო-
ვლისაგან განთავისუფლებულნი, ჯავშნი-
ანნი ბუმბერაზნი მთებიც—მხიარულად

იყურებიან.—ისინიც ჰგრძობენ **ქრისტეს**
აღდგომას!.. ბუჩქის ძირას, თავ-ჩაღუნუ-
ლი ფირუზის ფერი ია მკრთალად გა-
მოიყურება, თითქოს იძახის: „**გაიხარეთ,**
აღსდგა ქრისტე!“! აქამდე მკვნესარს ბუ-
ნებას, დღეს სასიხარულო ზემი გაუმარ-
თავს, ყველგან სასიამოვნო ხმები ისმის:
ქრისტე აღსდგა!..—ქეშმარიტად!


ქრისტე აღსდგა!.. მაგრამ ყველას ხომ
ერთნაირად არ უხარიათ?.. იგი ხომ მრავალთათვის მხოლოდ ოცნებაა...

მხოლოდ ოცნება...

—ღიახ ოცნება!..

ბ. ლეონიძე

მდინარის ჰიროათ!



ლ ალად მოღელავს მდინარე... შეჰბლავის არე-მარესა, ხან მღერის სამხიარულოს, ხან კი ჰიმნს კენესის მწარესა, ლამის ღუმლილში შეფრქვევით შეაქებს ვარსკვლავ-მთვარესა და სიზმარივით აგონებს წარსულ ღღეთ მშობელ მხარესა!

ლაშა... მყუდროებაა. სიჩუმე მეფობს, მკვდართ ძილი; საღდაც შორს ხევში მოისმის მთის წყაროს გამოძახილი, — მაღალ მთათ .სძინავთ ღრმა ძილით, გარს ახვევიათ ღუმლილი; სოფელს აღმოხდა მკერდიდან ვაი და გულის წუხილი!

რას მეუბნები იღუმლათ, რაღას ბუტბუტებ მდინარევე?! და შენც რას კენესი, სოფელო, შეწუხებულო, მძინარევე?! ჩემს სევდის მიზეზს რას მკითხავ, ტალღავ, ცრემლ ჩამომდინარეს?! შეჰკითხე ტურფა მთვარესა, ლაქვარდზედ სხივ-მომდინარეს!

ის მოწამეა იმისი, თუ როგორ ჩაჰქრა ვარსკვლავი ჩემის სამშობლოს ბედისა—შუქმფენი, გულის საკლავი! შენ კი მიახვე ზღაპარი, მოწამევე, ქვეყნის ტანჯვისა! მითხარი, გამაგებინე—ვაგლახ სიმუხთლე ჟამისა!

არარაობა ცხოვრების, მისი უკულმა ტრიალი, რა ვნახე ოცნების მთაზედ შავ დროშამ იწყო ფრიალი; ადრევე ჩაკვდა ჩემ გულში მცდარი საწუთროს ტრფიალი, უფსკრულის ქარის მოისმა გულის მომკვლეელი ღრიალი!

ჰეი, მდინარევე, აღელდი, ღრიალით განვლე ხეობა; მრისხანე ზღვასაც უამბე გმირ ამირანის ტყვეობა! შეუხანხევი სამშობლოს შენ საიდუმლო გულისა, და ვით ზღაპარი უამბე ამბავი გარდასულისა!..

აკ. სვანი.

ფიქრი გაზაფხულზე

(თარგმანი)

კვლავ მოგვიახლოვდა გაზაფხული, ტურფა ლამაზი. მკრთალი, ნაზი ცა აღერსით გადმოსცქერის არე-მარეს, ირგვლივ გაზაფხულის სუნი ტრიალებს, ნორჩი, ზურმუხტოვანი ბალახი საამურად ბიბინებს, ბუნებას მეჯლისი გაუმართავს. ყველგან სიცოცხლე, სიხარული, მზე, მზის ოქროს

ფერი სხივები... ამ წუთი-სოფლისა თუ არა შეგვრჩება რა, იმიტომ მაინცა ღირს სიცოცხლე, რომ ამ მომხიბლავ, ნეტარებით სავსე გაზაფხულის მზის სხივებს დავეწაფოთ, დავეკონოთ. მე ვგონებ, რაც დრო გადის, იმდენად უფრო ნაკლებად ვგრძნობ გაზაფხულის სიმშვენეირეს. წი-

ნად თითქოს უფრო ღრმად სწვდებოდა ჩემს გულს ის გამოურკვეველი ტკბილი გრძობა, რომელსაც ჩემში გაზაფხული იწვევდა; ეხლა კი აღარაფერი ხვდება ჩემს გულს, აღარაფერი ჰხიბლავს ჩემს სულს. თითქოს ჩემსა და ქვეყნიერების შუა ჰაეროვანი ლეჩაქი ჩამოეშვა, რომელიც წლითი-წლობით უფრო სქელდება, შავდება... ქვეყნიერება მშორდება, ის სადღაც შორს მისცურავს ჩემგან, მარტო ვრჩები. მე სწორედ იმ მგზავრს ვგვევარ, რომელიც თავიდან — ფეხებამდის წამოსასხამში გახვეულა და გაზაფხულის შხაპუნა წვიმას გაურბის; გაურბის მის გამაცოცხლებელ, ათას ფერად მოელვარე წინწკლებს. ის ვეღარა ჰხედავს მოკრიალებულ ცის ლურჯ კამარას, — მზეს, რომელიც თავისი ნახი ღიმილით კვლავ სალამს, უგზავნის ბუნებას.

როდესაც მოგხუცდები და კუნაპეტივით

შავს თმას გულ-საკლავი. ქალარა შესცვლის, როდესაც ცხოვრება გამომაცლის ყოველსავე ძალას, მაშინ განზე გავსდგები და ცხოვრების აბობოქრებულს ტალღებს მშვიდად, დინჯად დაფუწყებ ცქერას. ნორჩ, კეკლუც არყის ფოთოლს წყნარი ნიავიც კი ათრთოლებს, მხოლოდ დაბერებულ, გამხმარ მუხას კი ვეღარაფერი აშფოთებს. თვით ქარიშხალიც ვეღარას აკლებს.

მე ფიქრობ ამ ბიჭუნაზე, რომლის უმანკო თვალებში გასაოცარი სინამდვილით იხატებოდა მთელი ქვეყნიერება, რომელიც შესტროფდა, შეჭხაროდა მთელს სამყაროს, ყოველივე გაჰქრა... მისი თვალები ეხლა გულგრილად შეჰყურებენ ცხოვრების ავკარგს. კაემანი გულს მიბურავს, როდესაც ვხედავ, რომ გაზაფხული სულს ვეღარ მითბობს.

ვგონებ, ცხოვრებაა ამაში დამნაშავე.

ნ. ბ — ძე.

ფიქრი მდინარის

I

ღამის მანტიამ დაფარა მდელო, დაბნელდა არე, სიხარულისა, შორით მდინარემ ამოიგმინა, ნიავეს გადასცა ფიქრი გულისა, თითქო შესჯავრდა... დაფიქრებულათ მოსწყდა ნიავი შავ-კლდეს დასუდრულს, გაფრინდა მალი და ჰიმნი შეთხზა, მდინარის ნაფიქრს უგალობს ჩაგრულს!.. „მარად გახსოვდე, მიცან ტანჯულო!“ — ჰიმნმა სთქვა ღამით მდინარის ხმები — მაშვალს ძილშიაც გულით აღმოხდა, „ვერ დაგივიწყებ, შენთან ვიქნები!..“

ნიავეს დილისას

II

სალამი შენდა, დილის ნიავე, დილის მერცხალო, სალამი ტკბილი, ტკბილი სალამი მშრომელ მკერდისა, ცხოვრების ველით წარმოგზავნილი!.. ფიქრებს მოგანდობ ობოლ მხარისას, რწმენის ბალიდან გამომძახილსა, ნუ დალონდები, გაფრინდი ჩიტო, ფრთებს ნუ შეაკვეც გულის წადილსა!.. მინდა მარადის შიკრიკი იყო, შორი სივრცეში მიმოფრინავი, მეგობრის ამბებს მატყობინებდე, ოკეანეზე მალი მქროლავი!..

გელა.



დღეს ვიცინი

(ოცნების ცეკვა)

ღღეს სულ ვიცინი, რაც უნდ შემემ-
თხვეს, გინდ ავი, გინდ კარგი; მაინც ვი-
ცინი და თქვენც გირჩევთ იცინოთ, ვი-
ნაიდგან ბუნებაში ისეთი არაფერი ხდე-
ბა, თუ სატირელი, იქნება იმავე დროს
საცინელიც არ იყოს. წარმოიდგინეთ, იმა-
ზედაც კი მეცინება, რომ გირჩევთ — თქ-
ვენც იცინეთო. რა უფლება მაქვს თქვენ
მოგაწონოთ ის, რაც მე მომწონს, — ჩემის
თვალსაზრისით გაცქერინოთ მსოფლიოს-
თვის? არავითარი. ეს მხოლოდ ჩემი პი-
რადი ახირებაა, ჩემი გემოვნება, ჩემი
ჩვეულება აზროვნებისა, რომელიც მინდა
სხვასაც მოვახვიო თავზე. მოდი და ნუ
გაიცინებ. ვიხედები უკან, გავცქერი ჩემ
გამოვლილს გზას, ეს ხომ თავით ბოლომდე
ახირება იყო, ჯახირობა; კბილით კლდის
მტვრევა, შიშველი ხელებით ნარის გლე-
ჯა, მშიერა მუცლით მდერა — თამაში.
დღეს თუმც მეცინება, მაგრამ ამ ახირე-
ბას ვერ ვიშლი, ისევ ისე ვჯახირობ და
ვეუბნები თავისთავს: ჰა, არ შესდრკე,
გასწი წინ, გაიწიე ჩემო თავო!..

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რაც უნდა
ძვირფასი არსება დავკარგო, წამართოს
იგი სიკვდილმა, მაინც არ ვიტირებ. სიკვ-
დილი დღეს, აი სწორედ ამ ჟამად, რო-
ცა ამ სტრიქონებსა ვწერ საცინელი მგო-
ნია და არა სატირელი... ვფიქრობ, ვუკ-
ვირდები და იმიტომ არ ვემორჩილები
მარტო გრძნობას, იგი მაცდურია, მატ-
ყუარა; ამიტომ მკვდარი მე უფრო საცინე-
ლი მგონია, ვიდრე სატირელი. იცით რა-
ტომ? იმიტომ, რომ დიდი საზღვარი დაიდო
ერთი და იმავე პიროვნების მდგომარეო-

ბათა შორის. შეადარეთ სიცოცხლე და
სიკვდილი, მათ შუა დიდი კონტრასტია.
არის კი მართლა კონტრასტი? ესეც სა-
ეჭვოა... ჩვენ გვგონია მხოლოდ ასე.
სიკვდილი ხომ არავის არ გამოუცდია,
როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა სთქვა,
რომ იმაზე სწორი მსჯელობა ვიქონიოთ.
ეს თავისთვის იყოს.


მკვდარი ადამიანი რად არის უფრო
საცინელი, ვიდრე სატირელი? იმიტომ,
დიდ ჩირთიფურთებში იყო სიცოცხლის
დროს, ათასნაირ გეგმას ადგენდა და ყო-
ველივე ეს ერთბაშად გაქვავებით შეიცვა-
ლა, ჩვენ ასე გვეჩვენება, როგორც უნდა
იყოს...

არ ვამტყუვნებ ბავშვებს, რომელნიც
მოხუცებულებს დასცინიან, ჩიფჩიფსა და
სიარულში აჯავრებენ. სიბერე სიკვდილის
ცალი გვერდია... ესევე ბავშვები მკვდარ-
ზედაც გაიცინებდნენ, დიდებისაგან რომ
არა ჰქონდეთ თავში ჩაქდებული წინააღმ-
დეგი წარმოდგენა, დიად, დღეს სიკვდი-
ლიც კი სასაცილოდ მიმაჩნია, ხვალ რა
იქნება ეს ღმერთმა უწყის, ხვალ შეიძლე-
ბა გუნება და შეხედულება შემეცვალოს.

ხოლო დღეს ასე ვფიქრობ: რაც სატი-
რელია, ის უფრო საცინელია, ვიდრე სა-
ტირელი. მოიტად, გავშალოთ სიცოც-
ხლის, ადამიანთა ცხოვრების ბოღჩა; გა-
ვალთ კილობანი, სკივრი, ყუთი, ამოვა-
ლაგოთ მთელი იმისი ავლა-დიდება, მისი
საუნჯე დღიდან დაბადებისა სიკვდილამდე
კი არა, იმას იქითაც; აი ეს აკვანო, ესეც
იავნანა, სიყვარული — ტრფობა, მეგობ-

რობა, ქორწინება, კუბო, სამარე და ზედ ძეგლი. ხა, ხა, ხა, ხა!..

ყველა ეს ნივთი ადამიანის ცხოვრებისა არ არის დაუსაბამო და სწორედ იმიტომ არის საცინელი. უცებ ფერს იცვლის. წარმოიდგინეთ ნაპოლეონი თავის სახელოვან მხედრობის წინაშე სამკუთხა ქულის მაგივრად წოპწოპა კარდონის ჩაფხუტით. ნუ თუ ამ დიდებულ ადამიანზე საცინელი იქნებოდა-ლა ვინმე? ზოგი ადამიანი-კი ამას და ამის მსგავსს მოვლენას სატირულ მოვლენად ჩასთვლის, — შემაწუხებელ-შემამძრწუნებლად, თუმც აქ სიცილის მეტს სხვა გრძობას ადგილი არა აქვს.



რა არიან ეს დავრდომილნი ადამიანთა ცხოვრებაში. მშიერ-ტიტველნი, უძლურნი, ცხოვრებისაგან გარიყულნი, გლახაკნი, ბედისაგან შეურაცხყოფილნი?!. საცინელნი არიან და სხვა არაფერი. მე გიჟს დაუძახებ იმას, ვინც იმათ იტირებს; მე იმათ შემწეობას აღმოუჩენ თუ შემემძლებ, ხოლო იცოდეთ ჩემს ბავებს სიცილის სხივები არ მოჰშორდება. ეს და ამგვარი მოვლენა ბუნებაში მხოლოდ საცინელია და სხვა არაფერი. **ბუნება რომ მუდამ წამს თავის თავს დასცინის, ჩვენ რაღა ვართ, რომ არ გავიცინოთ მის წინა-უკმო მოქმედებაზე?**

ბუნება ბავშვსა ჰვავს, რომელიც დიდის წვალეობით ხუხულას აგებს, ანუ კოშკს. შემდეგ რაღაც ფიქრი მოუვა, ჰკრავს წიხლს თავის აშენებულს ციხეს, დაჰფუშავს და თან სიცილს დააყრის, დააყოლებს ხარხარს, კიჟინს. დასცინის თავის მოქმედებას; ნამოქმედარს, ნაშრომს მასხარად იგდებს.

რა ცოდვა-ჭირით შობილს, რა საცო-

დაობით თუ სათუთობით აღზდილს ადამიანს, ჯან-ღონით, გრძობა-გონებით სასესეს, ლამაზს ჰკლავს უცებ და ცივ სამარეში აწვევს, მიწას — მტვრად აქცევს. რა არის ეს, თუ არ ბუნების დაცინვა თავის თავზე?!

კიდევ სხვა მაგალითი ბუნების დამახასიათებელი. გაგიგონიათ ხომ ადამიანი ვინმე, მაღლა მთიდან რომ დაბლა ქვას აგორებდა, ლაღობდა, იცინოდა, როცა გაგორებულს ქვას უცქეროდა და ამ დროს იმას როდი ფიქრობდა, რომ დაბლიდან ისევ მაღლა ამოტანა დასჭირდებოდა? მაინც ამოჰქონდა რის ვანიანრობით მაღლა მთის მწვერვალზე, რათა ეხლა კიდევ ხელ-ახლა დაგორებულყო ქვა და ამ სურათით დამტკბარიყო. ასე ცოდვილობდა მთელი თავის სიცოცხლე. ასეთივეა ბუნება.

მე რომ დღეს ბალკანეთში ათასობით დახოცილთა გვამებს ვნახავდე, წარმოიდგინეთ, სიცილით მივესალმებოდი, თუმცა იმათ აღაგას რო ვიყო, მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც ყოველი ბოლგარელი, სერბი, ბერძენი, შავ-მთიელი ან თუ ოს-მალო. ხოლო თუ დაქრილს ვნახავდი, წყლულს შეუხვევდი, წყალს მომთხოვდა — გასმევედი და, როცა დავალეინებდი ე. ი. ის სმას დაუწყებდა, სმის დროს დაკოდილს კი მე ცქერას დაუწყებდი, — ჩემს სახეს ღიმილი მაინც არ მოჰშორდებოდა. ასე გადასწყვიტა ჩემმა ოცნებამ, ჩემმა გონებამ. არ შემიძლიან სხვა რიგად შევხედო ამისთანა მოვლენებს — ომში დახოცილებს, კაცს კაცისაგან მოკლულს, — თავის თავად მკვდარს.

რამდენს ვიცინი იმაზე, ვინც დადის და დაკარგულს სატრფოს დაეძებს და თან მოსთქვამს: „ახ, სადა ხარ, ჩემო სიცოც-



ხლევ, ჩემო ნუგეშო, ჩემო წუთისოფელო, რად დამტოვე? სად დამეკარგე? ვისზე გამცვალეო?!“ ხოლო მე მივირს ტარიელს რად ატირებს შოთა ნესტან დარეჯანისათვის?! ალბათ იმიტომ, რომ ნესტანი თავის ნებით კი არ გაექცა ტარიელს, არამედ ქართა წყალობით, ნესტანს არაფერი ბრალი არ ედება, მისი ნება არაფერ შუაშია, ვინაიდან მას განაგებენ ქაჯნი,—იგი ნება შებოროკლია, თვით ნესტანიც ცხრაკლიტულშია დამწყვდეული.

მე, ნუ გაგიკვირდებათ, ასე ვფიქრობ, რომ ტარიელს შეეძლო სულ ღიღინით ევლო და ეძებნა თვისი სატრფო. ამიტომ მე დღეს დავცინი იმის ცრემლებს. სასაცილოდ მიმაჩნია მისი ხეტიალი, ათასნაირი საშიშროების განცდა ისე, როგორც ლამანჩელი აზნაურისა (დონკიხოტი).

ხოლო ხვალ რას ვიფიქრებ—ეს ღმერთმა უწყის.

ვაჟა-ფშაველა.

ქურაში

(კნუტ გამსუხის)

მე ბოლთასა ვცემდი ჩემს ოთახში, ვფიქრობდი პატარა მეგაზეთებზე და ამ ფიქრებისაგან თავი ვერ დამეხწია; თუმცა მე არავითარი საქმე არა მაქვს იმასთან; არც ისე ცუდათ მოვქცევივარ მას და არც მას აქვს მგონი რამე ჩემს წინააღმდეგ. მე კი ტყვილად ვინეტიალე მთელი ორი საათი; ვერ ვნახე—რომ იმის წინაშე ჩემი დანაშაული გამესწორებინა.

საქმე ასე იყო: მივდიოდი კარლოსის ქუჩაზე. ბნელოდა და ციოდა, უფრო ბნელოდა. საღამოს შვიდი საათი იყო. მივდივარ და წინ ვიქტირები. გიუნტერის საკანდიტეროსთან, მოსახვევში სდგას ის გაზეთებით ხელში და გაჰკივის—„ვიკინგი“. ის ამბობს მხოლოდ ამ სიტყვებს: იყიდეთ „ვიკინგი“! ყურადღება არ მიმიქცევია; როცა დავმორდი, მივიხედე და გავიფიქრე: შეგეძლო მიგეცა იმისთვის ერთი შაური, ამით შენ არ გაღარობდებოდი. და მე წავიდე ხელი ჯიბისაკენ. მახსოვს—პირველი ჩემი წადილი იყო მი-

მეცა ბავშვისათვის ფული, მაგრამ ჩავიყავ თუ არა ხელი ჯიბეში, მაშინვე იღუმაღმა ხმაჰ ჩამომძახა: არასოდეს ადამიანს სამოწყალო არ უნდა მისცე; არა თუ ერთი შაური; ერთი თუმანიც ვერ გაუწევს საგრძნობელ დახმარებას—ეს მხოლოდ ავნებს, რყვნის. მე ჩემს გზას გავუდექი, პატარა მეგაზეთე გადამაღიწყდა კიდევ. მივედი უნივერსიტეტამდე და უკანვე გამოვბრუნდი. კამმერმეიერის წიგნის მაღაზიასთან შევჩერდი, მივტრიალდი ზურგით ქუჩისაკენ და ფანჯარაში წიგნებს ვათვალიერებ; უცბათ მეგაზეთეს ხმა მომესმა. ის ჩემს ზურგს უკან იდგა.

მეგაზეთე და ორი მთვრალი მატროსი ერთმანეთს ედავებოდნენ „ვიკინგის“ გამო, რომელიც მატროსებს დაეხიათ და ფასს არ აძლევდნენ. მე ჩავერიე აყალმაყალში—გავიგე რაშია ციო საქმე. მკვახეთ მივმართე მატროსებს და ვუთხარი, რომ ისინი ვალდებული არიან გაზეთის ფასი გადაიხადონ. ყურადღებაც არ მომა-

ქციეს—სიცილი დამაყარეს:— „ერთი ამ ბატონს დახედო!“ ავენთე. ტუჩები ჩავიკვნიტე. საღდაც ერთხელ ყელსახვევის ქინძის თავი მაჩუქეს; ამ ქინძისთავს რგვალი და ფართო თავი აქვს, სხვანაირი სანახაობისა; ძალიანა ჰგავს პოლიციელის ან საიდუმლო აგენტის ნიშანს. მე ამ ქინძისთავს პალტოს ქვეშ, სერთუკზე ვატარებ ხოლმე. მთვრალი მატროსები ისევ დასცინიან დაფხრეწილ გაზეთს და ფულს არ იძლევიან. იმათმა თავგასულობამ ძალზე აღმაშფოთა და გადავწყვიტე ვიმოქმედო: მივტრიალდი იმათკენ, გავიხსენი პალტო და ფარულათ დავანახვე ქინძისთავი. ერთ წუთს ვუცქერით ერთმანეთს, მერე ცივათ და გადაჭრით ვეუბნები:

რას ფიქრობთ, ვადაიხდით თუ გამომყვებით უკან“?

ამან გასჭრა. „ვიკინგის“ ფასი წამსვე მისცეს მეგაზეთეს. ამ აყალმაყალის მონაწილენი დავიშალენით ჩვენ ჩვენი გზით: ბავშვმა მოიწმინდა თვალები და გაუდგა გზას, მე კი მეორე მხარეს გავსწიე, მატროსები ნაფთსადგურისაკენ გაეშურნენ. ფოსტასთან უკან მოვბრუნდი. ვერ დამევიწყა პატარა მეგაზეთე. ვფიქრობდი: შენ დაეხმარე ბავშვს ფულის აღებაში და რა თქმა უნდა ის მადლობელია შენი—აღარც შეგაწუხებს თავისი გაზეთით თუ კიდევ სადმე შეგხვდა; მან ალბათ იცის სად როგორ მოიქცეს, შეიძლება კარგი აღზრდა მიუღია ცხოვრებაში. ყავახანა „გრანდ“-თან ისევ დავინახე ის. პირდაპირ ფარნის ქვეშ იდგა, ასე რომ კარგათ შემეძლო დამენახა. ვუახლოვდებოდი და ვფიქრობდი: როგორც დამინახავს და ახლო გავუვლი, მაშინვე ხმას გაკმენდს და კრინტსაც არ დასძრავს მეთქი. გავიარე ახლოს, მინდოდა ვეცანი პატარა მეგაზეთეს. მოვტყუვდი ანგარიშში. ყურადღე-

ბაც არ მომაქცია და ზედ ცხვირზე მზვრტყა გაზეთი „ვიკინგი“. გავნცვიფრდი და ხმაგაკმენდილი გავმორდი. მწარეთ მოვტყუვდი: ეს ქუჩის ჩვეულებრივი ლაწირაკი ყოფილა, საბრალო მაწანწალა; დიდი შეურაცხყოფა ვიგრძენი. მოვდიოდი და თანდათან ვრწმუნდებოდი რომ სამართლიანათ მოვქცეულვარ პირველი შეხვედრის დროს ფული რომ არ ვაჩუქე მეთქი. ეხლა ის ლა მაკლია—მესამეთ მომაწოდოს გაზეთი! განა გასაკვირველია იმისავან? ის ხომ თავხედი რამ არის?! ვნახოთ!

უნივერსიტეტთან უკანვე დავბრუნდი. ვფიქრობდი—სად უნდა შემხვდეს ის მეგაზეთე მეთქი. მინდოდა გაჩირაღდებულ ალავს შემხვედროდა, რომ ვეცანი, შეიძლება ყავახანასთან ვერ დამინახა, არ ვიცი, შეიძლება. მივდივარ და ვფიქრობამაზე და ფიქრმა ისე გამიტაცა და დამიმორჩილა, რომ ბოლოს ჩემი თავის შემოტყუვა: ნერვები მეშლება სულელური ფიქრებით! ვაი თუ წავიდა ბავშვი, გავიფიქრე—ჩემი გეგმა მაშინ ხომ დაინგრა?! ვინ იცის—შეიძლება ის ჩემკენ არც კი წამოსულა, მეორე გზით წავიდა!

და როგორ გგონიათ? მე, მოხუცმა მოვუჩქარე ნაბიჯს, თითქმის გავიქეცი, იმიტომ მხოლოდ, რომ ერთხელ კიდევ მოეწოდებინა ჩემთვის საცოდავ პაწია მეგაზეთეს თავისი „ვიკინგი“, გაბედავს ამას? აი ისიც!.. დინჯათა სდგას მაღაზიის პირდაპირ, ფანჯრის წინ რკინის ცხრილზე მხრები აუჩჩიხა, ხელები ჯიბეში ჩაუწყვია, სცივა. დროგამოშვებით გამლველ-გამომლელთ „ვიკინგს“ მიაწვდის. აი მივუახლოვდი, მივდივარ რაც შეიძლება ახლო, ჩვენ შორის სულ ერთი წუთა მანძილი და დარჩა, კარგათ მხედავს ფარნის მკაფიო შუქზე. ერთ წუთას გასწორდება,



თვალეbs გამისწორებს, გამომიწვდის გა-
ზეთს და, თითქოს ჩვენ შორის არაფერი
არ მომხდარიყოს, მეუბნება:

იყიდეთ „ვიკინგი“!

შევჩერდი; ამ სიტყვების გაგონებამ ამი-
ტანა, გულმა ბაგა-ბუგი გააბა. უცბათ
თავში სულელურმა აზრმა გამიბრინა.
სჩანს ბავშვი გულგრილათ დამცინის, რა-
დგან ზედიზედ სამჯერ მთავაზობს გაზეთს!
სიბრაზისაგან მოთმინება დაეკარგე და
მკაცრი სიტყვებით შეზავებული საყვედუ-
რები მივახალე. მან არაფერი არ მიპასუ-
ხა, დაკვირვებით მომამაშტერდა, არაფერი
არ მოქმედებდა იმაზე — ეს იმის მხრით
დიდ სიმკაცრეთ მეჩვენა. და აი ახლა მო-
მივიდა ის სულელური აზრი: ამოვიღე
ჯიბიდან ხუთშაურიანი, მივადე ზედ ცხვი-
რზე და ჩავაგოზე ცხრილში, რომელზე-
დაც ის იდგა, ამოვიღე მეორე ხუთშა-
ურიანი, მივარტყი ცხვირზე და ისიც იქ
ჩავადდე, სადაც პირველი.

„აჰა!“ მივახალე ღვარძლიანათ, „ამო-
იღე, შენ ფინთო, შენა!“ და მოვშორდი.
ცხრილი ყინულით იყო ვალესილი, სია-
მოვნებით შეეცქეროდი — თუ როგორ სა-
ცოდავათ პორტყნიდა თითებით ყინულს
და ცდილობდა ფულების ამოღებას ჩემი
პატარა მტანჯველი. თითები დაულოურჯდა,
ერთი თითი გაეფხაქნა კიდევ; დიდის მო-
თმინებით მუშაობდა და ცდილობდა ფუ-
ლის ამოძრობას. გული არ გაიტეხა, დაი-
მკლავა და დიდის წვალებით ჩაჰყო ხელი
ცხრილში. ხელები ჰქონდა გამხდარი;
როგორც იქნა მისწვდა ერთ გროშს.

„ოჰო — ვიგდე ხელთ ერთი ფული!“
აღტაცებით იძახის. თითების სახსარზე ტყა-
ვი გადაეგლიჯა. მიცქერის და თითქოს
მეკითხება — შეუძლიან თუ არა ეს ფულები
თავისთვის დაიტოვოს. რადგანაც მე არა-
ფერს არ ვეუბნები, იღებს ფულს ჯიბეში

და მეორე გროშის ამოღებას იწყებს. ჩა-
ყო ხელი ცხრილის ქუქრუტანაში, ცდი-
ლობს ხელთ იგდოს პატარა საუნჯე. წა-
რმოუდგენელია ის თავგამოდება, რითაც
ის მიზნისაკენ მიილტვის: ცდილობს ჩაჰ-
ყოს ხელი ხან იქ, ხან აქ და ამ გაწამა-
წიაში ენაც გამოუყვია, თითქოს ეს რას-
მე შევლოდეს.


„ერთი ნაფოტი რომ მომცა, მოვიშვე-
ლიებდი, უთუოთ ამოვიღებდი“ ამბობს,
ამ სიტყვებთან ერთათ წამოსწევს თავს
და შემომხედავს.

ნუ თუ ეს ლაწირაკი, ფიქრობს რომ მე
მას ნაფოტს მივაშველებ! „მოითმინე, მე
მოგცემ ნაფოტს“ ვეუბნები მე — მარა არ
იფიქრო — შენი დახმარება მინდოდეს. მე
შენ მოგიტან პაწია ნაფოტს, რომელიც
შენ არც კი გამოგადგება. მოითმინე ცო-
ტადენი — ეხლავე მოგიტან. „არა, აღარ
მინდა“, მიპასუხა მან.

ჯიბეს გაისვა ხელი და პაწია დანა ამო-
იღო — გაშალა, ორი თითით უჭირავს და
გროშს დანის წვერით იახლოვებს კელ-
ლისკენ, ამ გზით უნდა გამოაცოცოს და
ამოიღოს.

ეტყობა შრომა ფუტკათ არ ჩაუვლის.
პატარა პლუტს არ უნდა თავი დაანებოს
საშოვარს. ბრაზმორეული, ბოროტ სურ-
ვილით დავყურებ მას, იმის გაშმაგებულ
შრომას.

— „ოჰო, ახლა მალე ამოვართევ!“
წამოიძახა მხიარულათ. მივიხედ-მოვიხე-
დე გარშემო; ხალხს მოეყარა თავი და
ყველა მე და პატარა მეგაზეთეს გვიც-
ქეროდა. უცბათ მოეტრიალდი და წა-
ვედი. ნახევარი საათის შემდეგ ისევ კარ-
ლოსის ქუჩაზე დავხეტებოდი. მაგრამ ის
აღარსადა სჩანდა. მე მეჭირა ხელში ორი
ხუთშაურიანი და პატარა მეგაზეთეს და-
ვეძებდი; მინდოდა შევრიგებოდი ბავშვს




და ცოტაოდენი ფულიც მიმეცა მისთვის თბილი ხელთათმანების საყიდლოთ. მაგრამ ვინ იცის რას იყიდდა ის ამ ფულებით — თამბაქოს თუ სხვა რამეს. სწორეთ დანაშაულობაა — იმას რომ ფული მივცე. ამ აზრით გამოვსწიე შინ.

მაგრამ დღეს, როგორც უკვე ვსთქვი, ისევ დავიწყე ფიქრი იმ პატარა მეგაზეთეს შესახებ. მომაგონდა იმისი საცოდავი გამ-

ხდარი პაწია ხელები და ორი წვეთი სისხლი, რომელიც ცხრილიდან ფულის ამოღების დროს გადმოუვიდა თითზე. ვხედავ, თვალწინ მიდგა პაწია მაწანწა-ლას აჩრდილი, რომელიც პირქვე წევს და მთელი თავისი ძაღლონით ენაგამო-ყოფილი პორქუნის გაყიდულ ცხრილს, რომ ფული ამოიღოს.

ა. მითაიშვილი.



შინაური მიმოხილვა სალაკარაკო

ჩვენისთანა უბედური ხალხი დედამიწის ზურგზე არ შიამობება. თუ ძველად მისი ხორცი, ე. ი. თვალტანადობა და სიმხნე სიჭკველე ქონდათ მის შტრებს თვალში ჩხირადა, ესლა ზედმეტად კიდეც მისი სული, ანუ ერთ ცხვრების და შემოქმედების ძაღლონე განდობით საშურველი. ყოველი გარემოება ისეა დღეს მომართული, რომ ჩვენი ხალხის გადაკვარებას და სულიერის ცხვრების დასშვას ხელი შეუწოეს.

ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ რუსეთის ზოგიერთი შკვიდრი, რომელიც ფეხ მოუცვლელად სცხვრებს რუსეთში, ქართველ კაცს ესლაც კი ისე ნაკლებად იცნობს, რომ ან ურია, ან მავშადიანი ჰგონია. ზოგის თვალში ქართველი თუმცა ქრისტიანია, მაგრამ შეიძლება იმ ხალხისა, რომელიც რუსეთის სამდღველეთებს მოუქცევია. ასე რომ ქრისტიანობა თუ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, ყოფილა რუსეთის ეკლესიის მამათა დავაწლით შემოდებული და გავრცელებული. ზოგს კიდეც გუფწრთვლად სჯერა, ვითომც ქართველი შვილი იყოს იმ ხალხისა, რომელიც მიძიედ შე-

იარადებული დანარება და საკმარისია, ვინმე მწიპურტი ჰკრას, რომ შეიქმნეს მსხვერპლი მისი ბასრი ხანჯლისა.

ასეთმა რუსეთის შკვიდრმა, თუნდაც განათლებულმა, ჩვენი ქვეყნის ვითარების რომ არა იცოდეს რა, მიეტყუება. თავისიც ჯერ ბევრი რამა აქვს შესასწავლი და გასაკეთებელი. მერმე კიდეც როგორღაც არ ესლანებს რუსეთის სახელმწიფოს შემავალ უცხო ტომელ ხალხთა ზნე ჩვეულების, ისტორიის და მწერლობის შესწავლა.

მაგრამ სულ სხვაა, როცა განათლებულს, საზოგადოებრივ მოღვაწე რუსს მოუხდება მოქმედება განაზიარა ქვეყანაში, იმ ხალხში, რომელიც უცხო ტომელია. იმ ქვეყნის ვითარების არ ცოდნა მაშინ დიდ ცოდვად ჩათვლება, მეტადრე, თუ ერთხელევე ამოხეშებული აზრი ჰხელმძღვანელობს და ავრცელებინებს საზოგადოებაში სტამბის გზით სიმართლის შეუფერებელ შეხედულებას. ასეთი გამოდგაბ. სმილიოტი, მარუსე უცხო ტომელი, რომელიც თავისი თავის უკვდავ საყოფელად დასტამბა ყურსალ „კავკასისკია შკოლამი“ წე-



რიდი ოტ შკოლი დო უნივერსიტეტი. სპილიტის აზრით თურქე რუსთა ხელმწიფობის დამყარების ჟამს საქართველოში ქართული სკოლა არ ყოფილა! მაგრამ არც საქართველოს ისტორიული ცხოვრების წინა საუკუნეთათვისაც უთქვამს სახეირო აზრი. თუ რამ ჭკბინათ პრი ცარე ვაროხეო, უფროსსაგებობად არის ნათქვამი. ისტორია ქართულთ განათლებისა კი სულ სხვას გვეუბნება.

მართალია, დავით გურამიშვილის დროს ლექთა თარეშობის გამო ქართული განსაკუთრებით ხუცთათვის საჭირო წიგნები ძნელი საშოვარი იყო და, ყოფილად შესაძლებელია, ის გარემოებაც ყოფილიყვეს მიზეზი, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის სკოლის გარეშე აღზრდილა, მაგრამ თუ მაშინ უწიგნობა და უსკოლობა იყო, დროებით იყო.


1762 წ. რუსეთთან ჩამოვიდა ანტონ ბირგელი, მოწვეული ხელახლად ერეკლე მეორის მიერ კათალიკოს პატრიარქის თანამდებობაზე. ანტონ კატალიკოსი მოწადინებული იყო, საქართველოში ისეთივე სკოლები შემოეღო, როგორც რუსეთში იყო მაშინ და შეუდგა კიდევ საქმესა. გასნა ორი სემინარია, ერთი ტფილისში, ხოლო მეორე თელავში 1783 წ. მაისის 28, სადაც სწავლება სწარმოებდა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის პრეზიდენტის შეთანხმებითა. იმ სემინარიებში სწავლდებოდა იყო, სხვათა შორის, სწავლება გრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ღვთის მეტეფიკების და სხვა საგნებისა. უმთავრესი შემდგენელი მთარგმნელი სახელმძღვანელო წიგნებისა თვით უწმინდესი პატრიარქი იყო, რომლის მოდგმვითაც ხელს უწყობდა ერეკლე მეფე სახელმწიფოს საზინით განსჯის გაღებითა. სხვათა შორის, იმ სემინარიებისთვის ანტონ კათალიკოსმა შეადგინა ღვთის მეტეფიკება ოთხ ნაწილად, წყობილ სიტყვაობა, მზამეტეფიკება, გრამატიკა ქართული, ენისა სთარგმნა ფი-

ლოსოფიის, ლოგიკის და მეტაფიზიკის შესწავლისა, ფიზიკა ფილოსოფიისა, კატეგორიები ანტონ ტოტელისა და ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა კურციუსისა.

დაწვრილებით ამბები ვიცით უფრო თელავის სემინარიისა, ტფილისის კი არა, ეგებ იმის მიზეზითაც, რომ ერეკლე მეფეს ქართლის ბედის გადაწყვეტა სწავსთა ეენმა ალა მამულად ხანმა მეტად ძვირად დაუსვა: ქალაქი აიკლო ისე, რომ ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებია. რა საკვირველი იქმნებოდა, რომ რუსთა მიუღობელობის დამყარების ჟამს ტფილისში, იქ, სადაც ქართველთა უღელის კვალი ჯერ კიდევ წაუშლელი იყო, სკოლის საქმისთვის ვეღარ მოეცალათ. საღბი და თვით მეფე გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალ ვერ მოსულიყვნენ. რომელსაც გიორგი მეფე, თუმცა ვაღდებულად იყო, ბეჯითად ვეღარ აძლევდა გენერალს დაზარაფს სურსათს ეგერთა ჯარისათვის, გენერალი დაემუქრა მეფეს ჯარის გაყვანის ტფილისითგან, მაგრამ მეფე, შიშით რომ უმწეოდ არ დაჩქინდიყო, ემუდარებოდა, ცდიდა ჯარს ნუ გაიყვან და სურსათი იქმნებოდა. მაშინ იყო, რომ გენერალმა დაზარაფება თავის მთავრობას მოახსენა, ქართული იქნება ჩვენებური **ზავტრა** ყოფილაო.

თუმცა საქართველომ ახსრება დიდი მხანა მტერთაგან, თელავის სემინარიის არსებობის საბუთი მანც მრავალი დავრჩა. წიგნები, რომელსაც ასწავლიდნენ მოწავებებს, სიტყვა, რომელიც გაიოზ ნაცვლიშვილმა, ბირგელმა რეკტორმა წარმოხსენა ერეკლე მეფის, ანტონ კათალიკოსის და მოწავეთა წინაშე აღზრდისათვის, კი არ დადებულა, დღესაც მოკვებება და ინახება ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ საცავში.

ერეკლე მეორის მეფობა საკულტურო საქმეების დაწვებითაც იყო შესანიშნავი. ახალი



ეგრძეული სკოლა სწორეთ მამინ შემოვიდა საქართველოში.

ბ. სხილიტოი ისტორიის მასწავლებელია, ამბობენ. ღაფურა, ჩვენს შვილებსაც ისევე ასწავლიდეს ჭკუას, როგორც განუზრახავს ჩვენი ჭკუის სწავლება.

სამწუხაროდ უნდა აღვიარო, რომ სოციერთი ქართველიც შორს ვერ წასულა „კავკასიის სკოლაზე“ და მისებრ ფიქრობს: სულ კი უცოდინარობის ბრალა, იმ განსხვავებით, რომ სხილიტოები გულმანკურად სტდებიან, თავის გამჩენსა და დაწინაურებაზე შეშლილნი. ქართველთ ქართული განათლება დახელებად მოჭლანდებიან; უარ შეთფელი სული ჭიფლობით!

მართალია, ქართველი ხალხის გენია, თავისებურის, დიკს საცნობ-სახსოვარი კულტურის შემქმნელი, უბად აუღიანთ, მაგრამ მისი წამლები წყალი ჯერ არ გასდენია, არც თუ რადისმე გაედინოს შავსა და კასხის ზღვებსა.

რას სკვირვულია, სხილიტოები არ დაიძლიან და კვლავ იტყვიან, საქართველოში განათლება ჩვენ შემოვიტანეთ. მოფერობით კი არა, მტრობით მოსდით, რომ ვინღა გვიძრახვენ.

დაილოცოს ღმერთო, შენი სამართალი, ჩვენც ვიტყვიით შიო არაგვის პირელის გლეხივით.

* * *

აქნობამდე გვეგონა, დიდი თამარის დროს შეჭმნა ქართლის გენიამ ვეფხვისტყაოსანი. ეხლა გვიმტკიცებს ბ. სარგის კაკაბაძე, ვეფხვისტყაოსანი მეთხუთმეტე საუკუნის დამდგეს ვეფხვისა ბ. სხილიტოსს ვირ კატა ეტემათ, როცა შეიტყობენ, რათგანაც ერთი ოქროს საუკუნის შეწინააღმდეგ არ უნდათ და ამიერთაგან თავში საცემი გაუხდებთ მეორე ოქროს საუკუნე ქართული მწერლობისა.

თუ ბ. ნ. მარმა სთქვა ჭიბთეზად, ვეფ-

ხის ტყაოსნის შემოქმედი და თამარისნის ვეტორი ჩახრუხა ერთი და იგივე პირი არისო, შესაძლებელი იყო, მისი ნამოწაფარი, ეხლა ტფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი სარგის კაკაბაძე გამოსულიყო იმავე ვეფხვის ტყაოსნის თაობაზე თავისი საკუთარის ჭიბთეზითა. ისეც მოიქცა. სხენებულ კურსებთან არსებობს რუსთა საზოგადოება კავკასიის ეთნოგრაფიის, ისტორიის და ენის შესასწავლად დაარსებული. სწორეთ იმ საზოგადოების გავლილ სხდომაზე ბ. კაკაბაძემ დამწერე ხალხის წინაშე, რომელთა შორის ქართველობაც საკმაოდ იყო, მეტად ზასუხ საკები საკითხი წამაყენა დასამტკიცებლად. სამჭკალი მისი რუსული მოხსენებისა იყო **როდინდელიობა** ვეფხვის ტყაოსნისა. უფველ ქართველს, ვისაც კი ცოტად მაინც კანების თვალი ახველია, დრმადა სწამს, რომ ერთმანეთს ამშვენებენ წმიდა და დიდებული თამარ თავისი სახელგანის და ბრძნულის შეფობით და სულ მნათი შოთა რუსთველი თავისი უგვდავის ვეფხვის ტყაოსნითა. ბ. ლექტორის თქმით კი, მეთხუთმეტე საუკუნის დამდგეი ყოფილა თურქმე ის დრო, როცა უნდა დაწერილიყვეს ვეფხვის ტყაოსანი, და დაწერილა თურქმე დავით ბორჩხალს შეფის ბრძანებით ქებად მისი სტროფოს თამარ აფხაზთ ბატონიშვილისა. სწორეთ ეს უნდა ყოფილიყო მისეზი, რომ საზოგადოებას ეხლა საღაპაროდ გადაქცევი გამოსვლა ს. კაკაბაძისა.

მამინ, როცა ბ. მარის აზრით, ვეფხვის ტყაოსნის დაწერის და წმ. თამარის შეფობის დრო ერთი და იგივეა და ვეფხვის ტყაოსანი ნაყოფია ქართველთა არა მტრობა ძლიერის კულტურულის განვითარების, არამედ პოლიტიკურის ძლიერებისაც, ბ. კაკაბაძე ვეფხვის ტყაოსანს უკარგავს სიძველის ხასიათს სრულის ორის საუკუნითა, იმისას კი არაფერს გვაუწყებს, როგორც იყო მეთხუთმეტე საუკუნის დამდგეს ქართველთა პოლიტიკურ კულ-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურქული ძლიერება, რომელსაც წარმოუშვია ისეთი ქმნილება, როგორც არის ვეფხის ტყაოსანი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. კაკაბაძეს ან არა სწამს, ვეფხვის ტყაოსანი იუყვეს ქართველთა გულტურულ ზოლიტიკური ძლიერების ზრდუკტი, ან შესაძლებლად მიანხია ერთად არსებობა გულტურის ძლიერების და სოციალ ზოლიტიკური ცხოვრების სისუსტისა. ესეა უნდა ვიკითხოთ.

1. ვინ იყო მეთხოვეტი სუკუნის დამდეგს ის დავით, ვინც, როგორც ვეფხის ტყაოსანშია თქმული, ქართველთა ღვთის (თამარის) მზეს ჭმისხურებდა, მას, ვინც აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად ითვლებოდა, როგულთა დამწველად, ხოლო ერთგულთა დამამკრებლად?

ის დავით ნუ თუ იყო დავით VIII, რომელიც მეფობდა 1404—1413 წ.წ., სწორეთ იმ დროს, როცა ბ. კაკაბაძის აზრით უნდა დაწერილიყოს ვეფხის ტყაოსანი. მაგრამ ის დრო რა დროა? თუმიც ერთმეფობა ჯერ კიდევ იყო, მაგრამ უფრო გარკვნად. მისი ტახტი ისე ფამოვლებდა, რომ იმავე სუკუნის შირველ ნახევარშივე უნდა დამსობილიყო არა მტრის, არამედ აღუქსანდრე მეფის ხელითა, იმ მეფისა, რომელმაც მთლიანი ივერია სამსეფოდ განაწილა; რომლის შეცდომასაც თან მხჭვეს აგრეთვე ხუთი სამთავროს დაარსება და ივერიის ეკლესიის მთლიანობის დადგევა რი სკათალიკოსოს დაარსებოთა. ის დრო ხომ მედალთა უეინის ჯენგ თემურის შემოსევის და თარქშობის დროს საქართველოშია. მარი ბრესეს თქმით, ანგოროს რმის შემდეგ 1403 წ. როცა ბაიასხეთ სულთანნი დამარცხდა და ტუვედ ჩაუვარდა ჯენგ თემურსა, ივერიის მეფე გიორგი VII და მისი ძმები კოსტანტინე და დავით თუმიც მხნედ იცავდნენ საქართველოს დიდად გამარჯვებულის მტრისაგან, მაგრამ მეფესა და მის ძმებს შორის ჩამოვარდა შუღლი და მეფის ძმებსა კოსტანტი-

ნემ და დავითმა საიდუმლოდ შეხვეწეს თათარებს ის გზა, რომლითაც შეეძლოთ შუაგულ ქართლში შემოსულა. მაგრამ ბ. კაკაბაძის თქმით იმ დროს სხვა დავით, გარდა დავით მეფისა, რომელიც ძმა იყო გიორგი მეშვიდისა, ყოფილა თურმე დავით ბორჩხლოს მეფე.

ნუ თუ დავით VIII, მოდალსტე ქვეუნიცა, ან დავით ბორჩხლელი ჭმისხურებდა ქართველთა ღვთის მზეს, მტრის თავზარ დამცემს, როგულთ დამწველსა. საჭირო იყო იმის დამტკიცება კი არა, თუ სათანადო თარიღი დავით ბორჩხლოს მეფისა 1404—1413 წ.წ. როგორ და საითგან გაჩნდა, არამედ იმის ცხად ყოფა, თუ სხვა რა საფუძვლით შეიძლება ვეფხის ტყაოსანი ჩათვალოს ზრდუკტად მაშინდელი გულტურისა? შინაარსი ხომ არ შეიცავს მაშინდელი ცხოვრების და ფაქტების რამ ანალოგიას? ვეფხის ტყაოსნის ენა თავისი განვითარებით ხომ არ არის მსგავსი მაშინდელ ქართულ რიგინალ ან ნათარგმნ თხზულებებთა ენისა? თუ შოთა რუსთაველი მაშინ სცხოვრებდა, სდაური იყო, ვის კარს ბრწეინავდა და სხვა?

ის დავით იყო, კიდევ უნდა ყოფილიყო დავით სოსლანი, მეუღლე თამარ მეფისა, ის, ვისაც, ვითა ღოგის, ჭმევენდა ხმარება შუბის, ფარმომშერისა, ის, ვისი ჭვრეტაც, ვითა ჟანდი და შერი, დამატკობელ იყო. დიდუბის სრასა ქარწილის შემდეგ, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, შემოვიდეს ტფილისად და დასხდეს ტახტსა ბენდიერსა, ორნი მნათობნი, ორნი მზენი, განმანათლებელნი ყოველთანი... და ცხოვრების ნიშანი იხილვებოდეს მათზედა, იყვნეს ლაშქრობანი გამარჯვებულნი ზემოთ და ქვემოთ, და არა სადათ ვინ ჩნდა წინა აღმდგომი... და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სვე ალექსანდრიანისათა და ემარჯვებოდა ყო-

ველი, განგებითა და შეწევნითა ზეგარ-
დამოთა. თამარ მეფის ზიწველი ქმრის გი-
ორგი რუსის და მის მომხრეთა დამარცხება,
ძლევა მისილი ომები განჯის, შამქორის,
ბოლნისის და ტრანკაზინის იმპერიის და-
სრულება, რამაც მტრებს შიში და რდი აკრ-
ძობინა, ნაყოფი იყო თამარ მეფის ბრძანე-
ბის და გამორჩევისა, მაგრამ იმ ბრძანების და
გამორჩევის აღმსრულებელი და სულის ჩამ-
დგმელი იყო ქართლის დედის სახელგანთი
მეუღლე დავით სოსლანი, მამინდელ ქართველ
მამულიშვილთა იმედი და სიქადელი. მამულის
შოღალატე დავით VIII, ან დავით ბოროტ-
ლას მეფე კი არა, არამედ ის დავით, თამარ
მეფის მასხველებელი და მისგანვე სახელგ-
ან ქმნილი, იყო, თუ გნებავს, ბრძანების
მიმცემი, რათკანაც ისეთი საკულტურო ს-
ქმისთვისაც შესწევდა შნა. ქართლის ცხო-
ვრების თქმით, ესე დავით წელიწადისა
მოქცევამდის ესრეთ წაეჯობინა... მწიგ-
ნობართა ყოველთა ნასწავლთა... რომელ
შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლელი
და თანამოსწავლე, და თუ გარეთა ქვე-
ყანათა მოსრულთა, ვერა სარა გამორჩენი-
ლა მისებრი. დავით ბოროტლას მეფე, რა-
მელსაც ბრძანება გაუცია ვეფხისტყაოსნის
აწერისა, ნუტა რას წარმოადგენდა, ან რა-
გორც მეფე და მეომარი, ან რაგორც განა-
თლებული ადამიანი?

2 მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს ვინ იყო
ის თამარ, ვის საკუთარებადაც შოთა რუ-
სთაველს უთქვამს ვეფხისტყაოსანი? ნუ თუ
თამარ ახსნათ ბატონიშვილი? იმ დროს
თამარ იყო, მაგრამ ის და იყო იმერთ ერის-
თავის დიმიტრის ალექსანდრე I ძისა, რა-
მელიც თავისი გასარტარი სიღამა-
ზით ჭიბდავდა ვეფხისტყაოსანს? რატა ქართლის მე-
ფემ გიორგი მეშვიდემ დადასნისა და იმერ-
ლების შემწეობით დიმიტრი შეიპყრა და ს-
მხეთში (ბოროტლასში) გაგზავნა, რაგორც მი-

იღო დავით ბოროტლას მეფემ? რატა მისი
ხდა, რომ ბედ უკუდმართი დიმიტრის და თ-
მარ შეიქმნა ცოლად ივერიის დამნაწილე-
ლის ალექსანდრე მეფისა? სად იყო, დავით
ბოროტლას მეფე, თუ იყო? თუ კიდევ იყო
სხვა თამარ, რომელიც იწოდებოდა აფხაზთ
ბატონიშვილად? მაგრამ დიდი თამართ მკვი-
რებული აფხაზეთი დასავლეთ საქართველას
რომ ადარ ჭნიშნავდა, იმისი რადა ვსთქვათ?

ნუ თუ ის თამარ იყო ქართველთა დედათა,
ადმოსავლეთით დასავლეთს ზანთა დამცემი,
ორკულთ დამწველი? ნუტა რა ომები გადაინ-
და თამარ ახსნათ ბატონიშვილმა? დავით მე-
რვის დადატს ისა და მისი მიჯნური დავით
ბოროტლას მეფე რაგორ უცქეროდნენ? თათ-
რების შემოსევას რაგორ დახვდნენ? რაგორ
მივიდეთ ვეფხისტყაოსნის თამარ დავით
ბოროტლას მეფის სატრფოდ, თამარ ახსნათ
ბატონიშვილად, რადესაც არავითარი საბუთი
გვაქვს. თარიღს გარდა ბევრი რამეა საჭირო
იმის დასამტკიცებლად.

ან ვინ არის ის თამარ, რომელიც მეფედ
იწოდება ვეფხისტყაოსანში? სიტყვა მეფე
ქალის და ვაჟის საერთო აღმნიშვნელად ის-
მარებოდა იმდრომდე, რომელიც წმ. თამარის
გარდაცვალებით თავდება, შემდეგ კი ქალი,
რაგორც ესხაც არის, იწოდებოდა დედოფ-
ლად, ხოლო ვაჟი მეფედ, რომლის მაგიერ
ტაკლანჯუთის პერიოდში იხმარებოდა მამ-
ული, ანტიოქსად დედოფლისა. მასხადამე
არც მეთხუთმეტე საუკუნეში იქმნებოდა ქალი
მეფედ წოდებული.

შოთა რუსთაველი გვეუბნება, თამარს ვა-
ქებდეთ მეფესა, მას ვაქებ ვინცა მიქიაო-
სასურველია, უფრო კარგად ვიცოდეთ, ჩანს რა-
ხა, ავტორი თამარიანისა ბ. კაკაბაძეს რად არ
მიანხია ავტორად ვეფხისტყაოსნისა. ბევრი
კონკრეტო საბუთია, დამამტკიცებელი ბ. მ-
რის ჭიბთაყვისა, რომ ერთავ ნაწარმების
ერთი და იგივე ავტორი ჭეოლია, უმთავრესი



გი სავანის ქებისა—დიდებული თამარ მეფე და მისი ცხოვრება თამარისაში გაპოტიონებუდა, ხოლო ვეფხის ტყაისაში გაიდალი-ზებუდა. საბუთის კიდევ ერთავ ნაწარმოების ენის ერთნაირი სიმტკიცე და გამოქმათა ერთობა. ბ. კაკაბაძე იმეწმებს ჰოეტს არჩილ მეფეს, რომელიც რუსთველისთვის მასუხად აქმევიებს თავის გაბასებაში ჰოეტს თეიმურაზ მეფეს პირველსა, ჩანრუხაძემ უწინ არ სთქვა, რად იბარავ პირველ თქმასაო. შესაძლებელია, ესე ჰგონებოდათ თეიმურაზის დიდი ჰოეტობის მომხრეებს, რომელიც რუსთველს ამცირებდნენ, ხოლო ბატონს ამაღლებდნენ, მაგრამ თუ სხვა და სხვანი იყვნენ ჩანრუხა და შოთა რუსთველი, ხომ შეიძლება, ჩანრუხა ცოტა უფრო ადრე ეფილიყო. არჩილ მეფე ჰოეტის თეიმურაზ პირველის ცხოვრების წინა სიტუაციაში გვაუწევებს, მას (შოთას) უბრძანა თამარ მეფემო, თვით ჰოემაში კი რუსთველს აქმევიებს თეიმურაზისთვის, მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მეღექსენი ჩემზე შენ ობსო! თუ ვეფხის ტყაისანი მეთხოთმეტე საუკუნის დამდეგს გაჩენილა დავით ბრძანალებს მეფის ბრძანებით, როგორღა შეიძლება, ლექსის თქმის ძირად ჩაითვალოს? მაშინ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროინდელი ჰოეტები ძაგნაგონი სარგის თმოგველი, ივანე შავთელი, ჩანრუხა და სხვები, რომელიც, უეჭველია, იქმნებოდნენ, როგორ უნდა ჩავთვალო? ხუ თუ ბოლოდ? არჩილისვე თქმით შოთა ზის სიბრძნის ეტლიზედა, თავსა მით ათინათინებს. თუ ისეთი სიბრძნის ეტლი ბრწყინავდა 1400—1453 წელთა განმავლობაში, როცა ალ-ლუზიანი დაწერილა, მრავლ. აღექსანდრე ხანაშვილის აზრით, როგორ არ მოეცხე იმის უბადრუკ ავტორს ცოტა მაინც შოთა რუსთველის სიბრძნის, ენის, გრძობის და ხელფინებისა. შესაძლებელია განა რუსუდან—ალ-ლუზიანის დაწერის დრო ჩაითვალოს ბქრის

საუკუნედ? რუსთველისთვის უბრძანებიათ თქმის ტკბილი ლექსებისა, მცოდნეც ეფილია, ალ-ლუზიანის ბეჩავი ავტორი კი არც მცოდნე ეფილია, არც მბრძანებელი ჰეფილია, ეთქვა ტკბილი ლექსები.

3. შოთაც ამბობს, ვეფხის ტყაისანი ლექსად თქმული სმარული ამბავია; თეიმურაზ I მეფის მომხრენიც, არჩილის თქმით, დასცინოდნენ შოთა რუსთველს, სმარული ჭორო, იგივე ამბავი, გაღექსაო. მაგრამ არაფერი უშლიდა ვეფხის ტყაისნის გენილ ავტორს, თავისი მისწრაფება, თავისი იდალი იმ ჭოროში გამოეხატა. გარეგანად ხომ ის სმარული ჭორო წეობილ მარგალიტად აქცია. თავისი ღირსება კარგად ესმოდა, როცა სთქვა, აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანებოო. თამარ მეფის ცხოვრება იყო ერთი დიდი თაიგული მრავალ ფერ ვეფხილავანი. თაიგულის შუა გულში იჯდა მეფედ ვაზდი, თავისი სიტუაციის ეფუარებით და სურნელებით ვეფხილთ დამამევიებელი და დამამტკობელი. საისტორიო ანალოგიის ჰიპოტეზი, რომელიც განსვენებულმა დ. ჩუბინაშვილმა წამოაყენა, ძველ ტრადიციებზე და მამინდელ განათლებულ ბატონიშვილთა ნაღამარაგვეზე დამუარებულმა, ჯერ უცილობელია და ძალში დარჩება, ვიდრე მველევარნი უარ ჰეფოდნენ. დ. ჩუბინაშვილის აზრით, თინათინის გამეფების ამბავი მოაგონებს ადამიანს გიორგის მიერ თავისი ასულის თამარის ტახტის მეშვეილედ გამოცხადებას; ნესტან დარეჯანის და ტარიელის მიჯნურობის ამბავი, შეუძლებელია არ ვიცნოთ თამარის და დავით სალხანის ქორწინების ისტორია; და სმარსეთის ხვარაზმშას მოკვლის ამბავში არ ვეძიოთ სვეუბელური გიორგი რუსის თავგადასვალიო. ნესტან დარეჯანის მამა ფარსადან მეფე და მამიდა დავარ დედოფალი, რომელიც აღზარდა ნესტან დარეჯან და ტარიელ, უნდა მოვიდოთ თამარის მამად გიორგი შესამედ

და მაშინდელ რუსუდან დედოფლად, რომლის დარბაზში თამარ და დავით სოსლან ადრე-დილიყუნენ. როცა ნესტან დარეჯანმა ტარიელს უთხრა სპარსეთის ხვარაზმშიაზე გათხოვების ჩასაშლელად ესე ამბად არ ეგებინა, რომე სპარსნი ვაგვიხასდინ, ხელთ თავის მამის მოასხენა, ტარიელ სპარსთა ვერა იქმს ინდოეთისა კამასაო, ნუ თუ ასეთი სიტყვა ზასუხი არ უნდა ჩაითვალოს აღმომცემ-ნებლად თვით თამარ მეფის და დავით სოსლანის მომხრეთა გულის ნამუშავეების და ნუ თუ არ უნდა საგუჯვებელ ჭყოფდეს იმ მამულიშიალოთ, რომელნიც ისე თავგამოდებულნი იბრძოდნენ გიორგი რუსის განსადევნელად საქართველოთგან. საისტორიო ახლოების ჭიბოთეზი მსგავრდა, რომ მართლა გაიდალიბეზებულად და არა კიბოდ გვიხატავს იმას, რაც მომხდარა, ზედ გამოჭრილია კიდევ ერის გულის თქმაზე, მასუდღემულებელია იმ ფსიხიკისა, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, არც უნდა წარმიდგინოს, რომ შოთა რუსთაველი თავისი ვეფხისტყაოსნითა და დიდებული თამარ მეფე სხვა და სხვა დროინდელი იყვნენ. ქართველობა ვერ შეჭრიკებია ერთის არსებობას თვითნიერ მეორისა. თუ ვეფხისტყაოსანი მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს დაწერია, როგორც ვარწმუნებს ბ. კაკაბაძე, მაშ მაშინდელი დავით ბრძანდეს მეფის სატრფო თამარ ახსნით ბატონიშვილი მეორე თამარ უნდა ყოფილიყო, მეორე მზე და მეორე დავაება ქართველებისა, მაშინ ხომ საქართველოს ისტორიას ორი ოქროს საუკუნე ექმნებოდა ერთი დიდის თამარის (1184—1212) რომლის დროსაც ბრწყინავდნენ ჩხრუხა და მისე ხონელი, ხელთ მეორე თამარ ახსნით ბატონიშვილისა (1404—1412), როცა შოთას უცხოვროა თურმე და მისი მიჯნურის ბრძანებით მისდა საქებრად დაუწერია ვეფხისტყაოსანი, რათგანაც შეუძლებელია, ის უკვდავი ქმნილება წარმოემას ზოლიტიკურ კულ-

ტურულად განუვითარებელ და სუსტ ცხოვრებასა.

ამიტომ ვარდა თვით ვეფხისტყაოსნის შინაარსის და ტექსტის ფილოლოგიურ—ლინგვისტიურად შესწავლისა, სხვა ყოველი კვლევა ზემოთის რადინდელობის და მისი ავტორის ვინაობის შესტეობად სხვასტეობის იქით ვერ წავა, რათგანაც შეურყეველი საბუთები ჯერ ხელთ არ მოგვეპოვება.

4. მეგნია, არც თვით ბ. კაკაბაძე უნდა იუვეს მისი წინააღმდეგი, რომ ვეფხისტყაოსანში უაღბ ქმნილი მუხლი ბევრია. მაშასადამე როცა მკვლევარი უაღბ ქმნილს ნამდვილად სცნობს, საბუთიც უნდა წარმოადგინოს, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო ბ. კაკაბაძემ ავტორის თქმულად ჩასთავა, ზედ მეტად კიდევ განმარტა ისე, თითქოს უქია ჭინაშავდეს თარგმანსა. ასე რომ მისე ხონელი გამგვიდა მთარგმნელი ამირან დარეჯანისა. ქება, თქმა ჩვენს წინაპრებს ესმოდათ ავტორობის აზრითა. როცა შოთა ამბობს მსვაქებ, ვინცა მიქიაო, თქვენი ქებანი ვისმინეს უთუოდ მისი ავტორობა უნდა გვესმოდეს. მისე ხონელი რომ ამირან დარეჯანიანის მთარგმნელად ჩავთვალთ, მაშინ იმავე მუხლში მოხსენებულ სხვა ავტორებსაც ისევე უნდა მოვექცეთ, აბდულ მესიაც, დილარგეთიც, ტარიელიც თარგმნილად უნდა მივიდეთ, ხელთ მათი ავტორები შავთელი, სარგის თმეგველი და რუსთველი ავტორებად კი არა, მთარგმნელებად, რათგანაც უქია იმ მუხლში, სვადც ნათქვამია ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო, ერთად ერთი შესმენილია და იგულისხმება შავთელისთვისაც, სარგის თმეგველისთვისაც, რუსთველისთვისაც.

არნილ მეფესაც თქმა ავტორობად ესმის. სწერს, ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი, ფარსადანის ძემ ნო-



დარ თქვა ქება კარგა ბარამ გულისო. ვეფ-
ხის ტყაოსნის ზოგიერთი მუხლის სიყალბე
შეიძლება კაცმა საცილობელ ჭეოს, მაგრამ
ხსენებელი მუხლი, შეუძლებელია ნამდვილად
ვიცნოთ, რათგანაც საბიბლიოგრაფიულ შენიშ-
ვას წარმოადგენს, და, უნდა აღვიაროთ, მე-
ტად ძვირფასია.

5. აქრობამდე უწყებელი იყო, რომ საქარ-
თველში 1442 წლითგან გაჩნდა სამეფოები
ქართლის, კახეთის და იმერეთისა და სამთავ-
როები სამცხის (მესხეთის), ოდიშის, გური-
ის, აფხაზეთის და სვანეთისა. მიღებული
სახელწოდება ასეთია. თუ ყოფილა კიდევ
ბერძნულს, ჯავახეთის და სხვა კუთხეების
სამეფოები, სრულიად არ ვიცნობთ. ეს ამბა-
ვი, რომელიც ზირველად გვესმა ბ. კაკაბაძის
მხსენებაზე, მეტად საინტერესოა და სამ-
წესნოა, რომ ბ. რეფერენტმა გაატარა ისე,
როგორც უკვე ვგვალხსოვთ უწყებელი და
ვევალხსოვთ მიღებული. რაც შეეხება ვეფხის
ნაწარმოებს—ტყაოსნის გაგრძელებას, ნახუჩა
ციციშვილის სამსახორდე ტაძარს, არც ვახტანგ
შექვიციანს, არც სხვას აქრობამდე ნამდვილ
ტექსტად არ მიუჩნევია. შესაძლებელია, როცა
ცალკე დაიბეჭდება და გაიჩნება, დამტკიც-
დეს, რომ ვეფხის ტყაოსანი მეტხუთმეტე
საუკუნის დამდეგს ყოფილა დაწერილი, მაშა-
სლამე დამტკიცდეს, რომ ის დრო ყოფილა
მეორე ბერძენი ქართული მწერ-
ლობისა, რათგანაც ზირველი და უეტველი
იყო დიდის თამარის დროს ორასი წლის წი-
ნად. სასწაულიც ის იქმნება!

* * *

სიკეთე არც ქართულ სახელებს აურათ.
ჟერ გიორგი ერისთავის თერგდაელულ ივანე
დიდებულისძეს არ მოსწონდა სახელი ანდრეა-
თარ, რა კი ქართული უარი ათვალწუნებული
ქქონდა; ყათარს კახარ ერჩია. ჟერ კიდევ ზა-
კლე ციციანოვს ქართული გალობა თხის კი-

კინი ეგონა. ჩვენ სულიერ მამებს ქართულ-
ლი სახელები არა თუ არ მოსწონთ, ეჭვგრე-
ბათ გიდეც და ერეკების იმ ეკლესიითგან,
რომელიც აუშენებიათ, რომლის წინაშე ღვა-
წლი მიუძღვის ზოგჯერ სწორეთ ისეთ სახელ
წოდებულ ქართველებსა.

თამარ, ნინო, ქეთევან, შალვა, არჩილ,
ბიძინა და სხვა ამისთანა სახელები თუ ხში-
რად გაისმის ესლა ჩვენს საზოგადოებაში, ეს
გარემოება ზოგჯერ იმასაც მოასწავებს, რომ
ქართველ მშობლებს ჟერ არ დასშვიათ შეგ-
ნებას მამულიშვილობისა.

ასეთი ზატიოსანი გრძნობა მათ ავალეხით,
თავიანთ შვილებს დაარქვან აგრეთვე თინათინ,
რუსუდარ, დარეჯან, ვახტანგ, შოთა, თამარ,
მერაბ და სხვა საერო სახელები, მაგრამ ქა-
რთველ ხუტებს თავიანთი უარით არა ერთხელ
ჩაუშხამებიათ მშობლებისთვის ბავშვის ნათ-
ლობა.

რათაო, იკითხავს მკითხველი. იმითა, რომ
მოსახლათლავ ბავშვს უწოდებენ სახელს იმ წმი-
ნდანისას, რომელიც მოხსენებულია რუსულ
კალენდარში. სწორეთ იმის მიზეზია, რომ
დღეს ჩვენს ხალხში გაისმის ისეთი სახელე-
ბიც, რომელიც ჩვენს სულსა და გულს არა-
ფერს ეუბნება.

თუ შეუგნებელი მშობელი მსხვერპლი გა-
მხდარა ჩვენი ხუტების ამ გვარი მისწრებუბი-
სა, შეგნებელი აღარ დაჰყოლია მათ ნებას და
ბავშვი რომ სულ უნათლავი არ დაეტოვებინა,
ქართველი წმინდანის სახელი ამოურჩევია და-
სარქმევად. ამიტომ ბევრი ყოფილა შემთხვე-
ვა, როცა თინათინის მაგიერ თამარ დაურქ-
მევიათ, შოთას მაგიერ შალვა და სხვა.

ესლა თურმე ჩვენს ხუტებს უფრო შორს
გაუწვიათ. ქართული საერო სახელების ვი-
თამც ეკვივალენტებს ეძებენ თურმე რუსულ
კალენდარში და იმას სწერენ ნათლობის
დავთრებში. ამ გვარად, თუ არ გამხდა-
რს, ესლა უსათუოდ იქცევა თამარ თამად,

თინათინ ტატინად, შინა და შინანა მარად, რამინ ბესარიონად, ბარამ ბორისად, გული გლებად და სხვა. საფრანგეთში ჯერაც არ შემწედარა ზატრკობთან ბრძოლა შეგნებულ მშობელთა, რომელნიც მოითხოვენ თავიანთ შვილთათვის ნამდვილი ფრანგული სახელების დარქმევას. სომხის საზოგადოებაში ნამდვილი სომხური სახელების დარქმევა კაი ხანია შემოვიდა. ვინ იქმნება თავის ცხერის მეტი, ჩვენი ხუცების მოთხოვნილებას ადღა ვერ აართვას. რა საფიქრებელია, სახელები საქართველს მართლ მაღიღებულ შეფეთა და დედოფალთა, მთავართა და დიდებულთა, სურთოდ კეთილ მისხურ მამულიშვილთა, რომელნიც მხვილ ამოწვდილნი იცავდნენ წაბილწვისაგან წმინდა ჯვარს, წამბილწველი იევეს დღეს ქრისტეს ჯვრის და ეკლესიის, წმ. სვეტიცხოვლის კათალიკა და სამოციქულო ეკლესიისა. რცა ბატონიშვილებს არქმევდნენ ვახტანგს, ბაქარს, თეიმურაზს, რუსუდანს, ნათას, ჩვენის ეკლესიის მამებს ფიქრადაც არ მისდილათ სარწმუნოების დამცირება, რათგანაც ერთხანთ, მაშინდელ ქართველს თავისი სარწმუნოების და მამულისთვის თავგანწირულის ცხოვრებით წმინდა და სათაყვანო გაეხადა სახელი, რომელიც ერთა.

მართალია იუვენს. ისტორიამ მერე ქვეყანა არ იცის, საქართველს გარდა, ისეთი, სადაც იმდენი ხალხი გამწედა, ტანჯულ იუვენს წმინდა ჯვრის ერთგულებისთვის. საქართველს სასიქადულო თემის ტოკლარჯეთის ოსმალთა მიერ ცეცხლით და მხვილით გამჭმადანების ამბავი ეველასთვის ცხადია.

იქაური ქართველები სოფლობით ჩანდობნულან მაღიღებულ მტკვარში, დამრჩვალან, ქრისტეს სარწმუნოებისთვის კი არ უღალატნიათ. ბედ უკუდმართ ძმათა ვახტანგ მექესის და იესეს შეფობის ჟამს, იმ ათი წლის განმავლობაში, რცა ოსმალნი ბატონობდნენ ქართლში და ექიმებოდნენ სმარსელებს, მარი ბრესეს თქმით, დაიხცა სხვა და სხვა ომსა და ბრძოლაში 75,000 ქართველი. ოსმალეთში ტუვედ წასხეს 1500 სახლობა, ხოლო სმარსეთში 800 სახლობა. ამას გარდა სმარსელებმა ტუვედ წასხეს საციციანოთგან 500 სახლობა, ზემო ქართლითგან საავალიშვილოთგან—500 სული და ქსნის საერისთავოთგან 1000 სული. ერთის დღის განმავლობაში 500 ქალი და ბაღლი ამოწევეტილ იქმნა. ვისაც არ შეეძლო, სმარსელებს გაჭედილდა, ცხვირსა და ყურებს სჭრიდნენ ქვეყნის სრულიად დამორჩილების ნიშნად. ეს იყო მხლოდ ათი წლის ხოცვა ყლეტის ამბავი! რამდენი ასეთი წამება მიუყენებიათ კიდევ ქართველთათვის არაბებსა და მუღალებს სმარსელ ოსმალთ გაბატონებამდე, ან ამ ორ ხალხს კიდევ მათ შემდეგ, ენა ვერ გამოსთქვამს, კლავი ვერ ასწერს. ამიტომ მართალი ყოფილა ის ქართველი მღვდელი, რომორც თქმელი *) მრწმუნე გვიამბობს, რომელიც მოსახალაგ ბავშვებს არქმევდა ყოველ ქართულ სახელს, რომორც წმინდანისას.

პეტრე მირიანიშვილი

*) იხ. თემი 1913 წ. მარტი 11.

ბ-ნ პ. მირიანიშვილის „შინაურ მიმოხილვა“-ში შემდეგი კორექტურული შეცდომებია:
 მე-303 გვერდზე მერე სვეტზე არის: თქვენი ქებანი ვისმინე. უნდა იუვენს: ვთქვენი ქებანი ვისნი მე. მე-304 პირველ სვეტზე არის: რაც შეეხება ვეფხის ნაწარმოებს—ტუა-ოსნის გაგრძელებას, ნანუჩა ციციშვილის სამსიოდე ტავს. უნდა იუვენს: რაც შეეხება ვეფხის ტუაოსნის გაგრძელებას, ნანუჩა ციციშვილის ნაწარმოებს.



ფიზიკური შრომის მნიშვნელობა აღზრდის საქმეში

(ახალი ჰელაგოგია)

ქმ 25.—30 წლის წინათ დასავლეთ ევროპაში, და 10 წლის წინათ რუსეთშიდაც პედაგოგიურმა ჟურნალებმა და აგრეთვე დღიურ პრესამაც ხმა ამოიღეს მომავლის თაობის ისეთ აღზრდაზე, რომლის საფუძველიც უნდა იქნეს დამყარებული ფიზიკურ შრომის პრინციპებზე. პედაგოგიკის ამ საკითხმა დააინტერესა როგორც პედაგოგები და ჟურნალისტები, აგრეთვე ფართო საზოგადოებაც, ამისთვის არ იქნება ზედმეტი, თუ ჩვენი პედაგოგიურ ჟურნალის მკითხველების ცოტაოდენ ყურადღებასაც მივაქცევთ ამ საკითხს.

ბევრს ჰგონია, რომ შრომის პრინციპებზე აღზრდა ახალი იყოს და გამომდინარეობდეს ექსპერიმენტალურ პედაგოგიისაგან; მაგრამ ეს ასე არ არის; იდეა ამ ნიადაგზე აღზრდის არა ახალია—ძველია, სულ ძველ ეპოქებში ხომ მარტო შრომის საშუალებით სწარმოებდა აღზრდა; მომავალი თაობა ფიზიკური ვარჯიშობით ეჩვეოდა ისეთ შრომას, რომელსაც ეწეოდნენ დიდები, მაგ. ნადირობას, მეთევზეობას, იარაღის ხმარებას და სხვა. —ძველი ბერძენთა ფილოსოფოსების ნაწარმოებშიაც არის გატარებული აზრი, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომას აღზრდის საქმეში; „ყველა მამა ვალდებულია ასწავლოს თავის შვილს რომელიმე ხელობა, შეაყვაროს შრომა; მამა, რომელიც ამ მოთხოვნაზე გვერდს უგდის, აყენებს თავის შვილს ცუდას და ავაზაკურ გზაზე“ და სხვა ბევრ ასეთს პედაგოგიურ აზრებს შეხვდებით ბერძენთა ფილოსოფოსების პედაგოგიურ

ნაწარმოებში. მაგრამ ასე შორს წასვლაც არ არის საჭირო, საკმარისია თუ გინდ დავიწყოთ უკვდავ პედაგოგ ამოს კომენსკიდან; მისი აზრით აღზრდის დროს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს შრომაში ძვლების ვარჯიშობას: „მაგრამ ხელების ვარჯიშობისათვის საკმარისი არ არის მარტო წერა და ხატვა—ხაზვა; ბავშვები ყოველთვის მუშაობენ, აკეთებენ რასმე და თან, როცა ხედავენ თავიანთი ხელით გაკეთებულ საგნებს, მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს“, ამბობს ამოს კომენსკი; ცუდი ნიშანიაო, ამბობს იგივე პედაგოგი, თუ ბავში პატარაობიდანვე ხელდაკრეფილია და არა აქვს ხალისი ფიზიკური შრომისაო, რომელიც გამოიხატება პირველ ხანებში მიწიდან სხვა და სხვა სათამაშოს გაკეთებაში. რუსსო ხომ სულ წინააღმდეგია იმისა, რომ მოწაფემ ცოდნა ამა თუ იმ დარგიდან შეიძინოს მშრალათ, სიტყვიერი გადაცემით; ის თხოულობს, რომ მოწაფეს თვითონ შეეძლოს გაკეთება იმ იარაღებისა, რომელსაც ის სარგებლობს. „ამღზრდელს უნდა ახსოვდეს, ამბობს რუსსო, რომ მოწაფე ერთი საათის ფიზიკური შრომით უმფრო მტკიცეთ, მეტ ცოდნას შეიძენს, ვიდრე ერთი წლის განმავლობაში წიგნებისა და სიტყვიერი გადმოცემის საშუალებით“. ცხადია, რომ რუსსოს მიაჩნია ხელით ფიზიკური შრომა, როგორც საუკეთესო საშუალება აღზრდისათვის, განსაკუთრებით სულიერი აღორძინებისათვის და განმტკიცებისათვის. ფილანტროპისტები, რომლებმაც დაარსეს თავიანთი სკოლები, იყვნენ რუსსოს იდეის გავლენის ქვეშ და ცდილო-

ბდნენ თავიანთ დაარსებულ სკოლებში გაეტარებინათ რუსსოს იდეია ფიზიკური შრომის შესახებ და ამ მიზნისათვის პირველი ადგილი დაუთმეს სკოლებში ხელით შრომას; ბავშვებს ზოგს კალათას აწვენენებდნენ, წოგს ხის ავეჯეულების მოდელებს, ზოგს თიხის ჭურჭლებს აკეთებინებდნენ და სხვა. „გამოცდილებამ დამარწმუნაო, ამბობს ერთი უფრო გავლენიანი ფილანტროპისტი ზალცმანი, რომ თუ გინდათ ყმაწვილი აღზარდოთ კარგ ნიჟადაგზე, ოთხი წლიდან უნდა დააწყებინოთ მას ხელით მუშაობა; ზაფხულობით უნდა ამუშავოთ ბაღებში და ბოსტნებში, ზამთრობით კი უნდა აკეთებინოთ სათამაშოები და სხვა.“ პესტალოციც ხომ ლაღადებს ფიზიკური შრომის მნიშვნელობის შესახებ; „შრომა და შრომის მოყვარეობა ავითარებს ჭკუა-გონებას, ამაგრებს გრძნობებს, ინახავს კაცს სულიერი სისუსტისაგან; ამისათვის სკოლებში უნდა იყოს საქსოვი, საღურგლო და სხვა ასეთი სახელოსნო განყოფილება“ ამბობს პესტალოცი; მისივე აზრით მოწაფის სულიერ თანდათანობითს განვითარებას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კავშირი ფიზიკურ შრომასთან. დიდებული თეორიტიკოსი პედაგოგი ჰერბატიც სცნობდა ამღმზრდელობითი მნიშვნელობას ფიზიკურ შრომაში. „თუმც ენის საშუალებით განვითარდა ადამიანი და გახდა მეფე ცხოველთა სამეფოსი, მაგრამ ხელებს, ფიზიკურ შრომას არა ნაკლები ადგილი უჭირავს კაცობრიობის განვითარებაში“ — ამბობს გერბატიც; — პსიხოლოგიური თვალსაზრისით სხვა და სხვა სახით ფიზიკური შრომა აღვიძებს და ანვითარებს ჩვენს პსიხიკის ელემენტარულ

რულ ფუნქციებს, რომლებსაც დაარსებობის მნიშვნელობა აქვს ჭკუა-გონების პროცესის განვითარებაში.

ამგვარად ჩვენ დავინახეთ, რომ კიდევ სამი საუკუნის წინეთ, დაწყებული კომენსკიდან ყველა კუთხის პედაგოგები ქაღაგებდნენ იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომის პრინციპებზე დამყარებულ აღზრდას; მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პედაგოგიკის საღს მიმართულებას დღემდის კიდევ ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება; მხოლოდ ამერიკაში უნდა ჩაითვალოს ეს საკითხი ნახევრათ მომწიფებულად, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი; შრომით აღზრდის პრინციპს ამერიკაში იცავენ ეკსპერიმენტალურ პსიხოლოგიისა და პსიხოლოგიურ პედაგოგიკის წარმომადგენლები. შრომის სკოლების რიცხვი დღითიდღე იზრდება ამერიკაში; მარტო ნიუ-იორკში და ჩიკაგოში შრომის სკოლების რიცხვი 250-დის აღის; გარდა ამ სპეციალურ შრომის სკოლებისა დაბალ და საშუალო სასწავლებლებში საკმარისათ ფართო ადგილი უჭირავს ფიზიკურ შრომასაც.

საჭიროა ჩვენმა სწავლა-განათლების სათავეში მყოფმა მამებმაც მიაქციონ ყურადღება ფიზიკურ შრომას და ეს საღი სული პედაგოგიკისა ჩვენ სკოლებშიაც შემოიტანონ; მაგრამ რას უნდა გამოველოდეთ ისეთ „მამებისაგან“, როგორც არის ცნობილი ტერ-გასპარიანცი და ძმანი მისნი, რომლებსაც პოლიტიკანობის მეტი არაფერი აგონდებათ და პედაგოგიურ ანბანურ ჭეშმარიტებასაც გვერდს უვლიან.

გრ. საქარქედელი.

ოჯახური აღზრდა

როცა რომელიმე კაცი ცუდ საქმეს ჩაიდენს, ხშირათ იმ საზოგადოებას ვსდებთ ბრალს, სადაც დამნაშავე ცხოვრობდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებას თვითყელს თავის წევრზე აქვს აღმზრდელიობითი ვალენა. თუ საზოგადოება კეთილი და გონიერია, მაშინ ამ საზოგადოებაში იშვიათად გამოერევა ბოროტი ადამიანი. ხოლო თუ საზოგადოების უმეტესობა უზნეობის მორევში ცურავს, მაშინ მთელ საზოგადოებას ცუდი სახელით ვნათლავთ.

საზოგადოება შესდგება ცალკე წევრთაგან. ცხადია—მთელი საზოგადოების სიკარგე თუ სიავე ამ საზოგადოების შემადგენელ წევრებზეა დამოკიდებული.

როგორია ჩვენი საზოგადოება და მისი წევრნი?

ზნეობა ადამიანის უძვირფასესი, დამამშვენებელი სამკაულია. უზნეო ადამიანი ყველას შხამის შემსმელია. სწავლაზე უფრო ზნეობაა საჭირო. უკეთესია უზნეო ადამიანს ცოდნა არა ჰქონდეს, თორემ ის ამ ცოდნას სხვათა კეთილდღეობის ძირის გამოსათხრელად მოიხმარს. უზნეოს ხელში ცოდნა ისეთივეა რაც ბავშვის ხელში ბასრი დანა:—შესაძლოა ამ დანით ბავშვმა ან თავისი თავი დაისახიროს, ან სხვას მოუსპოს დღე! ადამიანში პირველათ უნდა ვეძიოთ ზნეობა. თუ კი ზნეობა არ ამშვენებს რომელიმე კაცის სწავლა-ცოდნას, ეს კაცი მაშინ საზოგადოების მხოლოდ მავნე წევრად უნდა ჩაითვალოს.

ფლიდობა, ცბიერობა, ორპირობა, გაუტანლობა, შური, მტრობა, ანგარეობა, ან სხვა ბიწიერებანი... აი, ვისაც ეს ჩა-

მოთვლილი თვისებები აქვს, იმას ყველა უზნეოს უწოდებს.

ახლა ვის არა აქვს ეს თვისებები?

ძალიან მინდა დავიჯერო, რომ საზოგადოების ნახევარი მაინც მოკლებულია ამ სამარცხვინო ნაკლს, მაგრამ მცირე სინამდვილე წინააღმდეგს მეუბნება და გულს ბოლმით მივსებს. სადაა კეთილი ადამიანი? სადაა კაცი, კარგი ზნეობით შემკული, დამშვენებული? სამწუხაროთ—ასეთებს იშვიათად ვხედავთ. ფლიდია მუშა, გაუტანელია მღვდელი. მატყუარაა... მასწავლებლებიც კი, რომელთა უმთავრესი ვალია ბავშვებს ზნეობა მისცენ, აი, ესენიც ჩირქს სცხებენ თავის სახელს... დიდებს ზნეობა გამოსცლიათ ხელიდან. ახლა პატარებსაც მივხედოთ! როგორიც მამა, დედა— ისეთი შვილი! რამდენი ბავშვია მატყუარა, რამდენი ზარმაცი, ვინ ქურდობს. ვერც მოწაფეები ასცდენიან ხიფათს: ვინ ღვინით თვრება, ვინ პაპიროზით იწამლავს სხეულს, ზოგი მწარე სენით შეპყრობილი, მშობლებისგან გამოგზავნილ ფულს სააქიმოში ხარჯავს!.. შეუძლებელიცაა, რომ მაშინ როცა დიდები უზნეობას ეწევიან, ყმაწვილები კეთილათ ცხოვრობდნენ. როგორც დაწმენდილი ტბის გულზე იხატება სახე წყალში გადამყურე ხეებისა, ისე ბავშვთა ნორჩ ბუნებაზე ისახება და შემდეგ აღუგველ დაღს სტოვებს ზედ ბიწიერება.

დღევანდელი საზოგადოების წევრები რომ კარგი ზნისანი ყოფილიყვნენ ბავშვობა—ყმაწვილობის დროს, ახლა ასეთები არ იქნებოდნენ. კაცში სიცუდე იბუ-

დებს უცბათ კი არა—თანდათანობით. დასაწყისი ყოველი ბიწიერებისა უნდა ვეძიოთ ბავშობაში, სიყმაწვილეში და მემკვიდრეობაში. ბავშვი, თავისი ცხოვრების პირველ ხანებში, გამხვალ სანთელს ჰგავს, როგორც ამ სანთელს, შეგვიძლიან მივცეთ ესა თუ ის სახე, ფორმა, ისე ბავშვისგან შეგვიძლიან გამოვიყვანოთ კეთილი თუ ცუდი ადამიანი, იმის მიხედვით, თუ რაგვარ მემკვიდრეობის პატრონია იგი. გონივრული აღზრდით ბავშვს ადამიანად გავზდით და მემკვიდრეობით თანდაყოლილს ცუდს მხარესაც შევეუსუსტებთ, დაუდევრობით კი სულს და გულს მოვუწამლავთ, საზოგადოების მავნე წევრათ შევქმნით. და დღეს განა ცოტაა საზოგადოების მავნე წევრი? მერე რა არის ამისი მიზეზი? აი — რა: ამ მავნეებს არ მიუღიათ შესაფერი აღზრდა, არ ჩაუნერგავთ მათ გულში კეთილშობილური გრძობა და მისწრაფება შევნიერებისადმი. ამიტომაც გამოვიდნენ საზოგადოების უვარგის წევრებათ.

დიდი გავლენა ბავშვის ნორჩ ბუნებაზე აქვს დედას, მამას, ძმა-დებს—ოჯახს. თუ ოჯახი პატიოსანია, ნეტარება აქ დაბადებულ ბავშვს: — კარგ აღზდას მიიღებს და კეთილი კაცი გამოვა. მაგრამ თუ ოჯახის წევრთა შორის შებღალულია წმინდა გრძობა პატიოსნებისა და სიყვარულისა, მაშინ ბავშვები აქ კარგს ვერა-

ფერს შეიძენენ. ბავშვი ოჯახში დედამისთან ატარებს უკეთეს დროს თავისი ცხოვრებისას, ამიტომ მისი ხასიათი ექვემდებარება, ემსგავსება მშობელთა ხასიათს. მართალია, ბავშვზე ამხანაგებსაც დიდი გავლენა აქვს, თუ ბავშვი ცუდ ამხანაგს დაუმეგობრდა, თვითონაც გაცუდდება, მაგრამ აქაც მხოლოდ ოჯახს მიუძღვის ბრალი, რადგანაც მის ამხანაგს სიცუდე თან არ დაჰყოლია, ოჯახში შეიძინა.

ჩვენში, სამწუხაროთ, ნაკლებათ აქვს მიქცეული ყურადღება ოჯახურ აღზდას. მშობლები უვიცინი არიან აღზდის საქმეში. არ გაეგებათ, რომ მათ ცუდ მოქმედება-ლაპარაკს მომაკვდინებელი გავლენა აქვს პატარებზე. მშობლები ვერ იცნობენ ბავშვის ბუნებას, ამიტომაც ვერ აძლევენ შეილებს შესაფერ აღზდას, რათა ამ შეილებიდან გამოვიდეს არა მუქთა ხორა, ყველასათვის მავნებელი, — არამედ თავისი თავის და მოყვასთათვისაც სასარგებლო და სახელოვანი ადამიანი.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ჩვენს საზოგადოებაში ოჯახური აღზდის გონივრულს დაყენებას. ყველა მცოდნე პირებს მართებს ამაზე ხმის ამოდება, რათა, რაც შეიძლება დროით გარდიქმნას დღევანდელი სულის მომწამვლელი პირობები.

ვერასიმე.





სქესობრივი მომწიფება

ბავშვობას, სხვათა შორის, ის დამახასიათებელი თვისება აქვს, რომ სქესობრივი სფერა თავისი არსებობის შესახებ თავს არ იჩენს. მაგრამ სასქესო ცენტრები უკვე არსებობენ; ამათ მხოლოდ სძინავთ, და მათი გაღვიძება რომელსაღე ხელოვნურად გამოწვეულს ზოგიერთს შეხებითს შეგრძნებას შეუძლიან. თუ ასეთი შეხება არ ყოფილა, მთელს ბავშვობაში სასქესო ცენტრები არ იღვიძებენ სამოქმედოთ. მაგრამ დადგება თუ არა ესრედ წოდებული გარდამავალი ხანა, მცირე ხანში ბავშვი უკვე მოზრდილი ხდება ე. ი. მომზადებული სქესობრივი ცხოვრებისათვის. სულ 2—3 წლის განმავლობაში სასქესო სფეროების განვითარება სწრაფად სწარმოებს და ეს განვითარება თვალსაჩინოდ სცვლის ბავშვის ბუნებას, მისი სხეულის და სულის მდგომარეობას.

აქ არ გამოუდგებით იმ ყველას მიერ ცნობილს ცვლილებას, რაც ხდება ყმაწვილებისა და ქალების სასქესო ორგანოებში. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამავე დროს სხეულის ყველა ნაწილი განიცდის ამა თუ იმ ცვლილებას. ცვლილება ხდება სისხლის შემუშავებაშიაც, ამასთანავე ხშირად სისხლ ნაკლებულება და ხლოროზიც იჩენს თავს, გულის მუშაობასაც თვალსაჩინო უსწორ მასწორობა ეტყობა, საზოგადო ზრდაში და გულმკერდის უჯრედებშიაც წეს რიგი იცვლება და სხ. მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ცვლილება ბავშვის ნერვების სისტემაში და ფსიხიკაში ხდება. ამ გარემოებას ხშირად გამოჰყავს ბავშვები სწორ წონაობიდან და შეიძლება მას სხვა და სხვა გვარი სნეულებაც მოჰყვეს. ბავშვის

სულიერ მდგომარეობაში თავდაპირველად ემოციალურ სფერას მეტის მეტს სიჭარბეს ატყობთ და მასთან ერთად გონების განვითარებაში და მუშაობაში ხედავთ სისუსტეს და ენერჯის ნაკლებულობას. აქედან გამომდინარეობს დაშლა, დეზორგანიზაცია გონებითის ნიჭისა, გულისყური, ხალისი, დაკვირვება, მეხსიერება შესუსტებულია; სწავლაში წარმატებასაც კლებულობს. ნება შესამჩნევად სუსტდება; პირდაპირი შთაგონებისაკენ მისწრაფება კლებულობს, მრუდისაკენ—მატულობს; ხშირად ბიწიერნი მიდრეკილებანიც ვითარდებიან. სულიერი მდგომარეობაც ხშირად დიდს მერყეობაშია. ოცნება და ფენტაზია ხშირი სტუმარია. ხასიათის თვისებაც იცვლება, ხშირად მოუსვენარი, დაუდგარი და ცალმხრივია. ამ ხანაში თავხედობა, სიბრიყვე, გაუგონლობა ხშირია. ამგვარი სულიერ გარდაქმნის სურათი, რაც ყველას ერთგვარად არ ეტყობა, იძლევა მრავალ შეჯახების მიზეზებს მოზარდთა, აღმზრდელთა და მშობელთა შორის. და რავდენი დასჯა მოჰყვება ამ არსებობად ფიზიოლოგიურ პროცესებს, რაც ამ ასაკში ხდება!

ანგარიშს უწევენ აღმზრდელები იმ სულიერსა და სხეულის განცდას, რაც ზემოთ ავსწერეთ? ანგარიშს უწევს სასწავლებელი სასწავლო მასალის განაწილებით, მისი შინაარსითა და მოცულობით ბავშვის გარდამავალ ხანის ფსიხოლოგიურს თვისებას? არა: მატულობს მხოლოდ სწავლის ცუდი ნიშნები და დასჯა, რასაც გვიმტკიცებს. სტატისტიკური ცნობები.

გარდამავალი ხანის განსაკუთრებული თვისება მუშავდება ფიზიოლოგიისა და

ფსიხოლოგიის მიხედვით, მაგრამ ის სამეცნიერო ფაქტები, რაც ღღეს ხელთა გვაქვს, ცხოვრებაში გამოუყენებელია.

ყველა ზემოაწერილმა თვისებამ შეიძლება თავი იჩინოს უფრო სუსტად და ან, პირიქით, — მივიდეს ნამდვილ პატოლოგიურს მდგომარეობამდის. ამასთან ერთად გახშირდება დაფარული ბიწიერება და სხვა და სხვა გვარი არა ნორმალური სქესობრივი მიდრეკილება. ბოლოს გარდამავალი წლოვანება შეიძლება ძლიერ ადრე დადგეს, მის სიჩქარეს მრავალნი პირობანი უწყობენ ხელს. უმთავრესს როლს მემკვიდრეობა და ინდივიდუალობა ასრულებენ. ექვს გარეშეა, რომ სხვა და სხვა ხალხს სხვა და სხვა გვარი სქესობრივი ტემპერამენტი და სხვა და სხვა ხარისხის გრძნობიერება აქვს. ეს თვისებები ბავშვებშიაც თავს იჩენენ. იმ წლოვანებაში, რომელიც ზემოთ დავასახელებთ, ბავშვი სქესობრივს ინსტიქტებს ჯერ კიდევ მოკლებულია, ზოგიერთი ბავშვები კი უდროოდ იჩენენ მეორე სქესისადმი მიდრეკილებას: პატარა ყმაწვილები სურიოზულად ეარშიყებიან პატარა ქალებს, პატარა ქალებიც ნამდვილ კოპწიაობას და სიკეკლუცეს იჩენენ. შემდეგ აღმზრდელობით და ჰიგიენურს მრავალ პირობებსაც აქვს დიდი მნიშვნელობა. ძნელი ჩამოსათვლელია ყველა ამის შესახები მოთხოვნილებანი. წესიერი ცხოვრება, თავის დროზე საკმარისი ძილი, უკუგდება ისეთი საქმელისა, რასაც გამაღიზიანებელი თვისება აქვს (მაგარი სასმელები, მოხარშული შოკოლადი, ტკბილეულობა, მხურვალე საქმელები, მომეტებული ხორცეულობა და ნანადირევი და სხვ.), სხეულის გამაგრება და ცივი ჰაერისა და წყლის ატანის მიჩვევა, სათუთობის პირობათა მოსპობა (ლოგინი, ტანისამოსი, ოთახის

ტემპერატურა), გონივრული ფიზიკური ვარჯიშობანი, თამაშობა და სხვ. და ბოლოს ქალებისათვის სიფრთხილე თვიურის დროს — ეს არის უმთავრესი ჰიგიენიური რჩევა — დარიგება, რომელიც ჩვენს საკითხს შეეხება, იმათში, რაც მე ჩამოვთვალე, ყველაზე უფრო საყურადღებოა ბრძოლა მაგარი სასმელების წინააღმდეგ, რადგანაც ლოთობას უფრო მოსდევს სქესობრივი ლტოლვილება და ამასთან იგი ასუსტებს შემაჩერებელ ცენტრებს და დამიანს ნებასაც უსუსტებს.

საგნის აღმზრდელობითს მხარეს მე არ ვეხები, რადგანაც ეს ამ მოხსენების პროგრამაში არ შედის.

უნდა გავაცნოთ ბავშვები სქესობრივი ცხოვრების არსებითს მხარეს თუ არა? საზოგადოთ ეს გაცნობა ხდება ბავშვებში ერთმანეთისაგან და მასთან ასეთს „გაკვეთილებს“ შემაცდენელი და გამხრწნელი მიმართულებაც ეძლევა; უეჭველია, უკეთესია ეს საიდუმლოება ბავშვმა მოზრდილებისაგან ადრე გაიგოს. ვიდრე ტოლამხანაგისაგან. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? ბევრნი ამბობენ რომ ბავშვების მიერ პოპულალურად დაწერილი წიგნების კითხვა სქესობრივი საკითხის შესახებ მანებლად მოქმედებს მკითხველზე და პირდაპირ წინააღმდეგ შედეგებს იძლევა. სასწავლებელში ასეთი გაცნობა ძნელია: დიდი ნიჭი და უნარია საჭირო, რომ კლასში კარგად ჩაატარო ასეთი საუბრები. სჩანს ასეთს რთულს საქმეს მხოლოდ მშობლები შეასრულებენ.

გადავდივარ გარდამავალ წლოვანების ბოლოში. განიცდის თუ არა იმ ღელვას, რაც ზემოთ ავსწერეთ, მდინარე ისევ კალაპოტში მოჰყვება. ჩნდება განსაკუთრებული ტალღა სიჭაბუკის ენერჯისა, ცნობის მოყვარეობა ძლიერდება, ფარ-



თავდება და მიიმართება უფრო საზოგადოებრივის საკითხებისკენ, ჩნდება კითხვები ცხოვრების მიზნისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ, შემუშავდება იდეალი, გამოჩნდება განსაკუთრებული მისწრაფება საზნეობრივო საკითხებისკენ, საზოგადოთ სიმართლისა და უფლების გრძნობა გააქვავდება, აღმოჩნდება ბრძოლის გამირობისა და სახელის მოხვეჭის ძიება და სხ. ამასთან ვაჟები და ქალებიც ეძებენ თავიანთ იდეალს მეორე სქესში, მიაწერენ თავიანთ გამირობებს არ არსებულს ღირსებას. მაგრამ ეს ჭაბუკთა ძალების აყვავილების სურათიც აღზრდის პირობათა და გარშემომყოფთა წყალობით, რომლის შესახებ არას ვიტყვი, ბევრს უმახინჯდება. სქესობრივი გაღვიძებული ინსტიქტი, მოკლებული იდეალისტურ განცდას, შეცდომისკენ მიათრევს ჭაბუკს. აქ კიდევ დაერთვის ფიზიოლოგიური პროცესები, რომელიც მოაგონებს ჭაბუკს, რომ იგი უკვე მომწიფებულია სქესობრივის მხრით. მაგრამ მოწიფულობა კიდევ არ ნიშნავს სქესობრივი ცხოვრების უსაქიროესობას. 1905 წელს იაკობსონმა გამოაქვეყნა საყურადღებო შედეგი სქესობრივი საკითხის შესახებ. ფიზიოლოგიის, ჰიგიენის, ვენერიულის, შინაგანის, ნერვებისა და სულით ავადმყოფების 77 პროფესორთაგან რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში და 130 პროფესორთაგან გერმანიაში ყველამ ერთხმად აღიარეს სქესობრივი თავშეკავების უვნებლობა ჭაბუკთა სრულს წლოვანებადის, ასეთი თავშეკავება უმრავლესობას დიდებისათვისაც უვნებლად მიაჩნია.

მე აქ ზნეობრივ მხარეს არ ვეხები, მაგრამ ჰიგიენიურის მხრითაც არ შემიძლიან არ აღენიშნო, თუ რამდენი სამწუხარო შედეგი, რამდენი სნეულება მოჰყვება უდროოდ დაწყებულს სქესობრივ ცხოვრებას.

სქესობრივი მომწიფების მთელი პროცესის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თვითოეული კაცი და ქალი მას თავისებურად განიცდის. ზოგისთვის ეს ხანა სრულიად არ ითხოვს განსაკუთრებულს ზომებს. სქესობრივი მომწიფების ჰიგიენა თავისთავად არც კი არსებობს. საზოგადო ნორმალური ჰიგიენის და გარშემო არსებულის ზნეობრივისა და გონებრივის პირობათა უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე სპეციალად გამოცალკეებულს სექსუალურს ჰიგიენას. რამდენადაც ჭაბუკები და ქალები გონებრივის ინტერესის უკეთესს ატმოსფეროში იქნებიან, რამდენად წესიერი და შინაარსთანია მათი დასვენების დრო, რამდენადაც უკეთ კმაყოფილდება მათი მოთხოვნილება ურთიერობისა, დროს გატარებისა, გამაფაქიზებელ კითხვისა, რამდენადაც უფრო წმინდა ზნეობიანი და ფაქიზია ის ხალხი, რომელიც ბავშვებს გარშემო არტყია, — იმდენად უფრო ვუახლოვდებით ჩვენს საკითხის გადაწყვეტას და აღმზრდელისა და ექიმის როლი უფრო კულტურულს წრეში გამოიხატება იმ პირთა ზრუნვაში, რომელნიც მემკვიდრეობით და თანდაყოლილი თვისებებით, შესამჩნევ პატალოგიური თვისებისკენ მიდრეკილებას წარმოადგენენ. („Школа и жизнь“).

სამეცნიერო მიმოხილვა

სხვა და სხვა გვარ ცხოველების ცხოვრებიდან

ძლიერ ხშირად მრავალნი პირნი ისე
ესაღებებიან ამ წუთის სოფელსა, რომ მთელს
თავის სიტყვებში არ აქცევენ არავითარ უ-
რადღებსა არა თუ ცხოველების, არამედ ადა-
მიანთა ცხოვრებასაც. — ახლა გაცნობა ცხო-
ველებისა და მცენარეების ცხოვრებისა, რომე-
ლიც გვიხსნის ჩვენ გონებასა, ამაზედ ეჭვი
არ არის, მაგრამ ამ გაცნობაში პირველი და
უმეტესი ალბი უნდა ეჭირდეს მასწავლებელ-
თა, რომელთაც დიდი დახმობა აქვთ მოწა-
ფეებთან და ბუნებასთან. არც ერთი წიგნი,
არც ზეპირ-მოთხრობა არ განავითარებს მის-
წავლეთა გონებას ისე, როგორც დახმობეუ-
ლი შესწავლა ბუნებისა თითონ ბუნებისავე
წიგნი. ქვევით მოყვანილი მაგალითები სხვა
და სხვა გვარ ცხოველების ცხოვრები-
დან ხათლად გვიჩვენებს, რა შესანიშნავი თვი-
სება ქცნით არა თუ შინაურს, არამედ გა-
რეულ ცხოველებსაც. ამ თავისებებებში ნასწავლი
პირებიდან, უმეტეს ბუნების მეტეფელთაგან,
შენიშნულნი არიან არა თუ ის ცხოველები,
რომელნიც თავის აგებულებით ძლიერ დახ-
მობულნი არიან ადამიანებთან, როგორც
მაგალითებ სხვა და სხვა ჯიშის მაიმუნები,
არამედ ისეთი ზაქარის მწერებიც, როგორც
ბუზი, ფრთხარი, ჭიანჭველასა და სხვანი. ამ
ცხოველების თავისებებებში უმეტესად უურადღე-
ბის დიქსია: მათი ჭკუა-გონება, სხვა და სხვა
გვარი მათი მანქანება და ცბიერება, სიყვარული
წმინდათ ცხოვრებისა, დაკვირვება, სხვა და
სხვა გვარი ხელფანება, მესიერება და სიყვარ-
ული სამშობლოსი, მიმბაძველობა, სიყვარუ-
ლით შურის ძიება, მეგობრება, ერთგულება,
თავის განწირვა, კეთილი საქმის დაუვიწყრო-

ბა, საკუთრების დაცვა, წინასწარმეტყველება,
გულ-კეთილობა და გულ-მტკივნეულობა, კე-
თილმობილება, გულმანკიერობა, დაგლანაკება,
ერთმანეთის დანმარება, სიცილი, ღი-
ნი და ქეიფობა, ერთად დროს გატარება,
თავის მოკვლა, ღაზარაკის ნიჭი, სიმთვრადე,
თამბაქოს სიყვარული, მაგარი სასმელების სმა,
სხვა და სხვა გვარი სხეულება, ტირილი,
ეჭირობა, სიკვდილი, დასაფლავება, ჭირისუფ-
ლების მწუხარება, ქურდობა და სხვა და სხვა
გვარი ბოროტება, სამართლის განება, განი-
ნების მოყვანა სისრულეში და სხვანი.

მრავალნი ამტკიცებენ, რომ ვითამც ცხო-
ველები მოკლებულნი იყვნენ მწუხარებისა და
ცრემლის დენას, მაგრამ ეგ აზრი ესლა ვერა
ჭმკვებს სიმართლეს მეცნიერთა შორის. ამას
გვიამტკიცებენ აგრეთვე ის მოგზაურები და
მხანდირები, რომელთაც ქცნით დიდი და-
ხმობა სხვა და სხვა გვარ ცხოველებთან.
მათის აზრით — ცხოველები ცრემლს აფრქვე-
ვენ დიდის მწუხარებისა, ან დიდის ტკივი-
ლისგან. მაიმუნი სტირის, როდესაც ძლიერ
აწუხებს ტკივილი რაიმე სახსრისა, ჭრილობა
და ჰატრინის უწყალო ცემა. ჰატრინეული
ბუნების მეტეფელი, ბატონი გუმბოლი
ამბობს, რომ ზაქარისა და დიდი მაიმუნები
მამინაც სტირინან, როდესაც მათ აჯავრებენ,
ან აშინებენ. ამხანაგების და განსაკუთრებით
საკუთარის შვილების სისუსტე და მწუხარება
მეტად აწუხებს მაიმუნებს. რომელიმე მათ-
განი მდულარე ცრემლსა დგრის ჩუმად და
ზოგიც ხმა მადლა. ამ გვარი მაგალითები
ხშირათ მოყვანს ბრემსაც თავის შესანიშნავ
ნაწარმოებში — ბუნების ისტორიაში.



მწესნარებს და მღვდარე ცრემლის ღვრას არ არის მოკლებული ისეთი უზარ-მზარნი ცხოველები, როგორც არის სპილო. როდესაც ერთი სპილო დაიჭირეს, შეჭკერეს მაკანის თაყობითა და მან, რაკი სცნო რომ ვერ წაუვა მონადირეებს, მოჭყვა ცრემლის ღვრას. თრივე თვალებიდან გადმოდიოდა ღვრებიც ცრემლის ღვარი. სპილო სტირის აგრეთვე მძიმე ჭრილობის გამო და მაშინაც, როდესაც გრძობს სიკვდილის მოხლოებას.

მრავალნი მოგზაურნი ამწმებენ, რომ უდაბნო ალაგებში დიდის ტვირთისა და დღეობის გამო საბრალე აქლებები სტირის გულ-მისკლავად. დათვიც სტირის, როდესაც გრძობს დიდს ტვირთებს ჭრილობის გამო. შესანიშნავი ინჯლისელი მოგზაური **ლივინგსტონი** ამბობს, რომ შელის ტირილი ძუძუ-მწვარა ბავშვის ტირილსა ჭკავს. არც ჩვენი ცნობილი ტურები დაუარადებინ ამ ტირილში ლივინგსტონის შელაობსა.


სტირის აგრეთვე ირეში, შეელი, არჩვი, როდესაც მათ ეტემა მეხივით უწვალე მონადირის ტყვია. მშვენიერი აწერილობა ამგვარი ტანჯვისა და ცრემლის ღვრისა აქვს ჰატიტემულს ჩვენს სახელოვან მწერალს ბატონს **ვაჟა-ფშაველას**, რომლის სათაური არის: „ნუგის მწესნარება“. სტირის აგრეთვე საბრალე ჩვენი მშობარი კურდღელი. უმეტეტეს გასაკვირი ის არის, რომ ამ ცრემლით ტირილში დიდი ალაგი უჭირავს ჩვენს გაცნობილ დაბერებულ ვირ-თავგასა, როდესაც ის უცქერის თავის ამხანაგების მწესნარებს და უმეტეს, როდესაც რომელიმე მათგანი მასეში ებმება და იქ იტანჯება. ხობს, ძრახის, ხარის და ძაღლის ტირილი ბევრს უნახავს და ამასევე ბევრი ბასი სჭირდა არ არის. ჩვენ თითონ არა ერთხელ გვინახავს, როდესაც მოყვანილი ძრახები და ხარები ბდავილით დასცქერან იმ ალაგს, რომელიც მარწყული

იყო მათი ამხანაგების სისხლიანს გვინახავს ისიც, როდესაც მოწამლეულ ძაღლს სხვა ძაღლები გაკრემო უსდნენ და მწესნარების თვალთ უცქერდნენ მათი მოძიის უცნაურ თრთოლას.

ტირილი და ცრემლის ღვრა უმეტესად არსებობს იმ ცხოველთა შორის, რომელნიც სცხოვრებენ ჩრდილოეთის მხარეში, სადაც მონადირეები უწვალეთ ხოცვენ ზღვის ძაღლსა და სხვა და სხვა გვარ ცხოველებს. ზოგი მონადირე ვერ ითმენს და თავს ანებებს ნადირობას, რადგანაც მათ გულს უკლავს დედების ცრემლით თხრება, რომ შეიბრალენ მათი აწაწინა შეილები. მძიმედ დაჭრილი დედა თათს იშვერს ზემოთ, რომ იხსნას მონადირესგან თავის შეილები. ავსტრალიაში მონადირეები ხშირად აგრავებენ ცხოველების ცრემლს საჩუქრად თავიანთ მოჯნურებისა, რომ ამით მოეტენ გულში მეტი სიყვარული. ამ გვარ ტირილში შემხნეულია ზღვის დორიც, რომელიც სიკვდილის დრეს კენესის და უწვალედ ცრემლს აფრქვევს. ნიანგი ხშირად სტირის წვალში შიმშილისა გამო, როგორც ბავშვი. ხანდახან ცრემლის მაგივრათ რომელსამე ცხოველებს თვალებიდან გამოსდის წითელ-წითელი სისხლი.

რაცა შეეხება ცხოველების სიცილსა, მას ამტკიცებენ ისეთნი მეცნიერნი, როგორც **ლარვინი**, **ტისსანდიე** და სხვები. მათი დიმილი, მხიარული სახე, სიხარული, კუდის ქევა, კბილების დამშვლება—სულ ესენი ამტკიცებენ მათ სიცილსა. მართლაც, ისე ხმა მადლა არ შეუძლიათ მათ გაიციონ, როგორც იციან ადამიანები, მაგრამ იმათი მხიარული სახე და მიხრა-მოხრა ნათლად გვიჩვენებს მათ სიცილსა.

ვინ იფიქრებდა, რომ გულ-კეთილობა და გულ-ამტკივნეულობა შეადგენდნენ ცხოველების თვისებას. მაგრამ ესეა მეცნიერებმა მრავალ-



ღის მაგალითით დაგვიმტკიცეს, რომ ამგვარი თავისება ცნობილთა შორისაც სუფივეს.

მონადირეები სხილს დასტკეპათ ხშირად ხმარობენ ღრმა ორმოსა, რომელსაც ზედ აღებენ ფოთლებს და წყნელს, თითქმის იქ არაფერია. აფრიკის ცნობილს მოგზაურს **ჯონსტონს** თვითონ თავის თვალთ უნახავს, რომ მოგზაურებულან სხილთები ორმოსთან და იქიდან საბრალთ ორმოში ჩავარდნილი მათი გულ-დაღონებული ამხანაგი ამოუყვანიათ. მეორე მოგზაური და მონადირე ამბობს, რომ ორი სხილთ ჩავარდნილიყო დიდ ორმოში. როდესაც ერთმა იმათგანმა, როგორც იყო, თავი დაიხსნა ამ მდგომარეობისგან, მაშინვე მიჰყო სული ამხანაგის განთავისუფლებასაც და მინემ არ ამოიყვანა, ის ორმოს არ მოშორებია.

ცნობილს მეცნიერს და მოგზაურს სხვა და სხვა ქვეყნებში ბატონს **გუტოს** მიჰყავს თავის მოთხრობაში ერთი საოცარი სანახავი: თვალხილული ძროხა ისე უფლიდა ბრმა ძროხას, თითქმის მისი შვილია. შორიდგან ვერც კი შენიშნავდით, რომელი მათგანი იყო ბრმა და რომელი თვალ-ხილული, რადგანაც ბრმა ძროხა ეკვრებოდა თვალ ხილულს და ეტრე დადიოდენ საქმეებზე და სანმელზე.

ვინ არ იცის ჩვენი ღორების ქვითქვითი, როდესაც მათგანს რაიმე შწუნარება შეხვდება. საზოგადოდ მათ არა აქვთ ერთი ერთმანეთში გულ-კეთილობა, მაგრამ როდესაც რომელსამე მათგანს უბედურება ეწვევა, მაშინ ყველა მხრიდან მობრბინ ღორები და სცდილობენ უშველან თავის გაჭირვებულ მოძმეს.

აი რას ამბობს ერთი მონადირე, რომელიც უფთილა ჩვენს კავკასიის მხარეში: „როდესაც ტყეში შეუშვით ძაღლები გარეულ ღორების გამოსარეკად, ამ დროს დავინახეთ, რა დიდ ღორს კბილებში ეჭირა ვეებერთელა კეტი და მოდიოდნენ: როცა მონადირეებმა ესროლეს თ-

ფი, ერთი მათგანი დასტკეს და გაიქცა; მეორე კი დაეცა დედა მიწასად. როდესაც დაცემულ ღორთან მივედით, ვნახეთ რომ ის ორივე თვალებით ბრმა იყო. ტყვეა კი არ მოხუდროდა“. განა ამ გვარნი მაგალითი არ ამტკიცებს მხედის გულკეთილობას? მინემ არ დაჰკადეს, თვალ ხილული ღორი, არ ეშვებოდა საბრალთ თავის ბრმა ამხანაგს.

ძაღლების ცნობრებაში მრავალი მაგალითია, რომელიც ამტკიცებს მათ გულ-კეთილობას და გულ-შტკვირეულობას. ჩვენ სულელად მიგვანია ჩვენი ცხვარი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ერთმა ცხვარმა იმოდენი სდია ერთს მოგზაურს, რომ იგი უნებლიეთ უკანვე დაბრუნდა და გაჰყვა გამწარებულ ცხვარს. ერთ ალაგზედ მოგზაურმა მართლაც ნახა, რომ ამ ცხვარის ამხანაგი ღრმა რუში ჩავარდნილიყო და იქედგან. ვერ ამოსულიყო რასაკვირველია, მოგზაურმა იმავე წამს ამოიყვანა რუში ჩავარდნილი ცხვარი და უნდა გეტქვინათ, რა სიხარულით გაიქცნენ ორივე თავის ამხანაგების დასაწევათ.

ორ ძაღლს, სხვა და სხვა ჯიშისას, დიდი შტრობა ჰქონდათ ერთმანეთისა და მუდამ ბრძოლაში იყვნენ. ბრძოლის დროს მდინარის მახლობლათ ორივე წყალში ჩავარდნენ. ერთი მათგანი, როგორც კარგი მტურავი, მალე გამოვიდა წყლის ნაპირზედ, მაგრამ რაკი დაინახა, რომ მისი მტერი იღუპებოდა, იმ წამსვე შეტობა წყალში, დაატრინდა კისერზედ ძალა-მიხდილს მის მტერს და ნაპირზედ გამოიყვანა. შემდეგ ორივე ერთმანეთის განურყელი შეკობრები იყვნენ.

ხშირათ შეუმჩნევიათ, რომ განებოვრებულ კატას საჭმელი მიჰქონდა დაღონებულ და ავადმყოფ კატასთან. თაგვების გულ-კეთილობაზედ ბევრი მოთხრობა არის. ბრმა და ავადმყოფს თავის არა დროს არა სტკვირებს თავისი ამხანაგები—არც მოგზაურობაში და არც—შიშინობის დროს.



ადამიანები ვერ იხიენ იმ გულ-კეთილობას, რასაც ფრინველები. მაგ. როდესაც ერთს ეზომი დასწევდა სიკვამლე მამალი, დედები აუფანდენ და არ მიუშვებენ საჭმელზედ. საბრალო და უღონო მამალი მივიდა ჯაჭვით დაბმულ ძაღლთან, როდესაც ის მიერთებულა თავის სადილსა და მრისხანებით იტყვირებოდა აქეთ-იქეთ. ჯერ კი დაუწყო ღრინვა თავის სტუმრისა, მაგრამ, როცა დაინახა მისი სისუსტე, წამშივე დაუთმო თავისი კერძი. დაუთმო აგრეთვე ერთი თავისი კუთხე ღამის გასათევად. მოგვცათ ღვთის წყალობა, როდესაც მამალი მოჩნა და თავი დააღწია ავადმყოფობას, იგიმამინვე ქროფით მივირდა თავის უსინდისო ცოლებს და ისევე ძველებურად დაიმორჩილა ისინი. ცოლებსაც ზატიება სთხოვეს, მაგრამ მათი ცუდ გულბა მამალს ყოველთვის ახსოვდა და ბრახმორეული უტყვროდა ყველას. ყოფილა ასეთი მაგალითი: კატას ახრჩობდენ, მაგრამ ძაღლს გამოუხსნია ამ გვარი სასტიკის სიკვდილისაგან და ბოლოს ძაღლი და კატა გულთადაი შეგობრები გამხდარან. იყო მაგალითი, რომ თუბ მომტკრეული წიწილა კატას აუეგანია და უფლია მას, სანამ ის არ მორჩენილა. იყო აგრეთვე მაგალითი, რომ თუთიუშის აუეგანია დაჭრილი სხვა ჯიშის ფრინველი და თავის მფარველობის ქვეშ ჰყოლია, მინემ ის მორჩენილა.

დიდი მტრები იყვნენ ერთმანეთისა ყარყატი და უჩხი, მაგრამ, როდესაც ყარყატი დაბრმავდა, უჩხი შეიქმნა მისი ერთგული მეგობარი და შემწე.

იყო მაგალითი, რომ ახალ დატუსაღებულ შამსს კალაში უფლიდნენ ძველნი დატუსაღებულნი შამები და გულ-კეთილად აწვდიდნენ თავის ხვედრს საჭმელსა.

ხშირად ახალ გაზდა ბატი მიდის უღონო ბატის მისაშველებლად, რომელსაც არ შეუძლიან კვირცხებზე დაჯდომა და ტუტეულების

გამოხევა; კარეული ბატებიც ხშირად შეედიან მონადირის ხელით თავის დაჭრილ ამხანაგს.

დიდ გულ-მტკივნეულობას იხიენ ყვავები და ტილყვავები, მაგრამ უდიდესი გულ-მტკივნეულობა სუფევს ზღვის მერცხლებსა შორის: როდესაც ერთმა მონადირემ ისე დააშავა ერთი მათგანი, რომ ფრენა აღარ შეეძლო, მაშინ მივარდნენ მასთან თავისი ამხანაგები და ცხვირწინ გამოაცალებს მონადირეს მისგან დაშავებული მერცხალი.

ბრემს ხშირად უნახავს, კალაში დატუსაღებული ერთი ფრინველი, რომელიც ერთმანეთის ბრძოლაში იყვნენ. მაგრამ როდესაც ერთმა მათგანმა ფეხი მოიტყუა, მეორე შეხერდა, შესწუვიტა ჩხუბი და დიდს ამაგს უწევდა მის ავადმყოფს ამხანაგსა.

როდესაც წიწიანას (Синица) მოუკვდეს კალაში თავის ამხანაგი, მანაც დიდს ჯავრით მადე განუტევა სული. ეს ამბავი ემსგავსება იმ ზაწაწინა ლეკვას, რომლის სიკვდილმა ისე დააღონა ლომი, რომ დიდის მწუხარებით მანაც განუტევა თავისი სული.

ბედურებიც დიდად სწუხან, როცა უტყვრიან თავის დაჭრილ მოძმეს და უფრო დაბოლებულ ბარტყებსა.

უნახავთ ისეთი მაგალითიც, როდესაც წყაღილობის დროს გედს გადაურჩენია ვირთავა, რომელსაც სიცოცხლის გზა ფრინველის ზურგზე უბოვნია.

იყო მაგალითი, რომ ბაიუში ახა სცდილდებოდა მოსამსახურე ბიჭს, რომელიც თითის ტივილისა გამო ძლიერ სწუხდა და კვნესოდა. ბაიუშიც აგრეთვე კვნესოდა, უტყვროდა ავადმყოფს დაღვრემილის სახით, ახა სჭამდა და ახა სვამდა და მხოლოდ მაშინ მოვიდა გუნებაზე, როდესაც ავადმყოფს თითი მოუჩნა.

ჭიანჭველის გულმტკივნეულობაც შეინიშნულია. ისინი ახასოდევენ ახა სტოვებენ თავიანთ ავადმყოფებს უფურცადებოთ და უფრო იმათ, რომელნიც სხვა ჯიშის ჭიანჭველებთან ომში

ჭრილობის გამო მოკლებულნი არიან თავის მოვლას. მათ აქვთ თავის საყვადმოთფო, მათა ჰყავთ თავისი უკიშები და თუ ღმერთი გაწყურა და აყადმოთფმა სუფი დაღია, მაშინ თავის მკვდარს დიდის ამბით ასოფლავებენ.


ერთმა მეცნიერმა დაიჭირა ჭიანჭველა და ზედ დააღვა ჰატაკა კენჭი. ნახა რა ეს ერთმა მისმა ამხანაგმა ჭიანჭველამ, იმავე წამს აცნობა ამხანაგებს და ერთი ერთმანეთის დასმარებით სხვა გაათავისუფლეს კენჭის ქვეშ მდებარე ჭიანჭველა.

უკვლამ იცის, რაგორი გულ-კეთილნი არიან ფუტკრები. დიდ ბრძოლას უწევენ სხვა ჯიშის ფუტკრებსა, რადესაც მოდიან საქურდლად. მაგრამ თუ შეამჩნიეს, რამ მოსული უცხო ჯიშის ფუტკრები მართლა უღონო და დაგლა-

საკებულნი არიან, მაშინვე ეგვლახიან სიციხეებში ბენ მისცენ საზრდო საბრძლო გლახაკებს.

ესლა ვსთქვათ: ვინ უმჯობესია გულკეთილობაში, ადამიანი, თუ ბრახიანი მხეცი? მხეცი თავის მსხეკრძლს ერთს წამს ართმევს სიცოცხლეს. ხვენ კი ვსამოფნობთ განგრძობილის ხვენის მსხეკრძლის ტანჯვითა. მხეცი ართმევს სიცოცხლეს ან მამას, ან დედას, ან შვილსა; ხვენ კი ვიცით ტანჯვა მრთელი სახლობისა. მიბრძანეთ: რაში არიან დამნაშავეის საბრძლო ბავშვები, რამლის მამები, რამელთაც 20, 25 წელი უმსახურნიათ ერთგულათ მასწავლებლობის თანამდებობაზე, ესლა არიან დათხრენილნი და უწყალოდ იტანჯებიან?

კ. მაჭავარიანი.



წერილი რედაქციის მიმართ

ზასუხი („მფრინავი კატის“)

ბნო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე განმარტებას აღგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს ჟურნალში.

„განათლების“ II ნომერში ბ. რობერტმა გამომამხეურა დიდი ჯიხაიშის მასწავლებლების მიერ 81 წ. გეგმის ღალატი. მოველოდოთ იმათგან ამის შესახებ შესაფერ დასაბუთებულ განმარტებას; სამწუხაროდ ამის ნაცვლად ვხედავთ მათს ჭირის უფალს „მფრინავი კატის“ სახით მოვლენილს, რომელიც შეიძლება იმავე ქსელში იყოს გაბმული და, როცა სხვა გამოსასვლელი გზა ვერ უპოვია, დაფრენია ნოე დევიდეს, რომელსაც იზიარებს მათ სამარცხვინო ოინებში.

ის ასახელებს 1910 წ. 1 მარტის ყოფილი ინსპექტორის მაქნიკოვის რევიზიას, როდესაც „ბ. ინსპექტორი ორ პირველ განყოფილებების მასწავლებლებს უსაზღვროდ უჯავრდებოდა, მაშინ, როდესაც მეორე ორს კი არაფერს ეუბნებოდა, ვინაიდან მათ, თურმე, ჩუმაღ ესწავლებინათ წერა-კითხვა“. სწორი და მიუდგომელი მსაჯული არასოდეს არ იკადრებს ერთის ტალახით მეორის გასვრას, თუ ის შეპყრობილი არ არის რაიმე კერძო პირადული ინტერესებით, მაგრამ ნათქვამია: „უფაფით პირ დამწვარი დოს უბერავდაო“: საქმე ის არის, რომ მაშინდელ რევიზიის დროს ინსპექტორმა ყველა განყოფი-



ფილებების რვეულები წინასწარ დაათვალიერა, ერთად, ყველა მასწავლებლების თანდასწრებით, რომლის დროს სრულეზით არ აღმოჩენილა ის, რომ მე დანარჩენ სხვა 1-ლ განყოფილების მასწავლებლებზე მეტი რამე გამეწვლო წერაში. იგივე ითქმის კითხვაზედაც. გავლილი პროგრამებში იმ რევიზიის დროს არავითარი განსხვავება არ აღმოჩენილა წერა-კითხვაში ჩემ და სხვა 1-ლ განყოფილების მასწავლებელთა შორის. ჩუმად სწავლებლაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაღან ის ზედამხედველი, რომლის ერთგულ დამცველადაც გამოდის ბ. „მფრინავი კატა“, თითქმის მულამ კვირაში ჩამოივლიდა ხოლმე იმ განყოფილებებს, რომლებშიდაც ჩვენ ვმეცადინობდით და ისმენდა გაკვეთილებს, რის შესახებ მას არა ერთხელ შეუნიშნავს ჩემთვის, რომ „შენ თუმცაღა არა გაქვს გავლილი იმდენი, რაც ორ 1-ლ ორ განყოფილებებში გაიარეს, მაგრამ ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ შენ მაცადინოებ ორ განყოფილებასთან და ისინი კი თითოსთან“ო. მაშ როდის და როგორ ვახერხებდი ჩუმად სწავლებას? რაც შეეხება ბ. ინსპექტორის მასწავლებლებზე გაჯავრებას და საყვედურს, ეს ერთი იმით აიხსნება, რომ ზოგმა მათგანმა მოინდომა ვითომ თავის დაცვა და მართლება, რაიც მათ ვერ შესძლეს და ვათავდა უბრალო გაჯავრებით, და მკორე 81 წ. გეგმას რომ თავი დავანებოთ რუსული ენის შესახებ, ინსპექტორი არც სხვა საგნების კმაყოფილი დარჩენილა

(ქართული, ანგარიში და სხ.) ამის უარს მე მგონი ვერც ბ. ზედამხედველი ს. ლოლობერიძე იტყვის, რომელიც თან დაჰყვებოდა ინსპექტორს რევიზიის დროს და ასე გადმოგვცა მასწავლებლებს: „სიმართლე რომ ვთქვათ, კლასი მართლაც რომ სუსტიაო“. ამაშიდაც ნოე დევიძეს უღვეს ბრალი? ამნაირად, ინსპექტორის შენიშვნა და საყვედური იყო მასწავლებლებზე საერთო, მხოლოდ გაჯავრება კი კერძო რამდენიმეზე. ზემოხსენებულ მიზეზების გამო. ერთი სიტყვით, თუ კი ამის მსგავს რასმე ადგილი ჰქონდა ჩემი ჯიხაიში მასწავლებლობისა და ან სხვა დროს, უფრო სამართლიანი და ფასიანიც იქნებოდა ჩემის აზრით, რომ ის იმ დროსვე და ან შემდეგ მაინც აღენიშნათ, ვიდრე ისეთ კრიტიკულ დროს, რომელშიდაც ამ ჟამად იმყოფებიან ბ. მასწავლებლები.

დასასრულ ვიტყვით იმასაც, რომ, თუ ნოე დევიძის სახელი და გვარის აღნიშვნა არის საჭირო, ისიც უნდა ვთქვათ მასზე, რომ ეს სწორედ ის მასწავლებელია, რომელმაც არ იკისრა მათი სამარცხვინო საქციელის დაცვა და უარი განაცხადა მედიატორობაზე, რასაც წერილობით ავალბდა მას ბ. რობერტის მიერ „შეიმასქნილი“ ს. ლოლობერიძე.

შეიძლება მხოლოდ ამის გამო გავხდით ამ ჟამად ბ. „მფრინავ კატის“ მსხვერპლად, მაგრამ ნურას უკაცრავათ „ფრინავ კატას“-თან და აგრეთვე ჯიხაიშელ გზა აბნეულ მასწავლებლებთანაც.

მასწ. ნოე დევიძე.





დურთ ასეთ მკვლე მანძილებზეც კი მოუ-
სერებია ავტორს გაუგებარი შეცდომების
დაშვება: „კელხიდას რწეავს მდინარე ფაზი-
სი, რომელსაც სამხეთის მთებში აქვს სათა-
ვე“-ო, სწერს იგი 138 გვერდზე. ეს შეცდომა
XIX საუკუნის წინა შწერაღს (ასტრახანს)
კეუთუნის. რა საჭირთ იყო მისი დღეს გამეო-
რება, არ ვიცი.

ქართლის ცხოვრებას ჩვენი ავტორი, ზატ-
კანოვის მიხედვით, უვარგის (Недостовѣр-
ный) და ტენდენციურ წყაროთ ადიაჩებს.
ჩვენ გვერდს გაუფიდიოთ ამ უადგილოთ მო-

უვანილ შენიშვნას, რომ თვითონ საჭათიანს
არ სარგებლობდეს ერთი უვარგისზე უვარგის-
სი წყაროთი, სახელდობრ მისე ხორენელით,
რომლის ტენდენციურობა საერთოდ ცნობი-
ლია. საერთოდ ავტორის ცნობები ამ ქვეყნე-
ბის შესახებ ჰლეუტარხით და სტრახანით გა-
ნისაზღვრებიან.

რას წარმადგენს ეს წიგნი სამხური ის-
ტორიული ლიტერატურისთვის, არ ვიცი, მაგ-
რამ მე არ მგონია, რომ ჩვენი მეზობლები
დიდ ფასსა სდებდენ მას.

ა. სვანიძე.

რედაქციისაგან

მცირე შენიშვნა

გოგიერთ ქალაქის საბჭოს დადგენი-
ლების მიხედვით სასწავლო წლის დასას-
რულს, მაისის ბოლო რიცხვებში სკოლე-
ბში უნდა გამართონ დღესასწაული გან-
სვენებულის პედაგოგის და იშვიათ მამუ-
ლიშვილის იაკობ გოგებაშვილის სახ-
სოვრად. ამ დღესასწაულს, მოწაფეთა
გარდა, მშობლებიც დაესწრებიან. იმედია
ამ მშვენიერ აზრს ჩვენში სხვა სკოლებიც
განახორციელებენ და განსვენებულის, ქვე-
ყნის მოამაგის იაკობის ხსოვნას უკვდავს
პყოფენ მოზარდთაობის ხსოვნაში. უეჭ-
ველია პირველ ყოვლისა ამ აზრს ქ. შ.
წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სკო-
ლები განახორციელებენ. მხოლოდ „გა-
ნათლების“ რედაქციას სასურველად მია-
ჩნია, სავათა შორის, ამ დღესასწაულზე
მოწაფეებს განსვენებულის იაკობის სუ-

რათიც დაურიგონ. სურათების დამზადე-
ბასა და დაზავენას თვითონ რედაქცია კი-
სრულობს; სურათი საკმარისი ზომისა იქ-
ნება და ეღირება სულ ორი შაური. რე-
დაქცია აცხადებს: ვინც მოისურვებს დრო-
ზე შეუტკვეთონ, თუ ვის რამდენი სურათი
დასჭირდება. რედაქცია ეცდება დროზე
დაზავენოს ეს სურათები ფასდადებითაც,
თუ კი ამას მოისურვებენ. ორ-ორი შაუ-
რის გადახდა მოწაფეებსაც არ გაუჭირდე-
ბათ და ჩვენი სასიქადულო მოღვაწის სუ-
რათს კი ყოველს ოჯახში დიდი აღმზრ-
დელობითი მნიშვნელობა ექნება.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.



პროგრამაში აღნიშნული მოთხოვნები და მხოლოდ ორი ლოცვა: ლოცვა უფლისა და სამების ლოცვა. ქართული ენიდან მასალა ბლომად გაუვლიათ, იციან „დედა-ენის“ მეორე ნაწილიდან 80 გვერდამდის. არითმეტიკიდანაც იმდენი შეუსწავლიათ, რაც პროგრამაშია ნაჩვენები. საზოგადოთ ამ განყოფილების მოწაფეებს კარგად აქვსთ შეთვისებული ნასწავლი მასალა ყველა საგნებში, ბავშვებს კარგი მომზადება ეტყობათ და სჩანს მასწავლებელსაც ძლიერ გულმოდგინეთ და ბეჯითად უმუშავნია. ამავე განყოფილების მასწავლებელს ჩინებულად აქვს დაყენებული კრა-კერვის სწავლება, მხოლოდ სუსტობს და ისიც მთელს სასწავლებელში ხატვის სწავლების საქმე. ეს საქმე ისე არ არის დაყენებული, როგორც მოითხოვს ამას აწინდელი მეთოდი ხატვა-ხაზვის სწავლებისა და ჩვენი სკოლების პროგრამაც. ეტყობა სუფთა წერასაც დიდს ყურადღებას აქცევს მასწავლებელი, მხოლოდ საწერი მასალა ტრიალებს შესწავლილ მასალებს შორის, ბავშვის მიერ საკუთარის შთაბეჭდილებისა და ნახულის წერით გადმოცემას საჭირო ყურადღება არა აქვს მიქცეული.

მეორე განყოფილებაში **საღვთო სჯულიდან** უსწავლიათ ძველი აღთქმა მეორე წინასწარმეტყველამდის და 12 საუფლო დღესასწაული, ზოგიერთი ლოცვები—მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში და გამგეობის პროგრამის შორის ცვლილება სჩანს, ნასწავლი მოთხოვნები საღვთო ისტორიიდან და ლოცვებიც ბავშვებმა რიგიანად იციან. **ქართულ ენაში** მეორე განყოფილებაში გაუვლიათ „დედა ენის“ მეორე ნაწილი 224 გვერდამდის. ნასწავლი მასალა საკმაოდ შეთვისებული აქვსთ. **სამშობლოს შესწავლიდან** იციან საქართველოს ნაწილები, ძველი სენაკისა და სამეგრელოს აღწერა მოკლედ და აქვსთ შეთვისებული უსაჭიროესი ტერმინები გეოგრაფიიდან. არითმეტიკიდან გავლილია მთელი პროგრამა, მოწაფეები კარგად აკეთებენ ტიპიურ ამოცანებს, მხოლოდ პროგრამაში აღნიშნულს პრაქტიკულ გეომეტრიის ცნობებს, როგორც სჩანს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ არც ერთს განყოფილებაში. **რუსული ენიდან** უსწავლიათ „Русское Слово“-ს პირ. ნაწ. და მეორე ნაწილიდან გაუვლიათ 16 გვერდამდის. ბავშვები საკმარისად კითხულობენ, ენაც ეხერხებათ, ნასწავლ მოთხოვნებსა და ლექსებსაც კარგად კითხულობენ, გამოთქმაც კარგი აქვსთ, მხოლოდ ნასწავლი ლექსების წერა უჭირდებათ.

მესამე განყოფილებაში **საღვთო სჯულიდან** უსწავლიათ მხოლოდ ის ლოცვები, რაც მეორე განყოფილებაში უნდა სკოდნოდათ. საღვთო ისტორიიდან გაუვლიათ ძველი და ახალი აღთქმა გ. იოსელიანის სახელმძღვანელოდან. გამოცდის დროს ვკითხე მოსე წინასწარმეტყველზე, ათი მცნების მიღებაზე სინას მთაზე და მეფე სოლომონზე და რიგიანად გადმომცეს შინაარსი. აქაც სჩანს, რომ საღვთო სჯულის სწავლების დროს მასწავლებელს არ დაუცავს გამგეობის მიერ გაზავნილი პროგრამა. **რუსული ენიდან** იციან „Русское Слово“-ს მეორე ნაწილი, მასალა საკმაოდ აქვსთ შეთვისებული, წერაშიაც უვარჯიშნიათ, მაგრამ არა საკმარისად, აქვთ ელემენტარული ცნობები გრამატიკიდანაც. **ქართული ენიდან, საუბრებიდან და სამშობლოს შესწავლიდან** მასალები საკმაოდ არის გავლილი

და ცოდნაც საკმარისი აქვსთ გარდა სამშობლოს შესწავლისა. გამოცდის დროს მოწაფეებს დაეაწერინე ნასწავლი იგავ-არაკის „მელია და ყურძნის“ შინაარსი მოყოლებით, საერთოდ რიგიანად დასწერეს, მხოლოდ ზოგი მოწაფეები წერის დროს სიტყვებს ასოებს აკლებენ. **არითმეტიკიდან** შესწავლილი აქვთ ოთხი მოქმედება და მრიცხველობა 1—10,000-მდის. იციან ამოცანები ოთხ მოქმედებაზე და უსაჭიროესი ზომები. რაც უსწავლიათ კარგად იციან, მხოლოდ არა უსწავლიათ რა **პრაქტიკულის გეომეტრიიდან და საზოგადოთ სასურველად ვერ დაუცავთ პროგრამის მოთხოვნილება.**—

მეოთხე განყოფილებაში **საღვთო სჯულიდან** უსწავლიათ იგივე ლოცვები და მოთხრობები, რაც უნდა ესწავლიათ მესამე და მეორე განყოფილებებში ქართულად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ განყოფილებაში საღვთო სჯულის სწავლება ქართულადაც სწარმოებს და რუსულადაც. რუსულად სწავლებისათვის სახელმძღვანელო აქვსთ ჩელცოვის წიგნი. აქედან რუსულად უსწავლიათ ცნება ღმერთზე, ქვეყნის შექმნაზე, შემდეგ ათორმეტი დღესასწაული და ლოცვები. ამ სახით საღვთო სჯულის სწავლება სრულიად დაშორებულია იმ პროგრამას, რაც სახელმძღვანელოდ დაეგზავნა ჩვენს სკოლებს. მოწაფეები გამოვცადე ქართულად: მიაშბეს საიდუმლო სერობაზე და მიჩვენეს პალესტინის ქარტაზე შესანიშნავი ქაღალაქები და ადგილები.

ქართული ენიდან მასალა საერთოდ ბლომად არის გავლილი. ჩვენი საუკეთესო მწერლების საუკეთესო ნაწარმოები მოწაფეებს კარგად აქვსთ შეთვისებული. გამოცდაზე ვკითხე „განთიადი“ აკ. წერეთლისა და „ბაზალეთის ტბა“ ილ. ჭავჭავაძისა, მშვენიერად მიპასუხეს. დაეაწერინე „ჩვენი მოგზაურობა გელათს“; რადგანაც წინა დღეებში მოწაფეები გელათში და ქუთაისში წაეყვანათ საექსკურსიოთ. საერთოდ, როგორც წარმოდგენილ ნაწერებიდან სჩანს, ბავშვებს ბევრი რამ საგულისხმიერო უნახავთ და თავიანთ ნახულსა და გაგონილს საკმაოდ მწყობრად გადმოგვცემენ წერით. მეოთხე განყოფილების მოწაფეებს კარგად შეუსწავლიათ აგრეთვე საქართველოს მოკლე ისტორია, სამშობლოს აღწერა და ელემენტარული ქართული გრამატიკა. ამ საგნებს ასწავლიდა სკოლის გამგე დ. ოყროშიძე, რომელიც სკოლის საქმეების გამო, იძულებული გამხდარა საანგარიშო წელს ორი თვე ნახევარი გაეცდინა აქეთ-იქით სიარულში, ხოლო იმავე დროს უფრო ხშირად ამ საგნებს ანდრია შუბლაძე ასწავლიდა. **რუსული ენა.** ამ საგნიდანაც მოწაფეებს საკმაოდ მასალა გაუვლიათ ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს მეორე ნაწილიდან და ჯაფარიძისა და ზედგინიძის ქრისტომატიიდან. მოწაფეებმა კარგად იციან, როგორც ლექსები და იგავ არაკები, აგრეთვე მოთხრობები, სასაუბროები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები რუსულად. უსწავლიათ აგრეთვე საგრამატიკო წესები მართლ-წერის შესახებ და წერითი ვარჯიშობაშიაც სხვა და სხვა ფერობა ეტყობათ. საერთოდ ამ განყოფილების მოწაფეები რუსულშიაც კარგად მომზადებულები დამხდნენ. **არითმეტიკიდან** უსწავლიათ ოთხი მოქმედება განყენებულსა და სახელწოდებულს რიცხვებზე, დაშლა და გადაქცევა, სხვა და სხვა ზომები, ბლომად უკეთებით ამოცანები გოლდენბერგის სახელმძღვანელოდან.



საგანი უსწავლებლიათ ქართულად და რუსულადაც. მაგრამ ყველა ეს მთლიანად ეთანხმება იმ პროგრამას, რომელიც გამგეობამ გახადა ჩვენს სკოლებში სახელმძღვანელოდ, მაგალითად, მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ პროგრამიდან არა სჩანს, რომ ესწავლებილთ კვადრატული და კუბიკური ზომები და ამოცანები ამ ზომებზე, არა სჩანს აგრეთვე ნაწევრებისა და პრაქტიკული გეომეტრიის სწავლება და სხ.

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა საანგარიშო წლის განმავლობაში მეტის-მეტს უნუგეშო მდგომარეობაში იყო. შარშან მაისის ბოლო რიცხვებში გადიწვა სკოლის შენობა, გაძლიერებულმა ცეცხლმა შთანთქა სწავლაში ხელსაწყო ყველა ნივთები და სკოლის მოწყობილებანი, გადაარჩინეს მხოლოდ სკოლის ბიბლიოთეკა. ამის შემდეგ სკოლის აღდგენა სენაკში ბევრისათვის საეჭვო შეიქმნა, მაგრამ მამწავლებელთა მხნეობამ სძლია ამ დაბრკალებათ და წარსული სამოსწავლო წლის დამდეგიდან ისევ განაახლეს სწავლება ნაქირავებს შენობაში. ამ შენობათა უვარგისობა, უფულობა, სწავლაში ხელსაწყო ნივთების უქონლობა და სხვა წვრილმანი გარემოებანი ძლიერ უშლიდნენ ხელს საანგარიშო წელს სკოლაში წესიერი სწავლა გაეჩაღებინათ, მაგრამ მიუხედავად ამისა მასწავლებლებს საერთოდ დიდი ბეჯითობა და მუყაითობა გამოუჩინიათ, სწავლა აღზრდის საქმე საზოგადოთ ყველა განყოფილებებში წესიერად არის დაყენებული და ნაყოფიც, პირობებთან შედარებით, კარგია. საანგარიშო წელს სკოლისათვის დაქირავებული ჰქონდათ ორი შენობა: ერთში მოთავსებული იყო პირველი განყოფილება, მეორეში სამი დანარჩენი განყოფილება. მაისის 25—26 მეოთხე განყოფილების მოწაფეები და ნაწილი მესამე და მეორე განყოფილებისა რიცხვით 40 მოწაფე სამი მასწავლებლის თანხლებით წაუყვანიათ საექსკურსიოდ ქუთაისსა და ქელათის მონასტერში. ასეთი ექსკურსია სენაკის სკოლის ცხოვრებაში პირველია და აიხსნება მასწავლებლების ბეჯითობით და საქმისადმი სიყვარულით.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ სენაკის სკოლა საანგარიშო წელს ნივთიერის მხრით მეტად უნუგეშობას განიცდიდა. სკოლის სამზრუნველო კომიტეტისაგან საანგარიშო წლის განმავლობაში მიუღიათ სესხად დამზღვევი საზოგადოებისაგან მიღებული ფულის თანხიდან ერთხელ 3250 მანეთი. ამ ფულიდან დაუხარჯავთ 550 მანეთი სახლის ქირად სკოლისათვის; 500 მანეთი დაუხარჯავთ სასკოლო ავეჯის შეძენაში, 1750 მან მიუციათ მასწავლებლებისათვის 1911 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეების ჯამაგირად. რაკი სხვა წყარო სკოლას არ მოეპოვებოდა, იგივე სამზრუნველო იძულებული გამხდარა კიდევ სესხად აეღო იმავე ფულიდან 1350 მანეთი, რომელიც გადაეცა სკოლის გამგეს 1912 წლის 21 მარტს. ეს ფული დაურიგებიათ მასწავლებლებსათვის წარსული წლის ნოემბრისა და დეკემბრის და მიმდინარე წლის იანვრის ჯამაგირებად. ამას გარდა სწავლის ფული შემოსვლიათ დღემდის 900 მანეთი. სკოლის სხვა აუცილებელ საქროებათა გარდა (განათება, გათბობა) ეს ფულიც დაუხარჯავთ მასწავლებლებისა და მოსამსახურეების ჯამაგირებზე. ხშირად უფულობის გამო სკოლის გამგე იძულებული გამხდარა პირადად სესხად აეღო კერძო პირებისაგან ფული და ისე დაეკმაყოფილებინა მასწავლებლები. ამ ნაირად გ.

ქავთარაძისაგან უსესხნია 150 მან. მიტროფანე ლალიძისაგან 120 მანეთი ეს ვალად აწევს სკოლის გამგეს. იმედი აქვთ შემდეგში აღმოაჩინონ ახალი წყაროები და სკოლა უზრუნველ ჰყონ. დღეს კი მასწავლებლები და მომეტებულად სკოლის გამგე ყოველს სახსარს მოკლებულნი არიან და სესხითა ცხოვრობენ.

არჩეულია სასკოლო კომისია, რომელშიაც შედიან გ. ჩიჩუა, გ. ქავთარაძე და სკოლის გამგე დ. ოყროშიძე. სკოლის სამზრუნველო კომიტეტს გადაუცია ამათთვის დამზღვევ საზოგადოებისაგან მიღებული ფულის ნაშთი 1850 მანეთი. ამ ფულით კომისა უკვე შესდგომია საქმეს და უმთავრესი საქირო მასალა შეუძენიათ. მაგრამ ამ ფულის გამოლევის თანავე კომისიას არავითარი სახსარი არ მოეძებნება და საქირო რაოდენობა ფულისა საძებრად უხდება. კომისიას განზრახვა აქვს სკოლის შენობა დახურვის შემდეგ და ეზო სკოლისა დააგირაოს და აღებულის ფულით დაამთავროს შენობა, აგრეთვე ნაწილით დააკაყოფილონ მასწავლებლებიც. ამ საქმისათვის საქირო საბუთების შეძენას უკვე შესდგომია სენაკის მაზრის წინამძღოლი თავადი ივანე დადიანი. აახლებენ ძველ შენობას.

ასეთია ამ ჟამად სენაკის სკოლის ბედი. როგორც საქმიდანა სჩანს ყველაზე მეტი ზარალი ცეცხლის გაჩენის დროს სკოლის გამგეს ბ-ნ დ. ოყროშიძეს მოსვლია; ამის სკოლაში ჰქონდა ბინა: დ. ოყროშიძეს დასწვია ყველაფერი, რაც გააჩნდა და ცოლშვილით შიშველ-ტიტველი დარჩენილა. თვითონაც კინალამ ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა, რომ გადაერჩინა სკოლის ბიბლიოთეკა და საქმის ქალღდები. ამის გამო ბ-ნი ოყროშიძე ამ ჟამად აუტანელ ნივთიერ მდგომარეობას განიცდის, სულ ვალებით ცხოვრობს და კიდევ კარგი რომ კეთილი ადამიანები სესხზე უარს არ ეუბნებიან. ვალებს იღებს იგი არა მარტო თავისთვის, არამედ სხვა მასწავლებლების დასაკაყოფილებლადაც. ჩემის აზრით ყოველი დაწესებულება ზნეობრივად ვალდებულია ასეთს უბედურს შემთხვევებში ზნეობრივის თანაგრძნობის გარდა ნივთიერადაც დაეხმაროს თავის უწყებაში მყოფ დაზარალებულ მოსამსახურე ზირს. დ. ოყროშიძე ნიჭიერი, გამოცდილი მასწავლებელია და კარგი ხელომდევანელიც სკოლისა. იგი ყოველის მხრით ღირსია საზოგადოების ყურადღებისა. მეც ვალად ვრაცხ ჩემს თავს ვიშუამდგომლო გამგეობის წინაშე, რამდენადაც შესაძლებელი იქნება ნივთიერი დახმარება ფულად აღმოუჩინოს მეტად დაზარალებულს, სენაკის სკოლის გამგეს ბ-ნს ოყროშიძეს. და იმავე დროს ვსთხოვ გამგეობას აღძრას შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს წინაშე, რათა მათაც იზრუნონ ცეცხლის მიერ განადგურებულ მასწავლებლის ნივთიერად დახმარებაზე. იმედია ასეთი ყურადღება მეტს ძალასა და ენერჯიას მოუბოვებს დაზარებულს მასწავლებელს, რომელიც ამავე ძალას საზოგადო საქმეს მოახმარს.

ამასთანავე ვუდგენ გამგეობას მასწავლებლების მიერ გავლილ პროგრამებს ყველა საგნებიდან და მოწაფეების ნაწერებს.

გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე.

მღუსენობა

ქ. შ. წ.-კ. კამაგრცელებელ საზოგადოების გამგეობას

თანხმად გამგეობის დავალებისა, 17 გიორგობისთვის გავემგზავრე სოფელ ვაღამშიის სკოლის დასთვალიერებლად. ვაღამშიის სკოლისათვის აკეთებენ ქვიტიკირის ერთ სართულიან შენობას, სიგრძე აქვს გარედან 21 არშინი, შიგნიდან 19 არშინი; სიგანე გარეთ 12 არშინი, შიგნით 10 არშინი. ოთახებს სიმაღლე უნდა ექმნეს $4\frac{1}{4}$ არშინი; მთელი კედლის სიმაღლე იქნება $6\frac{1}{2}$ არშინი. სასკოლო სახლი შესდგება ორი ნაწილისაგან: ერთი დიდი ოთახი (სიგრძით 13 არშინი) საკლასოთ და ორი პატარა ოთახი მასწავლებლისთვის. მასწავლებლისთვისვე მდებარე იქნება სამზარეულო. მთელ სიგრძეზე სახლს ექნება აივანი. სახლი უნდა დაიხუროს კრამიტით.

საკლასო ოთახს აქვს სამხრეთით სამი სარკმელი და შესასვლელი კარები, დასავლეთით აქვს ორი სარკმელი. კედლების დამთავრებას $1\frac{1}{4}$ არშინი უკლდა 19 ნოემბერს. 18, 19 და 20 გიორგობისთვის სუსხიანი ღამეები იყო და დიდი რთვილი დასდო, თუმცა წყალი კი არ იყო გაყინული. ოსტატებს და სოფლის მზრუნველებს შეეძინდათ—უინვეპმას შენობა არ გაგვიფუჭდეს და თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ: რადგან კირი უინვეპში ვერ გამოდგება, კედლები დამთავრდეს ბზით არეულ ადგილობრივ თეთრი მიწით. (ამ მიწით აქვთ მასლობელ სოფელში რუსებს აშენებული სახლები).

სახლის აშენება იჯარით აუღია ერთს ადგილობრივ მცნოვრებს, ხელობით ღურკაღს, 480 მანეთად. სახლის სიმაღლე პირიქის ძალით უნდა ყოფილიყო $4\frac{1}{2}$ არშინი, რადგან გადაწყვეტილი ჰქონათ იატაკი ზედ მიწაზე დაეგოთ; მაგრამ მერე აზრი შეუცვლიათ და საძირკველი (ტოკოლი) გაუკეთებიათ $2\frac{1}{4}$ არშინი. ამის გამო იძულებული გამხდარან იჯარის ფული ოცი მანეთით გაედიდებინათ.

გარდა ამისა, სიტყვიერი პირობა მიუციათ მოიჯარადრისთვის, რომ მასწავლებლის ოთახებისთვის იატაკის ფიცრებს მიუქთად უშოვნინან. (ორი კაცი ყოფილა შეპირებული და ამის იმედით არიან). ეს ფიცრები პირობაში არ არის მოხსენებული, მაგრამ როგორც მოიჯარადრეს, ისე იჯარის მიმცემთ ეს სიტყვიერი პირობა სავალდებულოდ მიანჩნათ. თითო ფიცარი სიგრძით 6 არშინი, სიგანით არა ნაკლებ 6 გოჯისა, ნახვარიშევა ექვსი აბაზი; მასწავლებლის ორ ოთახს უნდება 27 ფიცარი, რაც ელირება 32 მან. 40 კაპ. ფიცრები მიუქთად ვეღარ იშოვნეს, მაშასადამე ფულათ უნდა მისცენ ზედმეტი 32 მან. 40 კაპ.

სკოლისთვის საჭიროა ორი ღუმელი, თითო 40 მანეთი ჯდება. ღუმელებიც პირობის ქაღალდში არ უწერიათ. ამ გვარად სკოლის დასამთავრებლად, გარდა იმ 500 მანეთისა (400 წ. კ. საზოგადოებისაგან, 100 მან. სოფლისაგან), საჭიროა კიდევ 112 მან. და 40 კაპ. ქვას და ქვიმას სოფლელები ეზიდებინან მიუქთად, ოსტატებსაც რიგობით შეეღიან.

მოიჯარადრეს ბეგრი არაფერი დარჩება: უნდა მიიღოს 532 მან. და 40 კაპ; ხარჯი კი უნდა გასწიოს შემდეგი: კირში—69 მან., კალატოზებს სავენში სამი მანეთი,—135 მან. ფიცრები 103 მან. ლამიები, ლარტეები და ძელები 40 მან., ლურსმანი 15 მან...



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრამიტო 33 მან., კარებისა და ხარკმელების მოწეობილება 40 მანეთი, ხარჯება 15 მანეთი; სულ 450 მან. დაჩება მოიჯარადრეს სადურკლთ სამუშაოს ფასი 82 მან. 40 კაშ.

ზირობის ძალით შენობა მოიჯარადრემ უნდა დაამთავროს დეკემბერში და იანვრის პირველ რიცხვებში ჩააბაროს მასწავლებელს. ასე რომ ყალამშიის სკოლა 1913 წლის იანვარში ახალ შენობაში დაბინავდება.

მხოლოდ ამ ახალ შენობას ცენტრითი მოწეობა დასჭირდება: სკოლას ახლა არა აქვს შკაფი სასწავლო ნივთებისათვის, არა აქვს სკამები მასწავლებლისთვის, არ უვარგა საკლასო დაფა და ხარტები. თუ ხარტების გამოცრულა ერთბაშად ძნელია, ხუთი ახალი, ოთხ ადგილიანი ხატარა მაინც უნდა გაკეთდეს, რადგანაც ამ უამად ყალამშიის სკოლაში ათ ოთხ ადგილიან ხარტაზე ზის 63 ბავშვი.

ჩემის გამოხატარებებით, გამგეობამ კიდევ უნდა გადასდოს ყალამშიის სკოლისთვის:

- 1. შენობის დასამთავრებლად 112 მან. 40 კ.
 - 2. ხუთი ახალი ხარტის გასაკეთებლად 50 მან. „
 - 3. საკლასო დაფის შესაძენად 8 მან. „
 - 4. ერთი შკაფისთვის 15 მან. „
 - 5. ექვსი სკამისთვის 18 მან. „
-
- სულ 203 მან. 40 კ.

შევიდეთ ახლა თვით ახლანდელ სკოლაში.

ყალამშიის სკოლაში ორი განყოფილება არის, უკეთ ვსთქვათ, ორი ჯგუფი: პირველი ჯგუფი შემდგარა სრულიად უცოდინარტაგან, მეორე ჯგუფი შეუდგენიათ იშათ, ვისაც ქართული წერა-კითხვა უკვე სცოდნიათ. სწავლობენ ქალებიც და ვაჟებიც, 30 ქალა, 33 ვაჟი, კლასში ერთი მაჭმადანია და ერთიც ბერძენი; ორნივე ქართულად სწავლობენ.

პირველ განყოფილებაში ქართულიდან გაუვლიათ 17 ვკერდი, ანგარიშიდან ოცამდის თვლა და ათის ფარგალში ოთხი მსქმედება. სამდთო სჯულიდან იციან პირჯგრის წერა და ხატარა ლცვები.

მეორე განყოფილებაში გაუვლიათ: ქართულიდან მეორე ნაწილი „დედა-ენის“ 42 ვკერდი; ანგარიში—ასის ფარგალში მიმატება და გამოკლება. რუსულიდან იციან წერა-კითხვა 38 ვკერდამდე „Рус. Сл.“ 1-სა.

სამდთო სჯულიდან: ლცვები და მოთხრობები: დაბადება და ტაძრად მიყვანება მდგთის შობლისა და ხარება.

ბავშვებს განაკვეთი კარგად და შეგნებულად შეუთვისებიათ, კითხულობენ ჩინებულის გამოთქმით; მხოლოდ საზოგადოდ ბავშვების განვითარებისათვის ცენტრ უურადდება მიუქცევია მასწავლებელს. ნაკლულეყვანებად უნდა ჩეთვალდოს ისიც, რომ პირველ განყოფილებაში მასწავლებელი აწერინებდა რვეულებში ფანქრით.

მე ვსთხრვე მეტი უურადდება მიაქციოს ბავშვების გონებრივ განვითარებას და პირველ განყოფილებაში ახლავე გადავიდეს კალმით წერაზე. ვთხრვე აგრეთვე მეტი უურად-



დებს მიაქტიოს ხატვას, ნახევარ საათს ერთს განყოფილებას ასწავლოს, მეორე ნახევარ საათს მეორე განყოფილებას; რაცა ერთ განყოფილებას ასწავლის, მეორეს ან ასწავინოს, ან ახატვინოს.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ მასწავლებელი ვრ. მაჭავარიანი მხნე და მუშა კაცი ყოფილა და იმ პირობებში, რა პირობებშიაც ახლა სკოლა არის და ასე მოკლე დროს განმავლობაში ბევრიც გაუკეთებია.

საქმის მწარმოებელი ვ. ბურჭულაძე.

29 დეინობ. 1912 წ.




მღუსენება

ქ. შ. წ.-კ. გამაჯრცელებელ საზოგადოების გამგეობას

თანახმად გამგეობის დავალებისა 6 და 7 ღვინობისთვის ვიყავი სოფელ გიორგიშინდაში წ.-კ. საზოგადოების სკოლის შესახებ. სკოლა მოთავსებული ყოფილა ერთს საშუალო, მაგრამ ბნელს ოთახში. კლასის მოწყობილობას შეადგენენ: ორ წყობად დალაგებული 13 ოთხ ადგილიანი პარტა, საკლასო პატარა დაფა და მასწავლებლისათვის მაგიდა. მასწავლებლის სიტყვით, ეს ნივთები სოფლის კუთვნილებას შეადგენენ. გარდა ამისა სკოლას აქვს წ.-კ. საზოგადოების საშუალებით შეძენილი კედლის საათი (10 მან.), გლობუსი (3 მან.), სურათები—ანატომია კაცისა (5 მან.), სურათები ბუნების მეტყველებიდან (3 მან.), მოძრავი ასოები და რამდენიმე წიგნი სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის.

რადგან სოფლები ორჭოფად იქცეოდნენ და ბევრს გაუცხადებია წ.-კ. საზოგადოების სკოლის შესახებათ ფულს აღარ გავიღებთ, რადგან მთავრობა მუქთად გვინიშნავს მასწავლებელსო, წ.-კ. საზოგადოების სკოლის მასწავლებელს ამ თვითს 2-ს მიუმართავს სახალხო სკოლების ინსპექტორისთვის და მეორე მასწავლებლის ადგილი უთხოვნია სამინისტრო სკოლაში. ინსპექტორს თხოვნა დაუკმაყოფილებია და I ოქტომბრის 1912 წლის თარიღით, № 1512, მიუწერია: „Степану Константиновичу Николайшвили. Допускаю Васъ къ исполнению учительскихъ обязанностей во 2-е Георгицминдское училище Тифлисскаго уѣзда съ 1-го октября сего 1912 го года“ Инспекторъ народныхъ училищъ Тифлисскаго губернии 1-го раіона Т. Калениченко“. ამასთანავე სიტყვიერად დაუვალებია ნიკოლაიშვილისთვის მიიღოს ბავშვები და ასწავლოს პირველ განყოფილებას. ასე რომ პირველს სამინისტრო სკოლაში იქნება მხოლოდ მეორე განყოფილება, ნიკოლაიშვილს კი ეყოლება პირველი განყოფილება. ნიკოლაიშვილი დაბრუნებულა სოფელში და დაბინავებულა არსებულს წ.-კ. საზოგა-



დღეების სკოლაში და ღებულობს ბავშვებს. მას შეუძლიან მიიღოს მხოლოდ 50-მდე ბავშვი, მსურველი კი ასზე მეტია.

რად იყვნენ წ.-კ. საზოგადოების სკოლის წინააღმდეგ ამხედრებულნი? სინამდვილესთან სწორი იქნება, თუ ვიგულისხმებთ, რომ სოფლები ნიკოლაიშვილის წინააღმდეგ იყვნენ გაბოროტებულნი და არა წ. კ. საზოგადოების სკოლისა. მასწავლებელს ნიკოლაიშვილს წელს 1 იანვრიდან თვეში უნდა მიეღო სოფლისაგან 25 მანეთი, წ. კ. საზოგადოებისაგან ხუთი მანეთი, სულ 30 მანეთი თვეში. ის კი სოფლისაგან სრულიად ღებულობდა 30 მანეთს თვეში. და წ. კ. საზოგადოებისაგანაც მიიღო სრულად; წ. კ. საზოგადოების შემწეობა თავისთვის ჩასთვალა და სოფელს არაფერი გაუნაწილა. ამ გვარად მასწავლებელმა, ასე ესთქვათ, სოფლის ფული მიითვისა ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება უფრო მასწავლებლის წინააღმდეგ.

მთელი დღე სოფლებს ველაპარაკე სკოლის შესახებ და შემდეგი გამოვარკვეე: ყველას უნდა, რომ თავის შვილებს წერა-კითხვა ასწავლოს და სოფელშიაც რამე შეგნება შევიდეს. მაგალითად, აი რა სიტყვებს ამბობდნენ საჯაროდ: „გვეყოფა ამდენი სიბნელეში ყოფნაო.“ — „მე რა მადლობელსა ვარ, რომ არა ვიცი რა, ჩემს შვილებს აგრე როგორ დავტოვებო.“ — „ვინც სკოლის წინააღმდეგ რამეს იტყვის, ის ძროხა უნდა იყოს, მხეცი.“ — „ჩვენ ბევრი გვყავს ჯამაგირზე-მასახლისი, მწერალი და სხვები. იმათზე დახარჯული ფული დაკარგულია, მასწავლებელზე კი არა.“ შიგა და შიგ არიან, რასაკვირველია, ისეთებიც, რომელთაც სკოლა არ უნდათ, რადგან ათასნაირი ხარჯი აქვთ, დღესაც ეგზეკუციას სოფელში სახელმწიფო გადასახადის ასაკრფედ და მოსავალიც არ ყოფილა წელს კარგი. მაგრამ დიდი უმრავლესობა სკოლის მსურველია. სოფელი თანახმაა მისცეს წ. კ. საზოგადოების სკოლას ბინა, როგორც კლასისთვის, ისე მასწავლებლისთვის, მისცეს სამი საყენი შეშა წლის განმავლობაში და მსახური, აგრეთვე აძლიოს მასწავლებელს ჯამაგირი 25 მანეთი თვეში.

რადგან სოფლის პირვანდელი განაჩენი წ. კ. საზოგადოების სკოლის შესახებ მხოლოდ მამასახლისის მიერ არის ხელმოწერილი და მომრიგებელი შუამავლის მიერ შემოწმებული არ არის და რადგან ახალ დადგენილებას ყრილობისას, მომრიგებელ შუამავლის მიერ შემოწმებულს, ხალხის თვალში, როგორც ნაკისრ ვალდებულებას, მეტი მნიშვნელობა ექნება, ამიტომ მე დავავალე მამასახლისს და სოფლის მზრუნველებს შეადგინონ ახალი დადგენილება, რომელშიაც გარკვეულად მოხსენებული უნდა იყოს სოფლის ვალდებულებანი წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე სკოლის შესახად: ეს დადგენილება შეამოწმებინონ მომრიგებელ შუამავალს და გამოგზავნონ წ. კ. საზოგადოების სახელზე. ზოგმა გამოსთქვა სურვილი, კარგი იქნება, თუ წ. კ. საზოგადოება თითონ გაუძღვება მასწავლებლის ჯამაგირს იმ პირობით, რომ დახარჯული ფული წელიწადში 300 მანეთი სოფლისაგან აინაზღაუროსო.


დასასრულ მოვახსენებ გამგეობას, რომ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ახლაცე გაიგზავნოს გიორგიშვინდაში მასწავლებელი და სკოლის პირველ მოსაწყობ-

ბად გადადებულ იქმნას არა ნაკლებ თხუთმეტი თუმნისა. ამ ფულით უნდა შექმნილი იქმნას საკლასო დაფა, საანგარიშო ჩოთქი შვედური, შკაფი სკოლის ნივთების (სურათებისა და წიგნების) შესანახად, მაგიდა და სამიოდე სკამი მასწავლებლისათვის და გაკეთდეს ახალი ორ ადგილიანი პარტები, რამდენიც შესაძლებელი იქნება. მაშინ ჩვენი სკოლა სკოლას დაემსგავსება, თორემ ახლა იგი ყველაფრით დაბლა დგას სამინისტრო სკოლაზე.

ამას გარდა საჭიროა, მასწავლებელს ჯამაგირი წ.-კ. საზოგადოების კანცელარიისაგან ეძლეოდეს, ხოლო წ.-კ. საზოგადოებამ კი სოფლისაგან აინახაღაუროს.

საქმის მწარმოებელი გ. ბურჭულაძე.

11 ღვინობ. 1912 წ.



1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა

შენიშვნები ქ. შ. წ. კ. გ. ს. 1913 წლის საფარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ.

(დასასრული)

1913 წლის საფარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის საფუძვლად მივიღეთ უკანასკნელ წლების გამოცდილება და ვიხელმძღვანელოთ შემდგომ მოსაზრებით:

1. შემოსავალი, რამდენადაც შეიძლებოდა, ნავარაუდევია უმცირესი, გასავალი კი უმეტესი.

2. გასავალში აღნიშნული ფული აუცილებლად დანიშნულებისამებრ უნდა დაიხარჯოს. ნაშთი მიემატება სათადარიგო თავნს.

3. ფონდები შენახულია პროცენტთან ქალაქდებად. ფონდების წლიურ შემოსავლიდან, თანახმად ფონდების დანიშნულებისა და 5 თებერვალს 1909 წელს მომხდარ გამგეობის დადგენილებისა, ერთი ნაწილი გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და შემოსავალშია აღნიშნული, ხოლო მეორე ნაწილი ემატება ფონდის თავნს. ამის გამო, როგორც ფონდების სიიდან სჩანს,

ფონდების შემოსავლიდან, რომელიც მოსალოდნელია 1913 წელს 4116 მან. 85 კაპ.,—ჩარიცხულია შემოსავალში საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად 2237 მან. 84 კაპ., მიემატა ფონდების თავის 1904 მან. 01 კაპ. ასე რომ 1914 წლის 1 იანვარს ფონდების თავის საერთო რაოდენობა იქნება 82849 მან. 19 კაპ., ნაცვლად 1 იანვარს 1913 წელს აღნიშნულის 83045 მან. 18 კაპ.

4. პოეტის თ-დ აკაკი წერეთლის სახელობის საპენსიო თანხა, რომლიდან წელიწადში იხარჯება 1200 მან., იკმარებს პენსიონერის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ 1913 წელს და 1904 წლის 8 თვეს; ამის შემდეგ იგი სულ მოიხსობა, თუ ახალი შემოწირულებით არ იქმნა შევსებული.

5. ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია. 24 იანვარს 1912 წელს ძმ. ზუბალაშვილებმა წერილით შეგვაცუბინეს, რომ ისინი ხუ-ხუთ ათას მანეთს სწირავენ წელიწადში სასტიპენდიოთ ოთხი წლის განმავლობაში, ე. ი. 1916 წ. 1 იანვრამდე; ეს ფული ძმ. ზუბალაშვილების კანტორიდან ორ თვეში ერთხელ შემოდის და არავითარი $\frac{0}{0}$ არ მოაქვს. ამის გამო, თანახმად 5 თებერვალს 1909 წელს გამგეობის დადგენილებისა, წლიურ მისაღებ 5000 მანეთიდან გამოირიცხება 25 მანეთი და მიემატება 1913 წლის საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ შემოსავალს, დანარჩენი 4975 მ. დაურიგდება სტიპენდიატებს,—ამიტომ შემოსავალ-გასავალში არ არის აღნიშნული.—ამგვარად ფონდების 1913 წლის შემოსავლიდან საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შემოვა 2237 მან. 84 კ., ხოლო ფონდის თავის მისამატებლად 1904 მ. 01 კ.

შენიშვნა: დ. ზ. სარაჯიშვილის შემოწირულება ჯერ არ არის მიღებული განსვენებულის ნების ამსრულებელთაგან, ამის გამო არც 1913 წლის თანხების ანგარიშია შეტანილი.

6. სკოლების წლიური ხარჯის აღნიშვნის დროს საფუძვლად მიღებულ იქმნა შემდეგი: მასწავლებლის ნორმალურ ჯამაგირად აღიარებულია 360 მან.; დამატებითი ჯამაგირი ყოველ სამი წლის შემდეგ 60 მანეთი, სანამ 600 მანეთად შეუსრულდება. გარდა ამისა სასწავლო ნივთებისათვის თითოეულ სკოლას ეძლევა წელიწადში 50 მანეთი, ხოლო წვრილმან ხარჯებისთვის 10 მან.

ქართული
ბიბლიოთეკის
მოსალოდნე-
ლი მოგება
1913 წელს

თანხები დასახელება

1 იანვარს 1913
წელს იყო

მანეთი კაპ. მან. კაპ.

1	სალიტერატურო (დახმარება მწერლებს).	2656	89	151	39
2	საპენსიო (აკაკი წერეთლის სახელობის).	* 1946	82	110	96
3	თ-დ გრიგოლ დადიანის საბრემიო.	4152	18	236	67
4	ეგნატე ნინოშვილის სახელობის.	22	58	1	29
5	სალექსიკონო (ძმ. ზუბალაშვილების შემოწირული).	3179	11	181	21
6	ხელუხლებელი (ძმ. ზუბალაშვილების შემოწირული).	10045	22	572	57
7	სამუზეუმო.	453	95	25	88
8	ძმ. ზუბალაშვილების სასტიპენდიო.	* 5000	—	—	—
9	ვასილ პეტრიაშვილის სახელობის.	2275	58	129	65
10	ნიკოლოზ ლოლობერიძის სახელობის: სასტიპენდიო.	* 20075	—	953	56
11	" " " გან. გასავრ. გოჩა-ჯიხაიშში და რგანში	10139	—	481	60
12	" " " წიგნების გამოსაცემად.	8669	18	329	41
13	" " " პრემიის მისაცემად.	8669	19	329	41
14	ილია ჭავჭავაძის სახელობის.	2081	16	118	61
15	სახელმძღვანელოების გამოსაცემი.	500	—	28	50
16	სენაკის სკოლის (გრ. დადიანის შემოწირული).	1507	12	85	87
17	გურიანთის სკოლის (ღიმ. ნაკაშიძის შემოწირული)	2525	70	143	90
18	იაკობ გოგებაშვილის სახელობის.	1418	69	80	89
19	დავით ებისკოპოსის სახელობის (მაჰმადიანთათვის).	956	58	54	57
20	ქუთაისის საკვირაო სკოლის (რაფ. ერისთავის სახელ.)	1045	83	59	61
21	სასკოლო.	725	40	41	30

88045 18 4116 85

გ ი ს ს ი ა



მოგებიდან უფირიც.

თანხის რაოდენობა 1 იანვარს 1914 წელს

უ ე ნ ი უ ვ ნ ა

დასახარჯად 1913 წელს		მიემატება თაენს		თანხის რაოდენობა 1 იანვარს 1914 წელს	
მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მანეთი	კაპ.

136	26	15	13	2672.	02
11	09	99	87	846	69
23	66	213	01	4365	19
—	12	1	17	23	75
18	12	163	09	3342	29
515	32	57	25	10102	47
2	58	23	30	477	25
25	—	—	—	—	—
12	96	116	69	2392	27
28	56	925	—	20100	—
433	44	48	16	10187	16
296	47	32	94	8702	12
296	47	32	94	8702	13
106	75	11	86	2093	02
2	85	25	65	525	65
77	29	8	58	1515	70
129	51	14	39	2540	09
72	81	8	08	1425	77
5	45	49	12	1005	70
5	96	53	65	1099	48
37	17	4	13	729	53
2237	84	1904	01	82849	19

*) ამ თანხიდან 1913 წელს დაიხარჯება 1200 მან. 1 იანვარს 1914 წ. დარჩება მხოლოდ 846მ. 69 კ.

*) ეს ფული უემოდის ნაწილ-ნაწილ, ისევ სტიპენდიებზე იხარჯება და სარგებელი არ მოაქვს.

*) ამ თანხიდან 1913 წელს სამ სტიპენდიაზე დაიხარჯება 900 მან.

მ ა მ ი

ქ. შ. წ.-კ. გამაგრ/კვლებელ საზოგადოების ფოთის განყოფილების
საზოგადო კრებისა 1912 წ. 14 აპრ.

კრება გაიხსნა ქალაქის გამგეობის დარბაზში, სადამოს 7 საათზე ა. იონა შეუნარ-
კის თავმჯდომარეობით.

კრებას დაესწრნენ: გამგეობის წევრები მდ. ლავრენტი წულაძე, ა. ჟვანია, ვ. გაგუა,
ი. ალექსიშვილი, ი. კახრიძე და გამგეობის მდივანი კ. გამურელიძე და საზოგადოების
15 წევრი.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას რომ ამ ხანათ საზოგადოების წევრათ ითვლება ის,
ვისაც უკანასკნელი (1911 წ.) წლის საწევრო ფული აქვს შემოტანილი; ამისთანები არიან
37 კაცი. ამთგანი 10 წევრი რომ დასწრებოდა მხოლოდ, დღევანდელ საზოგადო კრებას,
ე. ი. 37 ერთი მეათხედი, კრება თანახმად წესდების მე-17 მუხლისა, კანონიერად ჩაი-
თვლებოდა. დღევანდელ კრებას-კი ესწრება 22 წევრი.

მდივანმა წაუკითხა კრებას მოახსენება იმის შესახებ, თუ რა მომიტყმედა გამგეობამ
დღიდან თავის არსებობისა 1911 წლის დამლეკამდის. გამგეობის წევრებმა ი. კახრი-
ძემ მოახსენა კრებას შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ფოთის განყოფილება დაფუძნებულა 30 მარტს 1910 წელს. გამგეობა არჩეულა
სრულათ იმავე წელს 27 მაისს. იმ დროს, ე. ი. 1910 წლის დამლევისთვის საზოგა-
დოებაში ირიცხებოდა 73 წევრი. ამთგანმა—1911 წლის საწევრო ფული შემოიტანა 37
კაცმა, ასე რომ ამა 1912 წლის 1 ანგურისთვის ითვლებოდა მხოლოდ ის 37 კაცი სა-
ზოგადოების წევრათ.

გამგეობაში ითვლებოდა 9 წევრი: თავმჯდომარე ი. შეუნარკია, მისი ამხანაგი ა. ვ.
მიქაბერიძის, ხაზინადარი ა. ჟვანია, მისი თანაშემწე ი. კახრიძე, მდივანი კ. გამურელი-
ძე და სხვა წევრები: მღვდელი ლ. წულაძე, ვ. გაგუა და ი. ალექსიშვილი. 1911 წელს
ბ. ა. ი. იაგულაძემ გამგეობის წევრობას თავი დაანება. ამა წლის 1 ანგურისთვის გამ-
გეობაში დარჩა 8 წევრი. ათას ცხრას ათ წელს გამგეობას შემოსულია საწევრო ფული
219 მან. ლექციებიდან და სხვა 167 მან. და 23 კ.; დაუხარჯავს 44 მან. და 15 კაპ.
დარჩენია 1911 წ. 1 ანგურს—342 მ. და 08 კ.

1911 წ. შემოსულია 302 მან. და 20 კ.; დაუხარჯავს 102 მან. და 16 კ. (ამაში
ურევია 68 მან. და 32 კ.—20% ქ. შ. წ.-კ. გამგეობას).

1912 წლის 1 ანგურისთვის დარჩა—542 მან. და 12 კ.

საზრგადო კრებამ 1910—1911 წლების ანგარიში ერთხმით დამტკიცა.

ახალი წევრების მიღება.

მდივანმა მოახსენა კრებას რომ დავით ნიკოლაიშვილმა და ნიკოლოზ დღონტმა შე-
მოიტანეს ამა წლის საწევრო ფული და ითხოვეს წევრობა. ორივე ერთხმით იქმნა მიდუ-
ბული საზოგადოების წევრებად.

წიგნების მალაზია.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ გამგეობამ, როგორც მის მოხსენებიდანვე გაიგებდით, თავიდანვე მინდობდა ახალ-ახალ ქართული წიგნების მიწოდება საზოგადოებისთვის. ამ მიზნის გასასრულებლად მან პირველად განიზრახა ზატარა კიოსკის გახსნა. შემდეგ კიოსკის მაგივრად მთელი წიგნებისა და სპეციალური ნივთების სავაჭრო მაღაზიის გახსნა მინდობდა და მაღაზიისთვის შენობის აშენება. ეს უკანასკნელი საკითხი გამგეობის სხდომებზედ უფველთვის დიდ კამათს იწვევდა. დიდი წინააღმდეგი ვიყავით მე და ბ. იაკოვლავი წიგნების მაღაზიის გახსნის, რადგანაც ამ მიზნის გასასრულებლად დიდ ხარჯს იწვევდა; გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ გადაწყვიტა ეს საკითხი საზოგადო კრებისთვის მოეხსენებია.

წვერი მინა ესაკია: დაახლოებით რა თანხა სჭირდება ამ საქმეს?

მდივანი: შენობას ხისას—აგურის „ბოკანებზედ“ განით 8, სიგრძით 9 და სიმაღლით 6 არშინი ჯდება დაახლოებით 1,500 მან. წიგნებისა და სპეციალური ნივთების შესაძენად სჭირდა ერთ დროულად არა ნაკლები 3 ათასი მანეთისა.

მაღაზიის შენახვის ხარჯი წელიწადში: გამკეს ჯამაგირი 600 მან. მისამსახურეს 200 მან. განათება, გათბობა და წვრილი ხარჯები 100 მან. სულ 900 მან.

(დასასრული იქნება)



განსხალება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საბრემიო თანხა: უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძის. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლივით 300 მანეთი.

I. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენისა უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი,



ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნე-ჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა – გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.


შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე ადრე გამოცემული.

საქმეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

(წელიწადი შეექმნე)

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ-მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭ-დება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერბ-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისინდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას და სამტრედიიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მამწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Бочвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის
ყოველ-თვიურ ჟურნალ

„განთიადი“

(წელიწადი პირველი)

და ყოველ-კვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მან., გაზეთისა 4 მან., ორივე ერთად 8 მან. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამცემსა წლიურად 7 მან. დაეთმება. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ საზოგადოებრივია.

რედაქტორი **მ. ს. მჭიდლოძე.**

ყოველ-ღლიური სპოლიტიკო და სოლიტერატურო კაზეთი

კოლხიდა
პრინციპი
პოლიტიკა

„ზ ი ლ ა“

(წელიწადი პირველი)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ.
თვიურად ქუთაისში—4 აბაზი. ქუთაისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

რედაქტორ-გამომცემილი ი. რუხაძე.

რედაქციის მისამართი: დადიანის შესახვევი, სახლი გაბილიას, № 6.

ფულის გამოსვლა მისამართი: Кутаись, Михайловская ул. Георгию Павло-
вичу Сванидзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-ღლიურ კაზეთი

„კოლხიდა“

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ:
ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მარსს 2 მან. პირველ ენკენისთვის 2 მან.

▼ თითო ნომერი ერთი შაური ▼

მისამართის გამოტვლა ათი შაური.

რედაქციის ადრესი: Въ гор. Кутаись, редакция газеты „Колхида“.

Антону Михайловичу Хеладзе.

ყოველ კვირეული სპოლიტიკო-ეკონომიური და სოლიტერატურო ჟურნალი

„კ ლ დ ე“

(წელიწადი მეორე)

ჟურნალი ღირს წლიურად 5 მან., თვიურად 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოს-
წავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ცალკე ნომერი ყველგან—ორი შაური

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3. რედაქცია „კლდე“.

დებეშისა: თბილისი კლდე.